ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N19

ქ.თბილისი 28 დეკემბერი, 2022 წელი
11ᵐᵢⁿსაათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ აბაშიძე
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე
ლევან არველაძე
საბა ბუაძე
ოთარ გრიგოლია
ლევან დავითაშვილი
ნინო ეარდოსანიძე
მარიამ ზაქარიაშვილი
ანა კაკაბაძე
ნიკოლოზ კახეთელიძე
ცოტნე კობერიძე
კახაბერ ლაბუჩიძე
ნათია მოდებაძე
შალვა ოგბაიძე
გურამ ოქროპირიძე
ნინო რუხაძე
ვახტანგ სურგულაძე
გიორგი შარაშიძე
ზურაბ ჩიკვილაძე
ავთანდილ ცინცაძე
ირაკლი ხელაძე
ლევან ჯაფარიძე
აკაკი ალადაშვილი
ვლადიმერ ბოჟაძე
ანა გოგოლაძე
მამუკა გუგეშაშვილი
ირაკლი ეძგვერაძე
კონსტანტინე ზარნაძე
ზაზა თავაძე
მიხეილ კაკაურიძე
სალომე კობალაძე
ზვიად კუპრავა
ლილე ლიპარტელიანი
ირაკლი ნადირაძე
გიორგი ონიანი
ლევან ჟორჟოლიანი
რევაზ სოხაძე
დავით ფარცვანია
გიორგი ჩაკვეტაძე
გივი ჩხარტიშვილი
ნინო წულაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
სოფიო ჯაფარიძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერი კახა კალაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურების უფროსები;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგებლები.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენა“;

მომხსენებელი: კახა კალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: კახა კალაძე
თანამომხსენებელი: ირაკლი ხმალაძე

მომხრე - 38
თავი შეიკავა - 3
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენა“. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი, კახა კალაძე, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. განაცხადა, რომ ძალიან ხშირი, ფაქტობრივად ყოველდღიური, კომუნიკაცია აქვს საზოგადოებასთან, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან საუბრობენ ქალაქში განსახორციელებელ პროექტებზე, არსებულ გამოწვევებზე, პრობლემებზე და სამომავლო გეგმებზე. ასევე, მნიშვნელოვანია, ყოველ წელს საკრებულოში ანგარიშის წარდგენა და საუბარი წლის განმავლობაში განხორციელებულ და მომდევნო წლების განმავლობაში დაგეგმილ პროექტებზე. კახა კალაძემ განაცხადა, რომ დღეს ისაუბრებს იმ მასშტაბურ და ქალაქისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროექტებზე, რომლებზეც მუშაობდა, დღესაც მუშაობს და მომავალშიც განაგრძობს მუშაობას თბილისის მერია, დედაქალაქში არსებულ გამოწვევებზე, პრობლემებზე და მიზნებზე, რომლებსაც ერთად უნდა მივაღწიოთ. აღნიშნა, რომ 2022 წელს თბილისს ჰქონდა არაერთი გამოწვევა, რომელთა დიდი ნაწილი „გამარჯვებით დაგვირგვინდა“, მაგრამ, ამასთანავე, რა თქმა უნდა, იყო ბევრი პრობლემა და სამწუხაროდ, დიდი ტრაგედია, რომელმაც ეს ყველაფერი გააუფერულა, როგორც პირადად მისთვის, ასევე, მერიის თანამშრომლებისთვის. განაცხადა, რომ ყველა სირთულე და სიძნელე გადალახვადია, ყველა დანგრეული გზა აღდგენადია, მაგრამ ტრაგედია, რომელიც 2022 წელს მოხდა თბილისში, არა მხოლოდ მისთვის, არამედ, თითოეული ადამიანისთვის არის უდიდესი ტკივილი და სწორედ ამიტომ, სურს, დღევანდელი ანგარიში დაიწყოს მარიტა მეფარიშვილის ხსოვნით და დარბაზში დამსწრე საზოგადოებას მიმართა თხოვნით, წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ მისი ხსოვნისთვის, რის შემდეგაც სხდომაზე დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო მარიტა მეფარიშვილის ხსოვნას. განაცხადა, რომ ანგარიშის წარდგენა სურს დაიწყოს შეხსენებით, რომ „ნებისმიერი საქმე, ნებისმიერი მიღწევა უფერულდება, თუკი არ არის მშვიდობა. განვითარება, სამომავლო გეგმები და პერსპექტივები, პროექტები მნიშვნელოვანია მხოლოდ მშვიდობიან გარემოში. სწორედ ამ შემთხვევაში აქვს აზრი ჩვენს შრომას, სწავლას, შემოქმედებას თუ მისწრაფებებს“. აქედან გამომდინარე, მისთვის „ცოტა უცნაური“ იყო, როდესაც „საახალწლო სლოგანს - „მშვიდობის ქალაქი“ მოჰყვა არაერთი სპეკულაცია, რაც გაუგებართან ერთად, მისთვის კატეგორიულად მიუღებელია და სასაცილოც კი არ არის ის არგუმენტი, რომ თითქოს ხსენებული „სლოგანი“ ნიშნის მოგების პრინციპით იყო შერჩეული ვინმეს ჯინაზე. განაცხადა, რომ იმას, თუ რა ფასი აქვს მშვიდობას, დღეს ყველაზე უკეთ იცის ჩვენმა მეგობარმა უკრაინელმა ხალხმა და თავისუფლებისთვის მებრძოლ თითოეულ ადამიანს მშვიდობასთან ერთად, გამარჯვება უსურვა. ასევე, მშვიდობა უსურვა

ჩვენს ქვეყანას, ხალხს, ქალაქს და განაცხადა, რომ უკრაინელებთან ერთად, საქართველოს მოქალაქეები ვართ ის ადამიანები, რომლებმაც ძალიან კარგად ვიცით მშვიდობის ფასი და სამწუხაროდ, ძალიან კარგად ვიცით, რას ნიშნავს, როდესაც შენს ქვეყანაში ომია. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, გაუგებარია, რატომ „მოხვდათ სიტყვა „მშვიდობა" გულზე ასე მწარედ ოპონენტებს, რატომ ებრძოდნენ და ებრძვიან ამ სლოგანს? თუმცა, თუკი ოპონენტების პოლიტიკური ანგაჟირების მიმართულებას, ხარისხს და ვიწრო პარტიულ ინტერესებს გავითვალისწინებთ, ყველაფერი ნათელი და აშკარა ხდება". კახა კალაძემ ისაუბრა 2022 წელს განხორციელებულ პროექტებზე და აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურის მიმართულებით, წლის განმავლობაში ქალაქში მოწესრიგებული გზების ფართობმა შეადგინა 825347 კვ.მ., მოეწყო 45 ახალი ქუჩა, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 923 ქუჩას, მათ შორის, განხორციელდა ორი დიდი გამზირის: ქეთევან დედოფლის და მელიქიშვილის სრული რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მოხდა მიწისქვეშა კომუნიკაციების ცვლილება და გამზირები მოეწყო ისე, რომ გადაადგილების შესაძლებლობა თანაბრად ჰქონდეთ, როგორც ქვეითად მოსიარულეებს, ასევე, კერძო და საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლეებს. გამწვანების სამუშაოები განხორციელდა 38 ჰექტარ ფართობზე, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ორ პარკს, 362 სკვერს და 136 სპორტულ მოედანს, დაირგო 100000-მდე ძირი სხვადასხვა სახეობის მწვანე ნარგავი, 222000 კვ.მ. ფართობზე მოეწყო სარწყავი სისტემა, თბილისის გარშემო არსებული ტყის აღდგენა-განაშენიანების პროექტის ფარგლებში, გამწვანების სამუშაოები განხორციელდა 19 ჰექტარზე. ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტული მიმართულება არის ქალაქში რეკრეაციული სივრცეების არსებობა, მათი რეაბილიტაცია და მოწესრიგება, რასაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბოლო წლების განმავლობაში - მოწესრიგებული იქნა უამრავი სივრცე და დედაქალაქს დაუბრუნდა უამრავი გასხვისებული ტერიტორია, მათ შორის, პარკები, რეკრეაციული არეალები, სპორტული მოედნები და ა.შ. მისი თქმით, ამ მიმართულებით მომავალშიც გაგრძელდება აქტიური მუშაობა და თბილისის მერია ღირსეულად უპასუხებს არსებულ გამოწვევებს მომდევნო წლების განმავლობაში განხორციელებული პროექტებით, რომლის ფარგლებშიც განხორციელედება ახალი პარკების მოწყობა, არსებული სკვერების რეაბილიტაცია-განახლება, რათა თბილისში შეიქმნას რაც შეიძლება მეტი მწვანე სივრცეები და ამასთანავე, ამ პროექტების განხორცილება მნიშვნელოვანია ეკოლოგიური თვალსაზრისით არსებული ვითარების გამოსწორებისთვის. კახა კალაძემ აღნიშნა, რომ 2022 წელს, ბინათმესაკუთრეათა ამხანაგობების მიმართულებით დაფინანსდა 1771 პროექტი, რაზეც დაიხარჯა დაახლოებით 40000000 ლარი. წლის განმავლობაში, ჯანდაცვის პროგრამებში, ჯამურად დაიხარჯა 82000000 ლარი, ამასთანავე, სოციალურად დაუცველი, საპენსიო ასაკის პირებისთვის განისაზღვრა 500 ლარიანი ვაუჩერი მედიკამენტებისთვის, რომლის ფარგლებშიც ისარგებლა დაახლოებით 21000 ადამიანმა. რაიონული გამგეობების დონეზე დაკმაყოფილთა ბენეფიციართა 29804 განაცხადი ერთჯერადი ფინანსური დახმარების თაობაზე, 35354 ადამიანმა მიიღო მედიკამენტებზე დაფინანსება. გარდა ამისა, 16000000 ლარი იქნა მიმართული ავარიული შენობა-ნაგებობების გასამაგრებლად. სპორტის მიმართულებით, 2022 წელს, მერიის მხარდაჭერით, განხორციელდა 230 სპორტული ღონისძიება, დაფინანსდა 41 სპორტული ორგანიზაცია და ფედერაცია, სპორტული ინვენტარისა და ეკიპირების შესაძენად; მიმდინარე წელს დაიწყო პროგრამა „სპორტი უფროსი თაობისთვის", რომლის ფარგლებში 60 წლის და 60 წელს გადაცილებული 500-მდე მოქალაქე უფასოდ სარგებლობს საცურაო აუზებით და ფიტნეს დარბაზებით. ამ მიმართულებით დაგეგმილია, რომ 2023 წლიდან, მუნიციპალურთან ერთად, პროგრამაში ჩაერთონ კერძო საცურაო აუზები და ფიტნეს დარბაზები, რათა უფრო მეტ ადამიანს მიეცეს იმის შესაძლებლობა, რომ ისარგებლოს აღნიშნული პროგრამით. მერიის მხარდაჭერით, სპორტის მიმართულებით განხორციელდა 60 ღონისძიება, 235 ღონისძიება განხორციელდა კულტურულ-შემეცნებითი მიმართულებით, ხოლო ახალგაზრდობისა და განათლების მიმართულებით განხორციელდა 50 ღონისძიება; დაიწყო და გრძელდება მულტიფუნქციური ცენტრების მშენებლობა დიდ დიღომსა და ვარკეთილში, რომლებიც უნდა დასრულდეს მომავალ წელს და ამ პროექტების განხორციელება დაგეგმილია თბილისის ათივე რაიონში. გარდა ამისა, ლილოს დასახლებაში აშენდა საცურაო აუზი; რეაბილიტაცია ჩაუტარდა 4 სპორტულ ცენტრს; სპორტული

ინვენტარით აღიჭურვა 3 სპორტული ცენტრი; ეკიპირებითა და ინვენტარით დახმარება გაეწია 15 სპორტულ ორგანიზაციას და ფედერაციას. კახა კალაძემ აღნიშნა, რომ თბილისის მერია ახორციელებს სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების მხარდაჭერის პროგრამას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და ფიქრობს, რომ ამ ახალგაზრდებს სჭირდებათ მუნიციპალიტეტის თანადგომა, რათა მათი განათლება ისევ და ისევ გამოყენებული იქნას ჩვენი ქვეყნის და ქალაქის საკეთილდღეოდ. ამ პროგრამის ფარგლებში, წლის განმავლობაში, სწავლა დაუფინანსდა 700 ახალგაზრდას, ხოლო წამახალისებელი სტიპენდია დაენიშნა 300-ზე მეტ სტუდენტს. 2022 წელს, განათლებისა და ახალგაზრდობის მიმართულებით, განხორციელდა ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი პროექტები, გაიზარდა ბიუჯეტი ამ მიმართულების პროგრამებისთვის და ჯამში 3954 სტუდენტს გაეწია ფინანსური მხარდაჭერა. მიმდინარე წელს სტუდენტების დაფინანსების პროგრამას დაემატა ახალი მიმართულება - მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტებისა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსება, რომლის ფარგლებშიც ისარგებლა 600-ზე მეტმა სტუდენტმა. გრძელდება პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების განხორციელება „ისწავლე დასაქმდი", რომლის ფარგლებშიც, 2022 წელს, 44 პროფესიულ სპეციალობაში ჩაერთო 1000-მდე მოქალაქე. ახალგაზრდებისთვის, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის, დასვენების და გართობის მიზნით, ხორციელდება საზაფხულო პროგრამები და ფესტივალები, მათ შორის, საზაფხულო პროგრამების ფარგლებში 6000-ზე მეტი ახალგაზრდა ჩაერთო მათთვის საინტერესო აქტივობებში (ლაშქრობები, საველე ბანაკები, საჯომარდო ტურები, ველოტურები, კარტინგები, საცურაო აუზები), ხოლო მასშტაბური თემატური ფესტივალების განხორციელებაში (ციფრული ფესტივალები, თბილისის სტუდენტური ფესტივალი, ქუჩის ხელოვნების ფესტივალი, ღია ცის ქვეშ ახალგაზრდული ფესტივალები სხვადასხვა უბანში) მონაწილეობდა 30000 ახალგაზრდა. მუნიციპალური სერვისების ხარისხის სასწავლო და სამუშაო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, გრძელდება ინფრასტრუქტურის განვითარება - ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის რესტავრაცია-რეაბილიტაცია - პირველი ეტაპი დასრულებულია, ხოლო 2024 წლისთვის სრულად უნდა იყოს დასრულებული, რომლის ღირებულება შეადგენს დაახლოებით 33700000 ლარს. 2022 წელს, სპორტის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, „მზიურის" მიმდებარედ, ვარკეთილის ზემო პლატოზე და ბელიაშვილის ქუჩა N6-ის მიმდებარედ, დასრულდა ფეხბურთის მოედნების მშენებლობა. სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 6 სპორტულ ცენტრს, ხოლო ტექნიკით და ინვენტარით აღიჭურვა 4 სპორტული ცენტრი. 2022 წელს თბილისში დაიწყო შემდეგი სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტები: ვარკეთილის დასახლება II მ/რ., საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქ.N41-ის მიმდებარედ და ლიბანის ქ.N11-ის მიმდებარედ სკეიტ მოედნების მოწყობის სამუშაოები, ლადო ასათიანის ქ.N50-ში სპორტული დარბაზის სამშენებლო სამუშაოები, სოფელ დიღომში სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები. მუნიციპალიტეტს დაუბრუნდა წინა ხელისუფლების პირობებში გასხვისებული სპორტული ცენტრები: დიღმის მასივში, „ავაზას" სპორტული ბაზა და საცურაო აუზი, ასევე, საჭიდაო დარბაზი სოფელ დიღომში, რომელთა შემდგომი რეაბილიტაციისა და განვითარების მიზნით, მიმდინარეობს პროექტირება და დაგეგმარება. კულტურის სფეროს განვითარების მიმართულებით, მიმდინარე წელს, დედაქალაქის მასშტაბით დაფინანსდა 240-მდე პროექტი, თბილისს შეემატა უცხოელი და ქართველი არტისტების მიერ მოხატული 15-მდე მასშტაბური კედელი. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მედია ხელოვნების მიმართულებას, რათა თბილისის, როგორც იუნესკოს კრეატიული ქალაქების ქსელის წევრობის აქტივობა და აღებული ვალდებულებების პასუხისმგებლობა მაქსიმალურად იყოს წამოწეული. აღნიშნულიდან გამომდინარე, წლის განმავლობაში, პროგრამის „შემოქმედებითი თბილისი" ფარგლებში დაფინანსებული 40-მდე პროექტიდან 15 არის მედია ხელოვნების მიმართულებით. მიმდინარე წელს, ასევე, დაფინანსდა 5 მნიშვნელოვანი, ინკლუზიური საგანმანათლებლო ღონისძიება, დაიწყო მერაბ კოსტავასა და ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმების სრული რეაბილიტაცია, მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკრებულოს ისტორიულ შენობაში, თოჯინებისა და სათამაშოების მუზეუმის განთავსებაზე. სრული

რეაბილიტაცია ჩაუტარდა 3 სახელოვნებო სკოლას, ხოლო 20-ზე მეტი სკოლისთვის შეძენილია სხვადასხვა ინვენტარი და ინსტრუმენტები. ასევე, უწყვეტად მიმდინარეობს თბილისის ბიბლიოთეკების მოდერნიზაცია, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა და წიგნადი ფონდების განახლება. მიმდინარე წელს, მყარი ნარჩენების პროექტის ფარგლებში, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დახმარებით, ქალაქის ქუჩების მოსავლელად, შეძენილი იქნა 86 ერთეული სპეცტექნიკა „თბილსერვის ჯგუფისთვის", რათა ქალაქის ქუჩები იყოს მოწესრიგებული, სუფთა და მოვლილი; ქეთევან დედოფლის და პეტრე მელიქიშვილის გამზირებზე განხორციელდა 125 ერთეული მიწისქვეშა ნაგავშემკრები კონტეინერის მოწყობა; შესყიდული იქნა სხვადასხვა ზომისა და ტიპის 4150 ერთეული ნაგავშემკრები კონტეინერი. 2022 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა თბილისის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული პრობლემების ეტაპობრივი გადაწყვეტა და დღეის მდგომარეობით 60-მდე დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მქონე შენობა-ნაგებობაზე გაცემულია სამშენებლო ნებართვები ან მიმდინარეობს ნებართვის აღების პროცედურა, რითიც დაკმაყოფილებული იქნება 11000-მდე დაზარალებული ოჯახი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, არსებობდა სამშენებლო ობიექტები, რომელთა ექსპლოატაციაში მიღება ვერ ხორციელდებოდა სხვადასხვა ტიპის არქიტექტურული დარღვევებისა და დარჩენილი მცირე სამშენებლო სამუშაოების გამო, რაც წარმოადგენდა უდიდეს პრობლემას ასეთ შენობა-ნაგებობაში მაცხოვრებელი ადამიანებისთვის. ამ კუთხით წარმოდგენილი 1000 განაცხადიდან, 240 სამშენებლო ობიექტი მიღებულია ექსპლოატაციაში, ხოლო დანარჩენ ობიექტებთან დაკავშირებით მიმდინარეობს წარმოება. სატრანსპორტო პოლიტიკის მიმართულებით, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი და პრიორიტეტია დღევანდელი ხელისუფლებისთვის, 2017 წლიდან დღემდე, გადაიდგა ბევრი მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ამ კუთხით მთავარი მიმართულება არის ის, რომ დედაქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტი გახდეს ყველასთვის ხელმისაწვდომი, კიდევ უფრო კომფორტული და მუნიციპალური ტრანსპორტით გადაადგილება იყოს ყველაზე სწრაფი. ამ მიმართულებით, რა თქმა უნდა, იყო სერიოზული პრობლემები, თუმცა თბილისის მერია მიყვება გაცხადებულ რეფორმას და თანმიმდევრულად და ეტაპობრივად კეთდება ყველაფერი ის, რაც საჭიროა ამ მიმართულების მოწესრიგებისთვის. ცხადია, დღეს არსებობს გამოწვევები და პრობლემები, თუმცა, მთავარი და მნიშვნელოვანი არის ის, რომ „ვიცით, რა უნდა გაკეთდეს დღეს, რა უნდა გაკეთდეს ხვალ იმისთვის, რომ ეს პრობლემები იქნას მოგვარებული". სატრანსპორტო პოლიტიკის მიმართულებით ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი არის ჭკვიანი შუქნიშნები, მიმდინარე წელს თბილისის მუნიციპალიტეტსა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემის პროექტის განხორციელების შესახებ, რომლის ფარგლებში გამოყოფილია 47000000 ევრო, რაც მოხმარდება თბილისისთვის ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემის შემდგომ განვითარებას, სისტემის კომპონენტების - ჭკვიანი შუქნიშნების, კამერების, დეტექტორების, მონაცემთა პლატფორმისა და მართვის ცენტრის შესყიდვასა და დანერგვას. დაგეგმილი აქტივობების შედეგად, გაუმჯობესდება საგზაო მოძრაობა, მათ შორის, მოხდება საცობების რეალურ დროში მართვა, შესაძლებელი იქნება შუქნიშნებზე საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და გადაუდებელი დახმარების მანქანების პრიორიტეტიზაცია. ასევე, საგზაო ნაკადების ეფექტურად მართვის გზით, შესაძლებელი იქნება პარკირების მართვა და ჰაერის დაბინძურების შემცირება. პროექტი ეტაპობრივად განხორციელდება საერთაშორისო კონსულტანტების მხარდაჭერით, რადგან ჩვენ არ გვაქვს გამოცდილება ამ მიმართულებით. აზიის განვითარების ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მხარდაჭერით, დასასრულს უახლოვდება შესაბამისი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები, თბილისში მეტროსადგურების განახლებისა და უნივერსალური მისაწვდომობის მიზნით. პროექტის განხორციელებით, სრულად განახლდება შერჩეული მეტროსადგურები თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად და უნივერსალურად ხელმისაწვდომი იქნება, მათ შორის, შეზღუდული მობილობისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, რაც დამატებით წაახალისებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის სარგებლობას და მდგრად მობილობას დედაქალაქის მასშტაბით. ამ მიმართულებითაც მუნიციპალიტეტს აქვს გამოწვევები, არსებობს პრობლემები

და არის მოკლევადიანი კონკრეტული გეგმა, რომ არსებული პრობლემა მოგვარებული იყოს დროებით - გამტარუნარიანობის გაზრდა ტურნიკეტების დამატებით, თუმცა არის გრძელვადიანი პროექტები, რომლებიც საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მხარდაჭერით და დახმარებით განხორციელდება, მათ შორის, კონკრეტულ მეტროსადგურებში დამატებითი ჩასასვლელ-ამოსასვლელების პროექტის განხორციელება. ასევე, განხორციელდება მეტროსადგურების რეაბილიტაცია. ამ ეტაპზე დაწყებულია ორი მეტროსადგურის რეაბილიტაცია, რომლებიც ჯერ არ დასრულებულა, რაც იმის დასტურია, რომ პრობლემაა ქართული კომპანიები, რომლებიც ვერ იღებენ პასუხისმგებლობას აღნიშნული პროექტების განხორციელებაზე და სწორედ აქედან გამომდინარე, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით მოხდეს მეტროსადგურების განახლებისა და რეაბილიტაციის ტენდერების გამოცხადება, რომელშიც მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა ექნებათ უცხოურ სამშენებლო კომპანიებს, რაც იძლევა იმედს, რომ ეს პრობლემა იქნება მოგვარებული და გადაჭრილი. ასევე, მნიშვნელოვანი მიმართულებაა ველობილიკები და აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი მაქსიმალურად ცდილობს, კვლევებზე დაფუძნებით, სადაც შესაძლებელია იქნება, მოეწყოს ველობილიკები. მიმდინარე წელს, საერთაშორისო საკონსულტაციო ორგანიზაციების მხადაჭერით, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ შეიმუშავა თბილისში ველოგადაადგილების გენერალური გეგმა, რომლითაც განსაზღვრულია თბილისზე მორგებული მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი ღონისძიებები, რომელიც უნდა განახორციელოს მუნიციპალიტეტმა თბილისში ველოსიპედით გადაადგილების ხელშეწყობის წახალისების მიმართულებით, რათა მიაღწიოს სატრანსპორტო პოლიტიკით გათვალისწინებულ მიზნებს. 2019 წელს განხორციელდა 140000000 უფასო და შეღავათიანი მგზავრობა, ხოლო ეს რიცხვი 2022 წელს გაიზარდა 152000000-მდე; 2019 წელთან შედარებით, 4-ჯერ გაიზარდა მიკროავტობუსებით მგზავრობა (8000000-დან ავიდა 33000000 მგზავრობამდე); 2022 წელს დაინერგა საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადახდების სრულყოფილი სისტემა, რის შედეგადაც მოხდა მოკროავტობუსების, მეტროს და ავტობუსების ერთიანი გადახდის სისტემის გაშვება, რაც გულისხმობს 90 წუთიან უფასო გადაჯდომას. ასევე, საზოგადოებრივი ტრანსპორტის პოპულარიზაციის მიზნით, დაინერგა სრულად ელექტრონიზებული სხვადასხვა ვადიანი სამგზავრო აბონემენტები, რაც კიდევ უფრო კომფორტულს და შეღავათიანს ხდის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობას. 2022 წელს, კოოპერატიული ბინათმშენებლობის პროექტის ფარგლებში, ალტერნატიული საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდა 300-მდე ოჯახი. მიმდინარე წელს დაიწყო უპრეცედენტო პროგრამა - უსახლკაროთა სტატუსის მქონე ოჯახებისთვის ბინების გადაცემა სარგებლობის უფლებით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. პროგრამის ამოქმედებიდან დღემდე შესყიდულია 60-მდე ბინა და შესაბამისად, დაკმაყოფილებულია 60-მდე ოჯახი. დღეის მდგომარეობით, ქალაქში დაახლოებით 400 ოჯახია, რომელიც ატარებს უსახლკაროს სტატუსს და დღევანდელი ხელისუფლების სურვილია, რომ ყველა მათგანი დაკმაყოფილებული იქნას მუნიციპალური საცხოვრისით. აღნიშნული პროგრამა გაგრძელდება მანამ, სანამ ეს პრობლემა არ იქნება ბოლომდე მოგვარებული. 2017 წელს დაიწყო ძალიან კარგი და მნიშვნელოვანი პროგრამა - იმ საცხოვრებელი ფართების დაკანონება, სადაც ოჯახები წლების განმავლობაში ცხოვრობენ და გარკვეული ბიუროკრატიული პრობლემების გამო, ვერ ახერხებდნენ საცხოვრებელი ფართების დაკანონებას. მხოლოდ 2022 წელს, სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად, დაახლოებით 500 ოჯახს გადაეცა საცხოვრებელი ფართი. დღეის მდგომარეობით, ასეთი ოჯახებისთვის კერძო საკუთრებაში გადაცემულია დაახლოებით 300000000 ლარზე მეტის ქონება. ეს პროგრამა გაგრძელდება მომავალშიც და ყველა ოჯახმა, რომელიც ვერ ახერხებს იმ საცხოვრებელი ფართის დაკანონებას, სადაც ცხოვრობს წლების განმავლობაში, აუცილებლად უნდა მიმართოს თავისი რაიონის გამგეობას, სადაც ყველანაირად დაეხმარებიან და აუხსნიან, თუ რა დოკუმენტაციაა საჭირო იმისთვის, რომ შემდგომში, მუნიციპალიტეტის მხრიდან მოხდეს ამ ფართების დაკანონება და საკუთრებაში გადაცემა სიმბოლურ ფასად. 2022 წელს ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდმა“ მშენებლობის მიმართულებით განკარგა დაახლოებით 24000000 ლარი, რომელიც მოიცავს, როგორც გუდიაშვილის მოედნის არეალში

მდებარე 12 შენობას, სადაც განთავსებულია 129 ოჯახი, ასევე, თბილისის მასშტაბით არსებულ სხვადასხვა, ცალკეული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ისტორიული არეალების რეაბილიტაციას. მოცემული პროექტების დიდი ნაწილი გაგრძელდება მომდევნო წელსაც. დღევანდელ ხელისუფლებას განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მიმართ, რადგან „ეს არის ის განსაკუთრებული სილამაზე და სიმდიდრე, რომელიც, რა თქმა უნდა, მოწესრიგენული, მოვლილი, რეაბილიტირებული უნდა გადავცეთ ჩვენს შვილებს და მომავალ თაობებს". 2022 წელს გამკაცრდა სანქციები ისეთ სამართალდარღვევებზე, როგორებიცაა: სამშენებლო პროცესი, გარე ვაჭრობა, გარემოს დაბინძურება, მწვანე ნარგავების დაზიანება და ა.შ. კახა კალაძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს დასრულდა ორი მნიშვნელოვანი პროექტის ადგილმონაცვლეობა: ვაკის პარკის და „მზიურის" პარკის. განაცხადა, რომ დღეს ეს ტერიტორიები არის თბილისის და თბილისელების და დღევანდელი ხელისუფლება არავის მისცემს შესაძლებლობას გააჩანაგოს რეკრეაციული ზონები და იქ განახორციელოს მშენებლობა. რა თქმა უნდა, არავინ ეწინააღმდეგება მშენებლობას და განვითარებას, თუმცა ეს უნდა მოხდეს გენერალური გეგმის ფარგლებში და ურბანულად სწორად უნდა მოხდეს ქალაქის განვითარება. დღევანდელი ხელისუფლების ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება იყო თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლება და დღეის მდგომარეობით, ხორციელდება პირველი საპილოტე პროექტი - ვარკეთილში, მე-3 მასივში, VII კვარტალში, დაიწო კორპუსი N12-ის დემონტაჟი, რომელიც სრულად დანგრეულია, იქ მაცხოვრებელი ადამიანები დროებით გაყვანილი არიან ქირით და ორი წლის განმავლობაში მოხდება ახალი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას დაუბრუნდება გარემონტებული და მოწესრიგებული საცხოვრებელი ფართები. მოქალქეებთან შეთანხმება ძიღწეულია კიდევ სამ მისამართზე, სადაც ამჟამად მიმდინარეობს ახალი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კონცეპტუალური დიზაინის პროექტისა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ხოლო 2023 წელს ამ პროგრამაში ჩაერთვება კიდევ 20-ზე მეტი მისამართი. ცხადია, ამ მიმართულებით არსებობს გამოწვევები, რადგან ქალაქში არის ძალიან ბევრი, სხვადასხვა კატეგორიის, ავარიული შენობა-ნაგებობა და ამ პროგრამით მუნიციპალიტეტი შეძლებს აღნიშნული კორპუსების დემონტაჟს და იქ მცხოვრები ადამიანებისთვის ქართული არქიტექტურის, ყველანაირად მოწესრიგებული, გარემონტებული შენობა-ნაგებობების და საცხოვრებელი ფართების დაბრუნებას. ამ მიმართულებით არსებობს პრობლემები, მათ შორის, მოლაპარაკებების პროცესშიც, რადგან არის შემთხვევები, როდესაც ადამიანებს უფრო მეტი ფართის მიღების სურვილი აქვთ, რასაც მუნიციპალიტეტი ვერ გააკეთებს, რადგან არ აქვს ამის შესაძლებლობა. საუბრის ბოლოს, კახა კალაძემ მადლობა გადაუხადა მერიის თითოეულ თანამშრომელს - ადამიანებს, რომლებიც ყოველდღიურად შრომობენ იმისთვის, რომ თბილისი ხვალ იყოს კიდევ უფრო ლამაზი, მოწესრიგებული და მწვანე. მან ასევე, მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს, რადგან საკრებულოს უმრავლესობის მხარდაჭერის გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა იმ პროექტების განხორციელება, რომლებიც განხორციელდა ბოლო წლების განმავლობაში და შეუძლებელი იქნება დაგეგმილი პროექტების განხორციელება.

გიორგი ტყემალაძემ მადლობა გადაუხადა ქალაქის მერს წარდგენილი ანგარიშისთვის და აღნიშნა, რომ დღევანდელი ანგარიში ასახავს ერთი წლის განმავლობაში განხორციელებულ საქმიანობას. „ერთი წელი არჩევნების შემდგომ, მეორე ვადით" - ეს არის ძალიან დიდი პასუხისმგებლობა და ეს ნდობა, რომელიც მოიპოვა თბილისის მერმა და თითოეულმა ჩვენგანმა, არის იმის ინდიკატორი, რომ ოთხი წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები იყო იმ დაკვეთის შესაბამისი, რომელიც ჰქონდათ თბილისელებს. არავინ საუბრობს იმაზე, რომ ყველაფერი შესრულდა და კარგად არის, რადგან ბევრი მიმართულებით გასაკეთებელი კიდევ ბევრია და სწორედ ამ მიმართულებებზე იქნება საუბარი 2023 წლის თბილისის ბიუჯეტში, რომელიც წარმოდგენილია მიმდინარე სხდომაზე. გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ საკრებულო ერთ თვეზე მეტი მსჯელობდა ბიუჯეტის პროექტზე, ჰქონდა

შესაძლებლობა გამოეთქვა მოსაზრებები და რეკომენდაციები, რომლებიც შემლებისდაგვარად ასახულია ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტში. თუმცა, 2023 წლის განმავლობაში კიდევ იქნება შესაძლებლობა, რომ ბიუჯეტში შევიდეს ცვლილებები, რათა განხორციელდეს კიდევ უფრო მეტი მნიშვნელოვანი პროექტი. განაცხადა, რომ მომავალ წელს, ისევე, როგორც მიმდინარე წელს, ერთ-ერთი პრიორიტეტი არის ინფრასტრუქტურის განვითარება. ასევე, მნიშვნელოვნად განახლდება საზოგადოებრივი ტრანსპორტი. განაცხადა, რომ ავარიული სახლების ჩანაცვლება არის „უნიკალური და უპრეცედენტო პროგრამა" და თუ ერთ ჭრილში გავიაზრებთ, რომ ასევე მიმდინარეობს ისტორიული არეალების რეაბილიტაცია და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის პროგრამები, რამდენიმე წელიწადში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი შედეგი გვექნება. საუბარი იყო იმაზე, რომ მუნიციპალიტეტს დაუბრუნდა მნიშვნელოვანი ტერიტორიები და ეს ტენდენცია გაგრძელდება მომავალშიც და მაქსიმალურად კიდევ უფრო მეტი სარეკრეაციო სივრცე შეიქმნება. გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ ეს ყველაფერი იძლევა იმის საფუძველს, რომ თბილისის 2023 წლის ბიუჯეტს საკრებულოს უმრავლესობის მხრიდან, ექნება მხარდაჭერა. მან მადლობა გადაუხადა თბილისის მერს და მთავრობას და სიტყვა გადასცა თბილისის მერის პირველ მოადგილეს ირაკლი ხმალაძეს.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ირაკლი ხმალაძემ. აღნიშნა, რომ წარმოდგენილი 2023 წლის ბიუჯეტი ჯამურად შეადგენს 1632000000 ლარს, რაც უპრეცედენტო მაჩვენებელია და 2022 წლის ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 326000000 ლარით. აღნიშნულის გარდა, 2023 წელს, თბილისის მუნიციპალიტეტი, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან და დონორი ორგანიზაციებიდან მოზიდული სახსრების და პროექტების ფარგლებში განახორციელებს 166000000 ლარის ღონისძიებებს და 2023 წელს თბილისში განსახორციელებელი პროგრამების ჯამური ოდენობა იქნება 1800000000 ლარამდე. ბიუჯეტის შემოსავლები, კერძოდ, 1632000000 ლარი, შედგება მუციპალიტეტის საკუთარი შემოსავლებისგან, რომელიც შეადგენს 1157000000 და ცენტრალური ხელისუფლებისგან მიღებული ტრანსფერებისგან, რაც შეადგენს 474000000 ლარს. ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები შედგება გადასახადებისგან - 875000000 ლარი, მათ შორის: ქონების გადასახადი დაგეგმილია 250000000, დამატებითი ღირებულების გადასახადი - 622000000 ლარი, სხვა შემოსავლები - 229000000, მათ შორის: სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 60000000 ლარი, დასუფთავების მოსაკრებელი - 65000000 ლარი, ჯარიმები - 67000000 ლარი და მშენებლობის მოსაკრებელი - 17000000 ლარი. არაფინანსური აქტივების კლება ანუ პრივატიზაცია განსაზღვრულია 55000000 ლარის ოდენობით. ხარჯვით ნაწილში ბიუჯეტი დაგეგმილია შემდეგნაირად: ინფრასტურუქტურის მიმართულება - 515000000 ლარი, ჯანდაცვის და სოციალური მიმართულება - 500000000 ლარი, გარემოს დაცვის მიმართულება - 198000000 ლარი, ტრანსპორტის სუბსიდია - 286000000 ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების დაფინანსება - 39000000 ლარი, მუნიციპალური ბაღები - 171000000 ლარი, ავარიული შენობების გამაგრება და ჩანაცვლების პროგრამები ჯამურად - 32000000 ლარი, გარდამავალი პროექტები - 115000000 ლარი. 2023 წელს დაიწყება ახალი პროექტების განხორციელება, რომელთაგან ძირითადი პროექტებია: 18 მეტრიანი ახალი ავტობუსების შესყიდვა და ახალი ავტობაზის მშენებლობა, რომელიც არის მრავალწლიანი და მისი მთლიანი ღირებულება სცდება 300000000 ლარს, თუმცა მომდევნო წელს დაიწყება პროექტის განხორციელება 60000000 ლარის ფარგლებში, მათ შორის, 40000000 ლარი მიმართული იქნება ავტობუსების შესაძენად, ხოლო 20000000 ლარი - ახალი ავტობაზის მშენებლობის დასაწყებად; წერეთლის გამზირის რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მოეწყობა ახალი საგზაო სამოსი, ტროტუარები, სანიაღვრე ქსელი, კომუნიკაციების ქსელები და ახალი გარე განათების ქსელი. აღნიშნული პროექტის ჯამური ღირებულება არის 45000000 ლარი, თუმცა მომავალი წლისთვის გათვალისწინებულია 25000000 ლარი; დიდუბის ხიდის რეაბილიტაცია, რომლის ღირებულება შეადგენს 4000000 ლარს და რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია ახალი საგზაო საფარის, სანიაღვრე ქსელის, ტროტუარების და ახალი

გარე განათების ქსელის მოწყობა, ხიდის კონსტრუქციის გაძლიერება და მოაჯირების აღდგენა-რეაბილიტაცია; უნივერსიტეტის ქუჩის რეაბილიტაცია, რომლის ღირებულებაა 7000000 ლარი და რომლის ფარგლებშიც განხორციელდება ახალი საგზაო საფარის, ტროტუარების, სანიაღვრე ქსელის, კომუნიკაციების ქსელების და ახალი გარე განათების ქსელის მოწყობა. მშვიდობის ხიდის რეაბილიტაცია, რომლის ღირებულება შეადგენს 2000000 ლარს; დაიწყება სულხან-საბას და ინგოროყვას ქუჩების კეთილმოწყობის და სარეაბილიტაციო სამუშაოები; წინამძღვრიშვილის ქ.N1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება 5000000 ლარის შესყიდვა; ვაზისუბანში განხორციელდება პარკის რეაბილიტაცია, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 7000000 ლარს, თუმცა 2023 წელს ხარჯი იქნება 3500000 ლარი, რადგან აღნიშნული იქნება გარდამავალი პროექტი, რომლის ფარგლებში 52000 კვ.მ. ტერიტორიაზე განახლდება საფეხმავლო ბილიკები, განთავსდება საპარკე ინვენტარი, მოეწყობა: გარე განათების სისტემა, საბავშვო და სპორტული მოედნები, ვიდეო მეთვალყურეობის სისტემა, შადრევანი და ფანჩატურები, ჩატარდება გამწვანებისთვის ყველა საჭირო ღონისძიება, დაირგვება სხვადასხვა სახეობის მწვანე ნარგავები, მოეწყობა სარწყავი სისტემა, დაითესება ბალახი და ტერიტორიაზე შევა ნოყიერი მიწნაზავი; დიღომში განხორციელდება მაიაკოვსკის ძეგლთან არსებული პარკის რეაბილიტაცია, რომლის ღირებულება შეადგენს 4900000 ლარს და რომლის ფარგლებში 31000 კვ.მ. ტერიტორიაზე განხორციელდება იმავე ტიპის ღონისძიებები, რაც ვაზისუბანში მდებარე პარკის რეაბილიტაციის შემთხვევაში; ასეთივე სამუშაოები ჩატარდება 17000 კვ.მ. ტერიტორიაზე, ციციშვილის პარკში, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება 3500000 ლარის შესყიდვა; განხორციელდება მუხიანის პარკის რეაბილიტაცია, რომლის ფართობია 28000 კვ.მ., ხოლო ჯამური ღირებულება შადგენს 5500000 ლარს, თუმცა, ესეც 2023-24 წლების გარდამავალი პროექტია და 2023 წლის ხარჯი იქნება 2250000 ლარი; განხორციელდება პირველი რესპუბლიკის პარკის რეაბილიტაცია, რომლის ღირებულებაა 3500000 ლარი; ისნის და სამგორის რაიონებში განხორციელდება რამდენიმე პარკის რეაბილიტაცია, რისთვისაც გათვალისწინებულია 4000000 ლარი; სამგორის რაიონში, ე.წ. „სამხედრო ქალაქის" მიმდებარედ, 130000 კვ.მ. ტერიტორიაზე, უმაღლესი სტანდარტით, მოეწყობა ახალი პარკი. 2023 წელს, ნარჩენების მიმართულებით დაგეგმილია პოლიგონის მეოთხე უჯრედის მოწყობა, რისთვისაც გამოყოფილია 3000000 ლარი; მომდევნო წელს გათვალისწინებულია ასევე, საფეხმავლო ხიდების რეაბილიტაცია, კერძოდ: ზოოპარკთან დამაკავშირებელი, გმირთა მოედანზე და იუსტიციის სახლთან მდებარე საფეხმავლო ხიდების რეაბილიტაცია; კახეთის გზატკეცილზე განხორციელდება მიწისქვეშა გადასასვლელი ხიდის რეაბილიტაცია; „თბილსერვის ჯგუფისთვის" შევიძენთ ახალ სპეცტექნიკას, რისთვისაც გათვალისწინებულია 9000000 ლარი; 2023 წლის ბიუჯეტში თანხა გათვალისწინებულია: ხელოვნების სკოლების და ბიბლიოთეკებისთვის - 2000000 ლარი; დიღმის მასივში III კვარტალში, მრავალფუნქციური კომლექსის სამშენებლო სამუშაოებისთვის - 2000000 ლარი; სკეიტ პარკებისა და სტადიონებისთვის - 3000000 ლარი; ცხოველთა მონიტორინგის გაძლიერებისთვის და აღჭურვისთვის - 5000000 ლარი. 2023 წელს გაგრძელდება უსახლკაროების პროგრამა, რისთვისაც გამოყოფილია 5000000 ლარი, თუმცა, აღსანიშნავია, რომ წლის განმავლობაში მოხდება ამ თანხის კორექტირება და მუნიციპალიტეტი უფრო მეტი თანხით შეძლებს ამ პროგრამის განხორციელებას. მომდევნო წელს ასევე, გაგრძელდება პენსიონერებისთვის 500 ლარიანი ვაუჩერის პროგრამა, რისთვისაც გათვალისწინებულია 10000000 ლარი. 2023 წელს, სასესხო კომპონენტების ფარგლებში განხორციელდება შემდეგი პროექტები: თბილისის მყარი ნარჩენების მართვა - 30000000 ლარი, საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა - 17500000 ლარი, თბილისის მეტროს პროექტი - 30000000 ლარი, მდგრადი ურბანული მობილობის პროგრამა - 25000000 ლარი და თბილისის ავტობუსების პროექტის მეორე ფაზა - 30000000 ლარი. თბილისის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის წარდგენის შემდეგ, ირაკლი ხმალაძემ აღნიშნა, რომ 2023 წლის იანვარში, თბილისის მერია საკრებულოს წარუდგენს 2023 წლის ბიუჯეტის ცვლილებების პროექტს, სადაც გათვალისწინებული იქნება გარდამავალი ნაშთი, რომლითაც გათვალისწინებული იქნება კიდევ დამატებითი ღონისძიებების განხორციელება.

საკრებულოს წევრებმა კითხვებით მიმართეს თბილისის მერს.

რევაზ სოხაძემ მადლობა გადაუხადა თბილისის მერს წარდგენილი ანგარიშისთვის, რომელიც მისი თქმით, იყო „შთამბეჭდავი". აღნიშნა, რომ ქალაქში მნიშვნელოვანი პრობლემაა წყალმომარაგების და წყალარინების სისტემის კუთხით, ხოლო კომპანია „GWP", რომელიც ამ მიმართულებით ახორციელებს მომსახურებას, დაკისრებულ მოვალეობას ვერ ართმევს თავს და დაინტერესდა, ხომ არ იგეგმება ნაბიჯების გადადგმა იმ მიმართულებით, რომ მუნიციპალიტეტმა თავის თავზე აიღოს ამ მომსახურების გაწევა. რევაზ სოხაძემ ასევე, აღნიშნა, რომ ბოლო წლების განმავლობაში უკანონო მშენებლობებთან დაკავშირებით გამკაცრდა მიდგომა, თუმცა, სამწუხაროდ, ეს პროცესი არ ჩერდება და იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფო მიწების მიტაცებამ მიიღო ორგანიზებული სახე, დაინტერესდა ფიქრობს თუ არა თბილისის მერი, რომ ამ მიმართულებით მიდგომები კიდევ უფრო გასამკაცრებელია, თუნდაც საკანონმდებლო დონეზე ან მუნიციპალური სამსახურების უფლებამოსილების გაფართოების თვალსაზრისით.

ლევან აბაშიძემ მადლობა გადაუხადა თბილისის მერს წარდგენილი ანგარიშისთვის. აღნიშნა, რომ ვაკის პარკში მომხდარმა ტრაგედიამ გამოკვეთა კერძო ექსპერტიზის გადამოწმების და გაკონტროლების, ასევე, უსაფრთხოების მექანიზმების გადახედვის და ახლებურად გააზრების აუცილებლობა, რის შემდეგაც თბილისის მერმა გასცა დავალება, გადამოწმებულიყო ყველა პროექტი, რომელიც დაკავშირებული იყო ვაკის პარკის საექსპერტო ჯგუფთან და დაინტერესდა რა ეტაპზეა ეს პროცესი, რა შედეგები გვაქვს ამ კუთხით და ხომ არ ფიქრობს ქალაქის მერი, რომ დღეს დადგენილი სტანდარტები სრულად ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს შექმნას და აუცილებელია, რაც შეიძლება სწრაფად დაიწყოს მუშაობა მათ გადახედვაზე და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანაზე.

საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ კახა კალაძემ გამოსვლა დაიწყო მშვიდობაზე საუბრით და მიმართა მას: „მგონი კარგად გამოჩნდა მშვიდობას როგორი ფასი აქვს თქვენთვის, აქ ბანერის გადმოკიდების დროს, თქვენი პარტიის წარმომადგენლები ახალგაზრდა გოგოს და ბიჭს თავს რომ დაესხნენ". ისაუბრა 2022 წლის 16 ივლისს განხორციელებულ კერძო და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობაზე, როდესაც თბილისის მერის ინიციატივით, წყნეთში არსებული ორი მიწის ნაკვეთი გაიცვალა მილიონნახევარი ლარის ღირებულების მუნიციპალურ ქონებაში. მისი თქმით, ეს მიწის ნაკვეთები, გაცვლამდე ორი თვით ადრე, შეძენილი იქნა 150000 ლარად და ფიქტიურად გაფორმდა ჭოლაძეების ოჯახის მძღოლზე. საკრებულოს ოპოზიცია აფრთხილებდა უმრავლესობის წარმომადგენლებს, რომ მხარი არ დაეჭირათ აღნიშნული მონაცვლეობისთვის და მონაწილეობა არ მიეღოთ „საეჭვო საქმის ბოლომდე მიყვანაში". რეალურად ასეც აღმოჩნდა, რადგან საკრებულოს ოპოზიციის წარმომადგენლების განცხადების საფუძველზე, პროკურატურამ დაიწყო გამოძიება, მიმართა სასამართლოს, რომელმაც ეს მონაცვლებული მიწის ნაკვეთები დააყადაღა და დღესაც ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. აქედან გამომდინარე, თბილისის მერს მიმართა კითხვით – „ეს არის კორუფცია, ეს არის თქვენი მისამართით ივანიშვილისგან გაკეთებული გაფრთხილება, თუ ორივე ერთად? რას უწოდებდით ამას?" საბა ბუაძემ გაიხსენა კახა კალაძის 2017 წლის ერთ-ერთი დაპირება, როდესაც ქალაქის მერმა თქვა, რომ იქნებოდა ის ადამიანი, რომელიც მოახდენდა თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტის პოპულარიზაციას, რის შემდეგაც ჩვენ ვნახეთ აუდიტის დასკვნა, რომლის თანახმადაც 2017-18 წლებში თბილისის მერიაში იმაზე მეტი საწვავი ჩაასხეს ავტომობილებში, ვიდრე ავზები იტევდა, ვნახეთ თბილისის მერიის საკუთრებაში არსებული ასეულობით ავტომობილი და ასევე, ვუყურებთ იმ ავტოპარკს, რომელიც ემსახურება თბილისის საკრებულოს და ვხედავთ საწვავის გაზრდილ ხარჯებს, რომელმაც ორ მილიონ ლარს გადააჭარბა და აქედან გამომდინარე, მიმართა ქალაქის მერს: „თუ თქვენივე გუნდის წევრებს ვერ არწმუნებთ იმაში, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით ისარგებლონ, თბილისელებმა როგორ უნდა ირწმუნონ საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების პერსპექტივა და როგორ უნდა დაიჯერონ თქვენი რეფორმის, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმაა დღეს დედაქალაქში? რატომ უნდა დაგიჯეროს თქვენ საზოგადოებამ, როდესაც თქვენივე გუნდის

წევრები ორი მილიონი ლარის საწვავს მოიხმარენ?“ საბა ბუაძემ ასევე, გაიხსენა კახა კალაძის მიერ გაცემული დაპირება სატრანსპორტო რეფორმასთან დაკავშირებით, რომ 2022 წელს თბილისში შემოვიდოდა 18 მეტრიანი ავტობუსები და დაინტერესდა აღნიშნული დაპირება იყო საზოგადოების შეცდომაში შეყვანა, ტყუილი თუ ეს იყო პრობლემა?

ნინო წულაძე გამოეხმაურა კახა კალაძის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომ მას აქვს ხალხთან კომუნიკაცია და იცნობს მათ პრობლემებს და მიმართა მას: „რეალურად პასუხისმგებლობას და ანგარიშვალდებულებას რომ გრძნობდეთ ხალხის მიმართ, ბანერის მოტანა და ამ საშუალებით ხალხის კითხვების თქვენამდე მოტანა არ დამჭირდებოდა იმიტომ, რომ რეალურად გეცოდინებოდათ და ბიუჯეტშიც პირდაპირ იქნებოდა მათი კრიტიკული საჭიროებები ასახული“. ისაუბრა უსაფრთხოების საკითხებზე და განაცხადა, რომ მიმდინარე სხდომაზე კითხვები უნდა დაისვას კონკრეტულად უსაფრთხოების ნაწილში. მისი თქმით, 13 ოქტომბრის შემდეგ, მეორე დღესვე უნდა გამოსულიყო ქალაქის მერი და წარმოედგინა გეგმა უსაფრთხოების აუდიტის და მონიტორინგის შესახებ, თუ როგორ განხორციელდებოდა საჯარო სივრცეების შემოწმება, თუმცა დღემდე არ არსებობს ეს გეგმა და აქედან გამომდინარე, კითხვით მიმართა კახა კალაძეს: „კონკრეტულად უსაფრთხოების მიმართულებით რა პოლიტიკა გაქვთ? რატომ უნდა გენდოთ დღეს თბილისის მოსახლეობა, რომ ის სარეაბილიტაციო ღონისძიებები, რომლებიც დაგეგმილი გაქვთ, მათ შორის, 2023 წლის ბიუჯეტით, უსაფრთხო იქნება და რეალურად არ განმეორდება ვაკის პარკის ტრაგედია?“ ნინო წულაძემ აღნიშნა, რომ მის მიერ მოტანილ ბანერზე კითხვების უმეტესობა ვრცელდება სატრანსპორტო პოლიტიკაზე და დაინტერესდა, კახა კალაძემ, სატრანსპორტო სააგენტოს ხელმძღვანელად რა დამსახურების გამო შეარჩია ვიქტორ წილოსანი, ადამიანი, რომლის მთავარი ძიღწევა რადიო „უცნობის“ გენერალური დირექტორობაა და ამის შემდეგ, ოპოზიციაზე ამბობს, რომ „თურმე გაგებაში არ არიან“ და მიმართა თბილისის მერს: „პოლიტიკაც არ გაქვთ რეალურად საცობები როგორ განმუხტოთ“. ნინო წულაძემ ისაუბრა კახა კალაძის მიდგომაზე ევროკავშირთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ადამიანს, რომელსაც აქვს პრეტენზია, რომ არის ხალხის მიერ არჩეული მერი, გამოდის ისეთი ანტიდემოკრატიული, ანტიდასავლური და ანტიკონსტიტუციური გამოთქმებით, რომ თურმე ევროკავშირმა „თავისთვის დაიტოვოს ის არაფრისმომცემი სტატუსი“ და მიმართა მას: „ვინ მოგცათ უფლება, რომ საქართველოს მოსახლეობის 84%-ის ურყევ ნებას დასავლურ ორიენტაციასთან და ევროკავშირის წევრობასთან დაკავშირებით, აყენებთ კითხვის ნიშნის ქვეშ?“ ასევე, ისაუბრა პიროტექნიკის გამოყენების შედეგად დაშავებული ადამიანების რაოდენობაზე, რაც მისი თქმით, საგანგაშოა ბოლო წლების სტატისტიკის მიხედვით და დაინტერესდა, როდის უნდა დაიგეგმოს პიროტექნიკის მოწესრიგების ღონისძიებები. საუბრის ბოლოს, ნინო წულაძემ რიტორიკული კითხვით მიმართა თბილისის მერს: „როდის უნდა გაჩერდეს მეტროსადგურ გოცირიძეზე მატარებელი?“

შალვა ოგბაიძემ აღნიშნა, რომ ირაკლი ხმალაძის თქმით, თბილისის 2023 წლის ბიუჯეტში 18 მეტრიანი ავტობუსების შესყიდვისა და ავტობაზის მშენებლობის დაწყებისთვის გათვალისწინებულია თანხა და დაინტერესდა არის თუ არა შერჩეული კონკრეტული ადგილი ავტოპარკისთვის, როდის დაიწყება მშენებლობა და როდის ველოდებით 18 მეტრიანი ავტობუსების პირველი პარტიის შემოყვანას. შალვა ოგბაიძემ ასევე, აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ უკვე მიღებულია ცვლილება, რომელიც ადგილობრივ თვითმმართველობას ანიჭებს თავისუფლებას მიიღოს გადაწყვეტილება, რომ სატაქსომოტორო მომსახურების სფეროში დასაქმებულ მძღოლებს უფლება ჰქონდეთ, უსაფრთხოების მიზნით, ავტომანქანა არ გააჩერონ სავალ ზოლში და გადავიდნენ ე.წ. „ბასლაინში“ და დაინტერესდა, მომავალ წელს, ტაქსების რეფორმის მესამე ეტაპზე, გათვალისწინებული იქნება თუ არა ტაქსის გადასვლა „ბასლაინში“, მგზავრების ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით.

ლევან არველაძემ აღნიშნა, რომ თბილისის 2023 წლის ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული ისეთი გამზირების რეაბილიტაცია, როგორებიცაა: შოთა რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას და ალექსანდრე ყაზბეგის გამზირები და დაინტერესდა, არის თუ არა რაიმე გეგმა ან გრაფიკი, თუ როდის შეიძლება განხორციელდეს აღნიშნული. ასევე აღნიშნა, რომ საკმაოდ დიდი თანხა

დაიხარჯა ლისის ტბის მიმდებარედ მეწყრული ზონის გამაგრებასთან დაკავშირებით და ამასთანავე, მიმდინარეობს ყოველდღიური მონიტორინგი და დაინტერესდა, რა ვითარებაა ამ მიმართულებით დღეის მდგომარეობით. საუბრის ბოლოს აღნიშნა, რომ დაგეგმილია მეტროს ვაგონების შესყიდვა და დაინტერესდა, აღნიშნული განხორციელდება თუ არა ისევ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მხადაჭერით.

ირაკლი ეთგვერაძე გამოეხმაურა კახა კალაძის სიტყვებს მშვიდობასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ არ არსებობს ადამიანი, რომელსაც არ უნდა მშვიდობა საქართველოში, მაგრამ მშვიდობა თავისუფლების გარეშე, არ მგონია მოიპოვებოდეს - ეს არ არის რომელიმე პარტიის ან ადამიანის ხედვა, ეს ისტორიული კანონზომიერებაა. ასევე, გამოეხმაურა კახა კალაძის მიერ უკრაინელების მხარდაჭერასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და მიმართა მას: „ამდენი ხნის მანძილზე რატომ ვერ განხორციელდა თქვენი ვიზიტი, თუნდაც მორალური მხარდაჭერა რომ გამოგეხატათ კიევში, სადაც ყველაფერი მოგცათ ამ ქალაქმა თქვენ. მაშინ ფრენების არარსებობას აბრალებდით, მაგრამ დემოკრატიული სამყაროს ბევრი ლიდერი ორჯერ, ზოგი სამჯერაც ჩავიდა, თქვენ ერთხელაც ვერ ჩახვედით. მინდა გკითხოთ: როცა გადაწყვიტეთ, მშვიდობის ქალაქი დაგერქვათ თბილისისთვის, თუ იცოდით, რომ 2019 წელს, გროზნოს - კადიროვის ქალაქსაც რომ „მშვიდობის ქალაქი" ერქვა... სიმბოლურია, ყველაფერი სიმბოლურია... როცა გადაწყვიტეთ, რომ გენიალური პოეტის, ლადო ასათიანის გენიალური ლექსი შეგეცვალათ, რომელიც ბრძოლაზე, თავგანწირვაზე და უკვდავებაზეა დაწერილი და თქვენ რაღაც პროპაგანდას მოარგეთ, ლაჩრობის სიმბოლოდ აქციეთ, რომელი სტრიქონი არ მოგეწონათ, თუ გაქვთ წაკითხული? რამ გადაგაწყვეტინათ ამ ლექსის შეცვლა და სიტყვების ჩანაცვლება, როგორებიც არის „ოცნება" და „მშვიდობა", სადაც ხუთსტროფიან ლექსში არც სიტყვა ოცნებაა ნახსენები და არც მშვიდობა."

ანა გოგოლაძემ მიმართა კახა კალაძეს: „წარმოუდგენელია და თქვენც თქვენი სიტყვა ამით დაიწყეთ, დღეს იყოთ ამ დარბაზში და შეკითხვების დიდი ნაწილი არ ეხებოდეს 13 ოქტომბრის ტრაგედიას და მის განზოგადებულ სურათს და შეკითხვების დიდი ნაწილი არ მოდიოდეს უსაფრთხოების და პასუხისმგებლიანი პოლიტიკური სისტემის საკითხებზე". მისი თქმით, 13 ოქტომბერს მომხდარმა ტრაგედიამ ცხადყო, რომ ერთი მორიგი შადრევნის რეკონსტრუქციის დროს, სისტემამ დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა მისცა ყველას - დამკვეთს, შემსრულებელს და ზედამხედველს, რაც უპირველეს, ყოვლისა არის სისტემის გამოწვევა. ისაუბრა ორი კვირის წინ მომხდარ მძიმე შემთხვევაზე, როდესაც არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ავტობუსის მძღოლი დაეჯახა ფეხით მოსიარულეს, რაც დასრულდა ტრაგედიით, რაც, მისი თქმით, არ ყოფილა უბედური შემთხვევა. ეს იყო სისტემური ხარვეზი და სისტემის გამოწვევა, რომ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა ადამიანმა გაბედა, რომ ასობით და ათასობით ადამიანის სიცოცხლეზე პასუხისმგებლობა აეღო ასეთ მდგომარეობაში, რადგან ჰქონდა იმედი, რომ სისტემას გამორჩებოდა ეს ფაქტი, თუმცა, აღნიშნული გამოვლინდა იმიტომ, რომ მომხდარი დასრულდა ტრაგედიით. ანა გოგოლაძემ განაცხადა, რომ პოლიტიკოსების მხრიდან გულითადი სამძიმარი გამოიხატება არა მხოლოდ სამძიმრის ფორმით, არამედ იმით, თუ რას ცვლიან ისინი ასეთი ტრაგედიების შემდეგ და მიმართა კახა კალაძეს: „თქვენ, როგორც დედაქალაქის მერი და უმაღლესი თანამდებობის პირი, როგორ იაზრებთ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას იმ მოცემულობაში, როდესაც სისტემამ ყველა მონაწილე სუბიექტს, ყველა შრეში, მისცა დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა და რას აკეთებთ ან რა გააკეთეთ ამ ტრაგედიების შემდეგ იმისათვის, რომ დედაქალაქში მოსახლეობას ამ დოზებით გმირობის გამოჩენა აღარ დასჭირდეს".

გიორგი ჩაკვეტაძე გამოეხმაურა ანა გოგოლაძის განცხადებას და მიმართა მას: „ადამიანები, რომლებიც აქ არიან, არიან ჟურნალისტები და ჩვენი თანაქალაქელები და თქვენი ხელისუფლებაში ყოფნის დროს იყო ზუსტად, რომ მოქალაქე გასული იყო სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობიდან და ამაზე პასუხისმგებლობა თქვენ აიღეთ. ასევე, როგორ საუბრობთ და როგორ აძლევთ თავს უფლებას, რომ ავტობუსის მძღოლის ალკოდამოკიდებულებაზე ისაუბროთ, როდესაც მერი გყავთ წალენჯიხაში, რომელიც ჩვეულებრივი ალკოჰოლიკი არის". გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტმა

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო 2022 წელს, რომელთა შორისაც არის მიმდინარე სხდომაზე ნახსენები მიწის ნაკვეთების მონაცვლეობები. აღნიშნა, რომ ფეხბურთის ფედერაციას უკვე გადაეცა „ავაზას“ სპორტული ბაზა, სადაც მოეწყობა მნიშვნელოვანი სპორტული ობიექტები და რამდენიმე კითვხით მიმართა ქალაქის მერს: რა მდგომარეობაა დიღმის მასივის საცურაო აუზთან დაკავშირებით, კერძოდ, ვადებთან დაკავშირებით; რა იგეგმება კერძო კომპანიასთან მონაცვლებული სოფელი დიღმის ერთ-ერთ ობიექტზე; დაახლოებით რა ეტაპზეა მულტიფუნქციური ცენტრების მშენებლობის პროექტი. განაცხადა, რომ მისი აზრით, იქიდან გამომდინარე, რომ ბიუჯეტმა გამოიწვია ბევრი მიმართულებით დაფინანსების მატება, აუცილებელია რაიონულ გამგეობებში მოხდეს კულტურული და სპორტული ღონისძიებებისთვის განკუთვნილი თანხის გაზრდა და დაინტერესდა, იგეგმება თუ არა და თუ იგეგმება, როდის, ამ მიმართულებით გამოყოფილი თანხის მატება. გიორგი ჩაკვეტაძემ აღნიშნა, რომ თბილისის მერმა ისაუბრა ავარიული სახლების ჩანაცვლებაზე, აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით რამდენიმე მისამართზე აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს და დაინტერესდა, დაახლოებით რამდენ მისამართზე იგეგმება ავარიული კორპუსების ჩანაცვლება 2023 წელს და როგორი სტრატეგია გვაქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კონსერვაციის, აღდგენის და რეაბილიტაციის კუთხით.

ზურაბ ჩიკვილაძემ აღნიშნა, რომ თბილისის მერია ძალიან ბევრ მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს ჯანდაცვის და სოციალური მიმართულებით, თუმცა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ის, რომ შესრულდეს თბილისის მერის წინასაარჩევნო დაპირება და 2023 წელს განხორციელდეს ენდოპროტეზირების ოპერაციების დაფინანსება და ართრიტის მედიკამენტოზური მკურნალობის დაწყება, რადგან აღნიშნული დაკავშირებულია დიდ თანხებთან და შესაბამისად, მოქალაქეებისთვის ძალიან ძიმე ტვირთია.

მიხეილ კაკაურიძემ აღნიშნა, რომ კახა კალაძემ ისაუბრა იმ მიღწევებზე, რომელიც ქალაქს გააჩნია და დაინტერესდა, თბილისში დღეს არსებული სატრანსპორტო კოლაფსი და ურნაბული ქაოსი მას მიღწევად მიაჩნია? მიხეილ კაკაურიძემ რამდენიმე კითხვით მიმართა თბილისის მერს: „თვლით თუ არა, რომ როდესაც საკითხი ეხება საქართველოს ხვალინდელ დღეს, ევროპულ მომავალს, უნდა დაიხიოთ უკან, თუნდაც საკუთარ შეხედულებებზე და ევროპარლამენტის გადაწყვეტილებები შეასრულოთ იმისათვის, რომ საქართველო იყოს ევროპული ოჯახის წევრი? შეგიძლიათ თუ არა უკან დაიხიოთ, თუნდაც თქვენთვის მიუღებელი გადაწყვეტილებების შესრულებასთან დაკავშირებით, მიიღოთ ის გადაწყვეტილება, რომელიც განაპირობებს საქართველოს ხვალინდელ დღეს?.. როდესაც თქვენ მკაფიოდ და პირდაპირ აცხადებთ ოპოზიციათან თანამშრომლობაზე უარს, ამით უფრო მეტად შეურაცხყოფას აყენებთ თუ არა იმ ამომრჩეველს, პირველ რიგში, რომელმაც აირჩია ოპოზიცია და ისინი ქალაქის უმრავლესობას შეადგენენ თქვენივე გამოცხადებული არჩევნების შედეგების შესაბამისად“. მიხეილ კაკაურიძემ ისაუბრა მეტროსადგურ ახმეტელის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მდგომარეობაზე, სადაც, მისი თქმით, ათზე მეტი სამარშრუტო გზა იკვეთება და მთელი ამ ავტობუსების კონცენტრაციის ადგილზე არ არის არც ერთი მოსაცდელი და მიუხედავად იმისა, რომ მეტროსადგურ ახმეტელის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსაცდელების მოწყობის მოთხოვნით, საკრებულოს წევრის მიერ, მერიის შესაბამის სამსახურში გაგზავნილია წერილი, აღნიშნულ ტერიტორიაზე მოედნის ხელახალი რეაბილიტაციის დროს არ იქნა გათვალისწინებული მოსაცდელის მოწყობა. აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, კახა კალაძე თვლის თუ არა, რომ ამით შეურაცხყოფას აყენებენ არა საკრებულოს იმ წევრს, რომლის მოთხოვნასაც არ ითვალისწინებენ, არამედ იმ ათასობით ადამიანს, რომლებსაც „მზის გულზე, წვიმაში და ქარში“ უწევთ მოსაცდელების გარეშე ტრანსპორტის ლოდინი და თვლის თუ არა, რომ მთავრობის ასეთი წევრი ისევ უნდა იყოს მის გვერდით. აქვე, ისაუბრა იმაზე, რომ საკრებულოს წევრის წერილობით მოთხოვნას გზების ორმოულ შეკეთებაზე არ ითვალისწინებს ამა თუ იმ რაიონის გამგეობა და დაინტერესდა, კახა კალაძე თვლის თუ არა, რომ ამით, გამგებლის მეშვეობით შეურაცხყოფას აყენებს არა საკრებულოს კონკრეტულ წევრს, არამედ იმ რვაას ოჯახს, რომელიც ამ გზით სარგებლობს.

საუბრის ბოლოს მიმართა თბილისის მერს: „არ შეიძლება ოპოზიციის დაყენებულ საკითხზე გაუძალიანდეთ იმას, რაც საჭიროა და ეს საჭიროება აუცილებლად თავის შედეგს გამოიტანს."

გიორგი ონიანმა აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით ოცდათექვსმეტი ქართველი გმირი არის დაღუპული უკრაინაში, სადაც იცავენ მშვიდობას და იმას, რომ აქ არ გადმოვიდეს ის ბრძოლის ველი, რაც დღეს უკრაინაშია და თხოვნით მიმართა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, რომ წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ მათი ხსოვნისთვის, რის შემდეგაც სხდომაზე დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო უკრაინაში დაღუპული ქართველი მებრძოლების ხსოვნას. გიორგი ონიანმა აღნიშნა, რომ ქალაქის მერთან შეკითხვები აქვს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მას, ინიციატივის სახით, წარდგენილი აქვს საკრებულოსთვის, თუმცა, სამწუხაროდ, საკრებულომ საჭიროდ არ ჩათვალა მათი განხილვა. აღნიშნა, რომ საბა ბუაძემ ისაუბრა მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის ერთ-ერთ საკითხზე, რომელთან დაკავშირებითაც დაწყებულია გამოძიება და განაცხადა, რომ არაერთი მონაცვლეობის საკითხი იწვევს კითხვის ნიშნებს, როგორც საზოგადოებაში, ასევე, ოპოზიციაშიც. აქედან გამომდინარე, მას ჰქონდა ინიციატივა, რომ მუნიციპალური მიწა, რომელიც იცვლება ქალაქისთვის მნიშვნელოვანი მიწის დასაბრუნებლად, ექსპერტის შეფასების შემდეგ, სანამ განხორციელდებოდა გაცვლა, მაგალითად 25%-ის დამატებით გაგვეტანა აუქციონზე, რითიც რეალურად დადასტურდებოდა ამ მიწის ფასი და ის, თუ რამდენად სწორად და სამართლიანად იქნა შეფასებული. იმ შემთხვევაში, თუ არავინ გამოხატავდა ინტერესს, ვეღარავინ იტყოდა, რომ მონაცვლეობა მოხდა კორუფციული ნიშნების შემცველი გარიგებით ან არასწორად შეფასდა მიწის ნაკვეთის ღირებულება. ასევე, წარდგენილი აქვს კიდევ ორი ინიციატივა: უკრაინაში დაღუპული ქართველი მებრძოლების, რომლებიც, მისი „ღრმა რწმენით", იცავენ მშვიდობას საქართველოში, სახელის მინიჭება რომელიმე სკვერისთვის და მერიის დაქვემდებარებაში არსებული მუნიციპლური ლაბორატორიის, რომელსაც 6000000 ლარი აქვს დაფინანსება, თუნდაც დაფინანსების გაორმაგებით, ცალკე ლოტად გატანა. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, დაინტერესდა, რა პოზიცია აქვს თბილისის მერს მის ინიციატივებთან დაკავშირებით. გიორგი ონიანმა ასევე, გაიხსენა კახა კალაძის მიერ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით გაკეთებული ერთ-ერთი ბოლო განცხადება, რომ „ამ ამბავს ჰყავს თავისი აქტორები, იმართება სხვადასხვა ქვეყნიდან გაფორმებული სხვადასხვა კონტრაქტებით" და კითხვით მიმართა მას: „ხვალ რომ თქვენ სასამართლოში დაგიბარონ, მზად ხართ თუ არა წარადგინოთ ეს კონტრაქტები?" საუბრის ბოლოს, გაიხსენა ქალაქის მერის მიერ გასულ წელს გაჟღერებული ინფორმაცია, რომ მიუსაფარ ცხოველებთან დაკავშირებით, კანონპროექტის შემუშავებაზე მიმდინარეობდა მუშაობა, რომლის თანახმადაც, იმ ადამიანების მიმართ, ვინც უპასუხისმგებლოდ იყვანს ცხოველებს და შემდეგ, ასევე უპასუხისმგებლოდ უშვებს ქუჩაში დაწესებული იქნებოდა პასუხისმგებლობა, რადგან აღნიშნული ქმნის ძალიან სერიოზულ პრობლემას - ერთი მხრივ, არიან ადამიანები, რომლებსაც ძალიან ეშინიათ და მეორე მხრივ, ვართ საზოგადოება, რომელსაც მართლა გული შეგვტკივა მიუსაფარ ცხოველებზე და იქიდან გამომდინარე, რომ ზემოთ ხსენებული კანონპროექტი მუნიციპალიტეტს ხელს შეუწყობს ამ პრობლემასთან ბრძოლაში, დაინტერესდა არის თუ არა უკვე მომზადებული კანონპროექტი და თუ არა, როდისთვის იგეგმა მისი წარდგენა პარლამენტისთვის.

ნინო რუხაძემ რამდენიმე კითხვით მიმართა ქალაქის მერს: აღნიშნა, რომ თბილისის 2023 წლის ბიუჯეტით გარკვეული თანხა გათვალისწინებულია ლილოს ნაგავსაყრელის მოწყობის სამუშაოებისთვის და დაინტერესდა როდის ექნება თბილისს მოწესრიგებული ნაგავსაყრელი? რა პროგრესია თბილისს შემოერთებულ ტერიტორიებზე დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით არსებული პრობლემის მიმართულებით და როდის მოხერხდება ამ პრობლემის სრულად მოგვარება? თბილისის მერს მიზანშეწონილად მიაჩნია თუ არა, რომ თბილისში შემოღებული იქნას ტურისტული გადასახადი?

მამუკა გუგეშაშვილმა რამდენიმე კითვხით მიმართა თბილისის მერს: აღნიშნა, რომ უფასო სასადილოების კუთხით გამოყოფილი თანხა ძალიან მცირეა და დაინტერესდა, მოხდება თუ არა დაფინანსების მატება ამ მიმართულებით; ასევე, აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი

ტრანსპორტის მიმართულებით მდგომარეობა გამოსწორდა, თუმცა კიდევ ბევრი რამ არის მოსაწესრიგებელი და დაინტერესდა რა არის დაგეგმილი ამ კუთხით არსებული პრობლემების გადასაჭრელად. მამუკა გუგეშაშვილმა თბილისის მერს, მიმართა თხოვნით, რომ თბილისის მერიამ 2023 წელს მოაწყოს სკვერი, რომელსაც მიენიჭება უკრაინაში დაღუპული ქართველი მებრძოლების სახელი და ასევე, მუხათგვერდის სასაფლაოზე, გმირთა მემორიალიდან პანთეონამდე, დაახლოებით 200 მეტრის გზაზე, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში, მოხდეს ასფალტის დაგება.

გივი ჩხარტიშვილმა განაცხადა, რომ კახა კალაძე და მისი გუნდი ასოცირდება დედაქალაქში მრავალწლიანი პრობლემების მოგვარებასთან და რამდენიმე კითხვით მიმართა მას: აღნიშნა, რომ ელიავას ბაზრობა ყველასთვის და განსაკუთრებით დიდუბეში მაცხოვრებელი ადამიანებისთვის არის გამოწვევა, როგორც ჯანმრთელობის, ასევე ინფრასტრუქტურის და უსაფრთხოების კუთხით და დაინტერესდა რა ეტაპზეა ამ მიმართულებით დაწყებული სამუშაოები და ზოგადად, რა იგეგმება ამ კუთხით; განაცხადა, რომ ასევე რთული მდგომარეობაა ავტოსადგურ „ოკრიბას“ ტერიტორიაზე და დაინტერესდა იგეგმება თუ არა რაიმე პროექტის განხორციელება იქ არსებული მდგომარეობის მოსაწესრიგებლად და გასაუმჯობესებლად; გივი ჩხარტიშვილმა აღნიშნა, რომ დიდუბის რაიონს პრობლემა აქვს რეკრეაციული სივრცეების კუთხით, მუშთაიდის ბაღი 50 წლიანი იჯარით არის გასხვისებული, საჭიროებს რეაბილიტაციას და დაინტერესდა მუნიციპალიტეტს აქვს თუ არა რესურსი, რომ მომავალ წელს დაიწყოს მუშაობა პროექტის შემუშავებაზე, რათა 2024 წელს დაიწყოს ამ ისტორიული ბაღის რეაბილიტაცია.

გიორგი შარაშიძემ რამდენიმე კითხვით მიმართა თბილისის მერს: აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში ცოტა ხნის წინ განხორციელებული ცვლილებები, რომელიც ინიცირებული იყო „ქართული ოცნების“ მიერ და რომლის თანახმადაც, საკრებულოში მერის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის არდამტკიცების შემთხვევაში, პოლიტიკური პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ საკრებულოსთვის და არ დგება მერისთვის, ერთმნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება ევროპული რეკომენდაციების სულისკვეთებას და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას. აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, რამდენად გამართლებულ ინიციატივად მიაჩნია კახა კალაძეს თავისი გუნდის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილება; ისაუბრა საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის ტარიფზე, რომელიც თითქმის ერთი წლის წინ გაძვირდა, თუმცა მაშინ უმრავლესობის არგუმენტი იყო, რომ ტარიფები არათუ გაძვირდა, არამედ გაიაფდა, რასაც ხსნიდნენ იმით, რომ მგზავრობის ტარიფი გაიაფდა იმ ადამიანებისთვის, ვინც სარგებლობს მრავალჯერადი, გრძელვადიანი აბონემენტით, რისი საწინააღმდეგოც არავის არაფერი აქვს, თუმცა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც იხდიან ერთჯერად საფასურს, ტარიფი გაძვირებულია. აქედან გამომდინარე, ითხოვა სტატისტიკური მონაცემები იმის შესახებ, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ გაძვირებულა და დღეისათვის, ერთწლიანი სტატისტიკის მიხედვით, რამდენი ადამიანი სარგებლობს გრძელვადიანი აბონემენტებით და რამდენი - ერთჯერადი გადახდით; გიორგი შარაშიძე ასევე, დაინტერესდა, თუ სად ხედავს კახა კალაძე საკუთარ კონკურენტულ უპირატესობას და გამოწვევას, როგორც თბილისის მერი და როგორც მენეჯერი? ეს კონკურენტული უპირატესობა არის მხოლოდ მის მიერ წარმოდგენილ ციფრებში, რომ თურმე მილიარდობით გადახდილი ლარით, რომელსაც საქართველოს მოქალაქეები იხდიან, ახერხებს ათეულობით სკვერის გახსნას და რამდენიმე ათასი კვადრატული მეტრი ასფალტის დაგებას თუ მისი კონკურენტული უპირატესობა შეიძლება ყოფილიყო ის, რომ გაეუმჯობესებინა თბილისის მმართველობა და მაქსიმალურად დაეახლოვებინა ევროპული სტანდარტის ღია და გამჭირვალე ეფექტიან მმართველობასთან.

ზვიად კუპრავამ აღნიშნა, რომ წლების წინ, კახა კალაძე იყო მიხეილ სააკაშვილის აქტიური მხარდამჭერი და იქიდან გამომდინარე, რომ ბევრი „მითქმა-მოთქმა“ არსებობს იმასთან დაკავშირებით თუ რა მოხდა იმ პერიოდში მასსა და მიხეილ სააკაშვილს შორის, მათ შორის, საუბარია, რომ კონფლიქტი გამოწვეული იყო იმით, რომ კახა კალაძეს არ გადასცეს მახათას მთა, დაინტერესდა, რამდენად შეესაბამება აღნიშნული სიმართლეს. ზვიად კუპრავამ გაიხსენა

2021 წლის არჩევნების პერიოდი, როდესაც ქალაქის მასშტაბით, სარეკლამო ბანერებზე და ბილბორდებზე იყო პლაკატები, წარწერით: „მე კალამის გუნდის წევრი ვარ“. აღნიშნა, რომ ამ ბანერებზე და ბილბორდებზე იყო ავთანდილ ცინცაძეც და მიმართა კახა კალაძეს: „რომ იცოდეთ ეს თქვენი გუნდის წევრები ეხლა დარბიან სასამართლო-სასამართლო, პროკურატურა-პროკურატურა და კუპრავამ მცემაო იძახიან, თან ამბავი კიდევ იცით რა არის? არ მიცემია სინამდვილეში ეს ხალხი, იბრალებენ ამას თავის თავზე.“ ზვიად კუპრავას თქმით, კარგი იქნება თუ კახა კალაძე დაინტერესდება ამ საკითხით და გაესაუბრება მის მეგობრებს, მათ შორის ავთანდილ ცინცაძესაც.

ვახტანგ სურგულაძის თქმით, თბილისის მერმა იცის, რომ ქალაქის ძირითადი ოთხი ფუნქცია არის ტრანსპორტი, უსაფრთხოება, სისუფთავე და დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ, თუმცა მის გამოსვლაში არცერთხელ არ გაჟღერებულა რამე ისეთი, რაც ეხება ჩვენი საზოგადოების ყველაზე მოწყვლად ფენას - უსინათლოებს, სმენადაქვეითებულებს და ეტლზე დამოკიდებული ადამიანებს. მისი თქმით, 2014 წლიდან, მიერთებული ვართ გაეროს კონვენციას, რომლის თანახმად, ყველა საჯარო ობიექტი მათზე უნდა იყოს ადაპტირებული, თუმცა, ისიც რაც გაკეთდა უსინათლოებისთვის, პრაკტიკულად არ გაკეთდა, რადგან ნორმალურად არ არის დაყენებული ხმოვანი სიგნალები, მელიქიშვილზე ზებრა გადასასვლელზე ე.წ. ტაქტილური ფილები დაგებულია მხოლოდ მარჯვენა მხარეს, განსხვავებულია ქეთევან წამებულზე დაყენებული ხმოვანი სიგნალები, რომელიც პრობლემას უქმნის ამ ადამიანებს. აქედან გამომდინარე, დაინტერესდა: რატომ არ შეიძლებოდა ქეთევან წამებულის გამზირზე დაგებულიყო ტაქტილური ბილიკები, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ იქვე მდებარეობს უსინათლოების სკოლა; რატომ ვერ მოხერხდა, რომ ცენტრალურ მარშრუტებზე მოძრავ ავტობუსებში, გამოცხადდეს გაჩერება; რატომ არ ხდება იმის გადამოწმება, თუ რამდენად შეესაბამება შესრულებული სამუშაო სტანდარტებს. საუბრის ბოლოს, ვახტანგ სურგულაძემ განაცხადა, რომ ამ ადამიანებს სჭირდებათ მუნიციპალიტეტის თანადგომა და ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა, ჩვეულებრივად, როგორც ყველამ, ისე იცხოვრონ ამ ქალაქში.

მარიამ ზაქარიაშვილმა მადლობა გადაუხადა თბილისის მერს ანგარიშისთვის და დაინტერესდა, რა ნაბიჯების გადადგმა იგეგმება 2023 წელს უსახლკარო ცხოველების პრობლემის მოგვარების კუთხით და რას ფიქრობს აღსრულების მექანიზმების გააქტიურება-გამკაცრებაზე შინაური ცხოველების ალიკაპის გარეშე ტარებასთან დაკავშირებით.

ირაკლი ხელაძემ, როგორც ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომლებიც აწუხებს ამ რაიონის მაცხოვრებლებს. ესენია: კომპანია „GWP“-სთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც არ გვარდება კომპანიის უპასუხისმგებლობის გამო, თუმცა მოსახლეობას აღარ აინტერესებს ის, რომ ეს არის კერძო კომპანია და მუნიციპალიტეტისგან ითხოვს მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწესრიგებას. აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, იგეგმება თუ არა რაიმე მექანიზმის მოფიქრება ამ მიმართულებით. აღნიშნა, რომ ნაძალადევის რაიონში გაუქმდა მიკროავტობუსის სამი მარშრუტი და მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი კეთდება კონკრეტულ კვლევებზე, ცოდნაზე და პრაქტიკაზე დაყრდონით, მოსახლეობაში დგას სერიოზული პრობლემა გადაადგილების კუთხით, მაგალითად, თემქაზე, სანზონაში და ლოტკინის დასახლებაში მაცხოვრებლებს ქალაქის რამდენიმე წერტილში მოსახვედრად უწევთ რამდენიმე გადაჯდომა. ირაკლი ხელაძემ ასევე, ისაუბრა საახალწლო განათებებზე, აღნიშნა, რომ სოციალურ ქსელებში ფიქსირდება ძალიან დიდი უკმაყოფილება თემქაზე საახალწლო ილუმინაციების დამონტაჟებასთან დაკავშირებით და ითხოვა, რომ გამოინახოს დამატებითი საშუალებები, რათა ამ ადამინების სურვილები იქნას გათვალისწინებული ან მომავალ წელს მაინც მოხდეს ცენტრალურ ქუჩებზე საახალწლო განათებების განახლება. თემქის საქალაქო პარკის მშენებლობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საზოგადოებისთვის უფრო მისაღები იქნება ქალაქის მერის მხრიდან მიწოდებული სიახლეები პროცესთან და დასრულების ვადებთან

დაკავშირებით და ასევე, კარგი იქნება თბილისის მერისგან მოვისმინოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როდის შეძლებენ ადამიანები გოცირიძის მეტროსადგურით სარგებლობას.

ცოტნე კობერიძემ რამდენიმე კითხვით მიმართა კახა კალაძეს: „ვიცი, რომ სტადიონზე გულშემატკივრები და ფანები გეხმარებოდათ ემოციურად და კარგი იყო, მაგრამ საკრებულოში რატომ დაგჭირდათ ტაშის დამკვრელები? ტაშის დამკვრელების გარეშე თავს სუსტად გრძნობთ თუ ფანები აქ რატო გჭირდებათ?" აღნიშნა, რომ მისი შემდეგი კითხვა ეხება მარიტა მეფარიშვილს და კიდევ ერთხელ მიმართა მას: „როგორც მეურვემ, რა უნდა ქნათ იმაზე მეტი, რომლის მერეც იგრძნობთ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას? და რას ვგულისხმობ - თქვენ მიერ გახსნილ პარკში თქვენ დაპატიჟეთ ადამიანები, იმ პარკში რომ არაფერი მომხდარიყო, თქვენ პოლიტიკურ ქულებს ცხადია ჩაიწერდით - „რა კარგი პარკი გაგვიხსნა კახიმ", მაგრამ ამ ტრაგედიის მერე, მხოლოდ გამოძიებაზე რატომ საუბრობთ, პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე რატომ არ საუბრობთ? მერიაში, თქვენზე გაცილებით დაბალი თანამდებობის პირმა რომ იგრძნო პოლიტიკური პასუხისმგებლობა, ის თუ გადადგა, თქვენ რატომ არ გადადექით, თქვენ რატომ არ იგრძენით ეს პოლიტიკური პასუხისმგებლობა?" ცოტნე კობერიძე ასევე დაინტერესდა, თბილისის მერს ერთხელ მაინც თუ უმგზავრია მეტროთი ახმეტელიდან საკრებულომდე დაცვის გარეშე და თუ შეუმჩნევია, რომ შესასვლელთან პოლიციელმა შესაძლებელია გაგჩხრიკოთ, ბარათს რომ გაატარებთ, იქ შეიძლება ოთხი კაცი მოვიდეს, „აფერისტად" ჩაგთვალოს და შეგიმოწმოს ბარათი, რის შემდეგაც ქვევით სანამ ჩახვალთ, შეიძლება ესკალატორი გაჩერდეს, გურამიშვილს რომ ჩაუვლით, დაინახავთ რომ იქ არსებული მდგომარეობა არაფერს არ ჰგავს, ხოლო მეტროს მეორე ხაზზე გადასვლისას, შეიძლება „მწყემსები" დაგხვდნენ, რომლებიც დაგიწყებენ სწავლებას თუ საით უნდა წახვიდე. საუბრის ბოლოს, ცოტნე კობერიძემ ისევ მიმართა კახა კალაძეს: „სააკაშვილი რომ ზის ციხეში, თქვენი აზრით, იმ დანაშაულების გამოც ზის, რაც 2007 წლამდე ჩაიდინა და თუ კი, მაშინ რატომ მიეცით მას საშულება, რომ მეორე ვადითაც მოსულიყო და ხალხს რატომ მოუწოდეთ, რომ ხმა მიეცათ თუ პირველ ვადაშიც დამნაშავე იყო, მაგრამ არ გაინტერესებდათ, რადგანაც პოლიტიკურად კარგად იყავით დალაგებული?"

ავთანდილ ცინცაძემ აღნიშნა, რომ სოფელ დიღომში მოუწესრიგებელია წყალარინების სისტემა, რაც პრობლემას უქმნის ადგილობრივ მოსახლეობას. მართალია, დედაქალაქის მერიამ და რაიონულმა გამგეობამ ამ მიმართულებით განახორციელა რამდენიმე პროექტი, მაგრამ პანდემიის გამო გადაიდო სამუშაოების დასრულება და აქედან გამომდინარე, თხოვნით მიმართა ქალაქის მერს, უთხრას იქ მაცხოვრებელ მოქალაქეებს, რა მიმართულებით მივდივართ და როგორ უნდა განვვითარდეთ ამ კუთხით. ასევე, ისაუბრა, მარშალ გელოვანი - მაჭავარიანის დამაკავშირებელ გზაზე, რომელიც, მისი თქმით, არის ძალიან მნიშვნელოვანი გზა და აღნიშნა, რომ ერთი დღეც არ შეჩერებულა ამ მიმართულებით მიმდინარე სამუშაოები, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ძალიან რთული რელიეფია, გართულდა გზის მშენებლობა და დაინტერესდა, კომპანიისგან გვაქვს თუ არა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როდის შეიძლება დასრულდეს ამ გზის მშენებლობა.

ირაკლი ნადირაძემ მიმართა კახა კალაძეს: „თქვენ მიხეილ სააკაშვილს პირადად იცნობთ და ძალიან უხერხულია თქვენი განცხადებები და როდესაც ეს განცხადებები პუტინის გარემოცვის განცხადებებს ემთხვევა ხოლმე, ცოტა უხერხულია, იმიტომ, რომ თქვენ იყავით ის ადამიანი, რომელიც წლების განმავლობაში თვალებში შესციცინებდით ამ კაცს". ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ ვაკის პარკის შადრევნის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად კომპანია „გრინ სერვის პლიუსი", რომლის დამფუძნებლები იყვნენ ნასამართლევი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, შეირჩა იმ მიზეზით, რომ ეს კომპანია წლებია დაახლოებულია ქალაქის მერთან და დაინტერესდა, მერიაში, ამდენმა ადამიანმა როგორ ვერ შენიშნა, რომ, მათ შორის, შუალედურ ექსპერტიზას აკეთებდა ისეთი საექსპერტო ბიურო, რომელიც თაღლითობაში იყო მხილებული და ამ ადამიანებს, სხვადასხვა დროს, ექსპერტებად გაფორმებული ჰყავდათ გარდაცვლილი ადამიანები? მაშინ, როდესაც თბილისის მერიას აქვს მუნიციპალური ლაბორატორია, რომლის დაფინანსებაზეც იხარჯება მილიონობით ლარი, რატომ არ გაუწიეს მათ ტექნიკური ზედამხედველობა ამ სამუშაოებს? თუ

იქ გამართულად არ მუშაობდა ე.წ. გაჟონვის რელე, დამიწების სისტემები და შესაბამისი უსაფრთხოების სისტემები, მაშინ თბილისის მერმა რატომ გახსნა „ზარ-ზეიმით“ ეს „მკვლელი შადრევანი“, რომელმაც ამ დიდ ტრაგედიამდე მიგვიყვანა? თუ დამთავრებული იყო ეს სამუშაოები და შადრევანი გახსნილი იყო, მაშინ ვინ მისცა დავალება, რომ ის კაბელები შეეფუთათ და იყო თუ არა კახა კალაძე ის ადამიანი, ვინც გასცა ეს დავალება? ირაკლი ნადირაძემ ისაუბრა შესყიდვებზე და განაცხადა, რომ ისევ გრძელდება „მილანური შესყიდვები“ და ამჯერად საბავშვო ატრაქციონებიც კი მილანიდან ჩამოდის. ასევე, ისაუბრა მიწის ნაკვეთების მონაცვლეობაზე და აღნიშნა, რომ ბახტაძის გარემოცვაში მყოფი პირის მძღოლს, გაუცვალეს 1500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რაც ფაქტობრივად, იყო ფიქტიური გარიგება, რაზეც საქმეა აღძრული და დაინტერესდა, იყო თუ არა ეს კორუფციული გარიგება? მისი თმით, მაშინ, როდესაც დედაქალაქში არის სატრანსპორტო კოლაფსი, თბილისის მერია რატომ აძლევს „ქართული ოცნების“ დეპუტატს, ნინო წილოსანს და ბატონ ირაკლი რუხაძეს საშუალებას, რომ ქალაქის შუაგულში აწარმოონ „მავნებლური მშენებლობები?“ ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ შარშან საუბრობდა კახა კალაძის მეჯვარეზე, თუმცა წელს ის უკვე თავისი ცოლის მეჯვარეს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ნაფეტვრებში, სპორტული კომპლესის ნაცვლად ააშენოს კორპუსები. საუბრის ბოლოს, ირაკლი ნადირაძემ მიმართა თბილისის მერს: „თქვენ ხშირად ახსენებთ ხოლმე ლევან ხაბეიშვილს, მე სათქმელი არაფერი აღარ მაქვს, თქვენთან კითხვები ყველაფერი გარკვეულია, ამიტომ, საჩუქრად გამომატანა ნამდვილი ხელბორკილები, მოირგეთ ბატონო კახი, იმიტომ, რომ დიდხანს მოგიწევთ ამ ხელბორკილების ტარება. ეს იქნება თქვენი დღევანდელი დღის სიმბოლო.“

გურამ ოქროპირიძემ აღნიშნა, რომ რამდენიმე კითხვა აქვს სატრანსპორტო პოლიტიკასთან დაკავშირებით, კერძოდ: რა პერიოდში ველოდებით ათი სატრანსპორტო დერეფნის პროექტის დასრულებას და რა მოცულობის სამუშაოები განხორციელდება 2023 წელს? იმ მეტროსადგურებზე, სადაც პიკის საათებში ყველაზე დიდი დატვირთვაა, როდის დაიწყება დამატებითი ამოსასვლელების მოწყობის სამუშაოები და რა ფორმით იგეგმება მისი დასრულება?

ნათია მოდებაძემ აღნიშნა, რომ მისი კითხვები ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, კერძოდ: ცენტრალური ქუჩების გარდა, მეორეხარისხოვან ქუჩებსა და გადასასვლელებზე, იგეგმება თუ არა, ჭკვიანი შუქნიშნების დადგმა და დაახლოებით რა ვადაშია გათვლილი ამ მიმართულებით ქალაქის განვითარება; უსინათლოთა კავშირში გაჟღერებული ინფორმაციის თანახმად, უსინათლო და ნახევრადმხედველ პირებს ემსახურებათ ოთხი გამცილებელი და რამდენად არის იმის შესაძლებლობა, რომ 2023 წელს მათ დაემატოს თუნდაც ერთი გამცილებელი.

ლილე ლიპარტელიანმა საუბარი დაიწყო ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედიით და აღნიშნა, რომ ვაკის პარკში განხორციელებულ სამუშაოებზე დაიხარჯა 13000000 ლარი, რის შედეგადაც მივიღეთ „მკვლელი შადრევანი“, სადაც ვერ იქნა დაცული ბავშვების უსაფრთხოება. განაცხადა, რომ ობიექტების, მათ შორის, ბაღების, პარკების და სკვერების დაცვა არის უსაფრთხოების სამსახურის მოვალეობა და დაინტერესდა, სად იყვნენ იმ დღეს უსაფრთხოების სამსახურის შესაბამისი განყოფილების თანამშრომლები, რატომ არ იყვნენ ვაკის პარკში და რატომ არ მიიღეს შესაბამისი ზომები, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც ხორციელდებოდა ვაკის პარკის ვიდეომონიტორინგი? ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მარიტა მეფარიშვილი გარდაიცვალა ასფიქსიით და დაინტერესდა, შესაძლებელი იყო თუ არა მისი გადარჩენა? თუმცა, თავადვე უპასუხა ამ კითხვას, რომ „ალბათ, შესაძლებელი იყო, თუ იმოქმედებდნენ უსაფრთხოების სამსახური და სხვა ყველა, ვისაც ევალებოდა იმის კონტროლი, რომ ბავშვების სიცოცხლე გადაერჩინა და კარგია, რომ იმ ორი ბავშვის სიცოცხლე შევინარჩუნეთ და დღეს ჯანმრთელად არიან“ და კიდევ ერთხელ იკითხა, თუ სად იყო უსაფრთხოების სამსახური, რას აკეთებდა იმ დღეს და რატომ არ იყო და არ ასრულებდა თავის მოვალეობას ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედიის დღეს, 13 ოქტომბერს? ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ 2014 წლის დეკემბერში, ბათუმში, პოლიციელი თარაშ მუკბანიანი მოკლა შინაგან საქმეთა მინისტრის, ალექსანდრე

ჭიკაიძის მეგობარმა, რომელსაც 2015 წელს მიესაჯა პატიმრობა 12 წელი, თუმცა, 2019 წლის აგვისტოში, საქართველოს პრეზიდენტმა შეიწყალა თარაშ მუკბანიანის მკვლელი და მიმართა კახა კალაძეს: „დისკრეცია სალომე ზურაბიშვილის თუ არის შეწყალება, როგორ ფიქრობთ, მიხეილ სააკაშვილისთვის იგივე დისკრეცია არ მოქმედებდა? რატომ გაქვთ შერჩევითი სამართალი და რატომ იქნება სალომე ზურაბიშვილის მიერ გადადგმული ნაბიჯი, მიხეილ სააკაშვილის, პრეზიდენტის, რომელმაც ქვეყანა სახელმწიფოდ აქცია, შეწყალების შემთხვევაში, მძიმე ნაბიჯი მისი კარიერისთვის? ბატონო კახი და თქვენს სიტყვებს შეგახსენებთ, რომ „თუ რა გაკეთდა არ დაინახო, დაუნახავი იქნებიო“ და დაუნახავი ხართ ბატონო კახი? ვერ უყურებთ რა გაკეთდა იმ ცხრა წელში?“

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ უკანონო მშენებლობებთან დაკავშირებით ფიქრობს, რომ ზედამხედველობის ფუნქციები არის საკმაოდ ბევრი და საჭირო, თუმცა ბერკეტები არის ძალიან ცოტა და დაინტერესდა საქართველოს პარლამენტთან მიმდინარეობს თუ არა მუშაობა იმასთან დაკავშირებით, რომ გაძლიერდეს მუნიციპალური ინსპექციის სამსახური, რადგან ამ ადამიანებს აქვთ ძალიან დიდი პასუხისმგებლობები, თუმცა, მისი აზრით, არ აქვთ ის ბერკეტები, რაც რეალურად ქალაქის ზედამხედველობის და ინსპექციის სამსახურს უნდა ჰქონდეს და იმისათვის, რომ უფრო ეფექტური გახდეს მათი მუშაობა, იგეგმება თუ არა გარკვეული ცვლილებები, მათ შორის, უკანონო მშენებლობების კონტექსტში? აქვე აღნიშნა, რომ ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულებს მუნიციპალიტეტმა გადასცა ძალიან ბევრი ქონება და დაინტერესდა, რამდენად გვაქვს ინფორმაცია ამ ვალდებულებების შესრულების დინამიკასთან დაკავშირებით; ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ თბილისში სერიოზული პრობლემაა რამდენიმე კომპანია, რომელთა მიერ შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და იქიდან გამომდინარე, რომ გარკვეული სამუშაოს უხარისხოდ შესრულება ან საერთოდ არშესრულება მოსახლეობის აღქმაში არის ქალაქის მიერ მათ წინაშე შესასრულებელი ვალდებულება, დაინტერესდა, რა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაა დაგეგმილი ამ მიმართულებით.

სალომე კობალაძემ განაცხადა, რომ ვაკის პარკის ტრაგედია, რომლის პოლიტიზირების წინააღმდეგი იყო და არის დღემდე, ყველაზე მწვავე გამოხატულებაა იმისა, თუ რა მძიმე შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს სისტემურმა პოლიტიკურმა კორუფციამ, რაც მომავალს უკარგავს და განვითარების საშუალებას უსპობს ქვეყნას და მიმართა კახა კალაძეს: „თქვენ, როგორც თბილისის მერი, აპირებთ თუ არა პოლიტიკური პასუხისმგებლობის აღებას კორუფციასთან ბრძოლაზე, როგორც მთავარ გამოწვევაზე და მზად ხართ თუ არა, ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაუსვათ ამ პრობლემას?“

ლევან ჯაფარიძე გამოეხმაურა ირაკლი ნადირაძის მიერ კახა კალაძისთვის ხელბორკილების ტარებასთან დაკავშიერბით გაკეთებულ განცხადებას და მიმართა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს: „ჩვენი ხელისუფლების პირობებში ბორკილები ადევს იმას, ვისაც უნდა ედოს და ის დრო აღარსდროს დაბრუნდება, როცა თქვენ ადებდით ვიღაცას ბორკილებს. ეგ გამორიცხეთ, ეგ გავიარეთ უკვე და გვედო საკმარისზე მეტი და დიდხანს“. ლევან ჯაფარიძემ კრწანისის რაიონში არსებული პრობლემებიდან გამომდინარე რამდენიმე კითხვით მიმართა ქალაქის მერს: როდის დაიგეგმება გორგასლის გამზირის და მისი მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია და რა შეიძლება ამ მიმართულებით შევთავაზოთ ადგილობრივ მოსახლეობას? როდის იგეგმება კრწანისის რაიონში მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსის მშენებლობა და ხომ არ იგეგმება ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამის გავრცელება ქალაქის ისტორიულ ზონებსა და ძველ თბილისზე.

თბილისის მერმა, მერის პირველმა მოადგილემ და მოადგილეებმა უპასუხეს საკრებულოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს.

კახა კალაძემ აღნიშნა, რომ დედაქალაქში წყალმომარაგების მიმართულებით არსებობს სერიოზული გამოწვევები, არსებული ქსელი არის უმძიმეს მდგომარეობაში და თითქმის

ყოველდღიურად, თბილისის რომელიმე რაიონში, რომელიმე ქუჩაზე არის წყლის მიწოდების ან ავარიის პრობლემა. მუნიციპალიტეტის მიდგომა და დამოკიდებულება გამოწვეულია სწორედ არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, რომ იქ სადაც ხორციელდება სარეაბილიტაციო სამუშაოები, გვინდა ძირეულად იქნას განახლებული და რეაბილიტირებული მიწისქვეშა კომუნიკაციები (საკანალიზაციო ქსელი, წყლის სისტემები, გაზის მილები), თუმცა არის ისეთი ქუჩები, სადაც ჯერ ვერ ხერხდება სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება და შესაბამისად აღნიშნული წარმოადგენს უდიდეს პრობლემას. თბილისის მთავრობის წარმომადგენლებს არაერთი შეხვედრა ჰქონდათ კომპანია „GWP"-სთან, რომელიც წყალმომარაგების მიმართულებით ოპერირებს დედაქალაქში და მიღწეული იქნა შეთანხმება - იმის მიუხედავად, მუნიციპალიტეტი შედის თუ არა სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად, განხორციელდება გარკვეული ინვესტიციები, რადგან თბილისში არის პატარა ქუჩები, სადაც რაიონული გამგეობები ვერ ახორციელებენ ინფრასტრუქტურული სამუშაოების წარმოებას იმიტომ, რომ მიწისქვეშა კომუნიკაციები არის უმძიმეს მდგომარეობაში. პარალელურად, ასევე, კომპანიამ ითხოვა, რომ სემეკთან მოხდეს ერთობლივი შეხვედრა, რათა მათი ინვესტიციები ასახული იქნება ტარიფში, რაც, რა თქმა უნდა, მუნიციპალიტეტის გადასაწყვეტი არ არის და ეს არის მარეგულირებელი კომისიის მიერ მისაღები გადაწყვეტილება, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მომავალ წელს დაგეგმილია ამ შეხვედრის მოწყობა. ამასთან დაკავშირებით შეხვედრა მოეწყო რაიონების გამგებლებთან, რომელთა მხრიდან მოწოდებულია კონკრეტული პრიორიტეტული ქუჩები, რომ მოხდეს სამუშაოების წარმოება და, რა თქმა უნდა, კომპანია GWP"-სთან ერთად, გვექნება იმის შესაძლებლობა, რომ 2023 წელს გაკეთდეს იმ ქუჩების ნუსხა, სადაც განხორციელდება სამუშაოების წარმოება და პარალელურად მას მოუწევს იმ ვალდებულებების აღება, რაც არის მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება იმისთვის, რომ მოსახლეობას არ შეექმნას პრობლემა, თუნდაც წყლის მიწოდების თვალსაზრისით. კახა კალაძემ აღნიშნა, რომ დღევანდელი ხელისუფლებისთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო უკანონო მშენებლობები, ამ მიმართულებით გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები, მათ შორის, რეგულაციების გამკაცრებით, ჯარიმების გაზრდით და ბოლოს მივედით იქამდე, რომ თუ მშენებელი არ შეაჩერებს უკანონო მშენებლობას, ჯარიმის საფუძველზე, აღნიშნული გადავა სისხლის სამართლის დანაშაულზე. მისი თქმით, ქალაქის მასშტაბით, იყო არაერთი ისეთი შემთხვევა, როდესაც დაჯარიმების მიუხედავად, მაინც მიმდინარეობდა უკანონო მშენებლობა, რადგან იმდენად მცირე იყო ჯარიმის ოდენობა, რომ მშენებელს, მისაღები მოგების ფონზე, უღირდა ჯარიმის გადახდა, თუმცა, ამ ეტაპზე, კახა კალაძე ფიქრობს, რომ ეს კანონი იმუშავებს. რაც შეეხება სისხლის სამართლის დანაშაულებს, არის კონკრეტული მაგალითები, სადაც მშენებლობები შეჩერებულია, ხოლო ბარათაშვილზე უკვე მიღებულია გადაწყვეტილება და მონგრეულია გადამეტებით აშენებული ფართი. მაგალითისთვის ისაუბრა დღეს მიმდინარე ორ უკანონო მშენებლობაზე, კერძოდ, საბურთალოს რაიონში ოთხსართულიანი შენობის ნაცვლად აშენებულია ექვსსართულიანი შენობა, სადაც რა თქმა უნდა, განხორციელდება გადამეტებული ორი სართულის დემონტაჟი. ანალოგიური პრობლემაა ამაღლების ქუჩაზეც, სადაც მშენებლებს მოუწევთ გადამეტებული სართულის დემონტაჟი და განაცხადა, რომ თუკი ასეთი ფაქტები დაფიქსირდება, რა თქმა უნდა, მუნიციპალიტეტის მხრიდან იქნება ძალიან მკაცრი მიდგომა და მაქსიმალურს გააკეთებს იმისთვის, რომ ეს ყველაფერი მოექცეს შესაბამის ჩარჩოებში. აქვე აღნიშნა, რომ თუ კიდევ რაიმე დამატებითი ღონისძიებებია საჭირო, მათ შორის, საკანონმდებლო მიმართულებით ან კიდევ უფრო გასამკაცრებელია რეგულაციები და ამასთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული მოსაზრებები, თბილისის მთავრობა მზად არის თანამშრომლობისთვის და შესაძლებელია, ერთად ვიმსჯელოთ არსებულ ხედვებზე. კახა კალაძემ განაცხადა, რომ ვაკის პარკში მომხდარი უმძიმესი ტრაგედია ძალიან მძიმე იყო თითოეული ჩვენგანისთვის და თბილისელისთვის. მისი თქმით, მშენებლობებზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უსაფრთხოებას და ხარისხს, რისი დასტურიც არის ის, რომ 2017 წლიდან მოყოლებული, დედაქალაქის მასშტაბით, სხვადასხვა რაიონებში, ქუჩებსა და უბნებში განხორციელებული უამრავი პროექტიდან, არათუ პროექტის დასრულების შემდგომ, არამედ სამუშაოების

შესრულების პროცესშიც კი არავის შექმნია რაიმე პრობლემა, მათ შორის, არც იმ ადამიანებს, ვინც უშუალოდ ახორციელებს სამუშაოებს და ამ ტრაგედიასთან დაკავშირებით ყველა კითხვას პასუხი უნდა გასცეს გამოძიებამ - რა იყო პრობლემა? რამ არ იმუშავა? რატომ არ იმუშავა? და ა.შ. რაც შეეხება ექსპერტიზის დასკვნას, აღნიშნა, რომ მისი დავალებით, მოხდება ყველა იმ ობიექტის შემოწმება, რომლის ექსპერტიზაც, ბოლო წლების განმავლობაში, ჩატარებული იქნა „მშენ-ექსპერტის" მიერ, ასევე ჩაუტარდება ექსპერტიზა იმ პროექტებს, რომელიც ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა პროექტის სახით წარმოდგენილია მერიაში და ექსპერტიზის დასკვნა მომზადებულია „მშენ-ექსეპერტის" მიერ და იმაზე, თუ რა მიმართულებით იგეგმება ამ კომპანიის მიერ ჩატარებული ექსეპირტიზის გადამოწმებები, დეტალურად ისაუბრებს ირაკლი ხმალაძე. მიწის ნაკვეთების მონაცვლეობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მიწის ნაკვეთების გაცვლისას პირველ რიგში, ხდება არსებული მიწის ნაკვეთების შეფასება - მუნიციპალიტეტი აფასებს თავის კუთვნილ მიწის ნაკვეთს, ხოლო კერძო მესაკუთრე თავის კუთვნილ მიწის ნაკვეთს აფასებინებს ნებისმიერ აკრედიტირებულ საექსპერტო ბიუროს. როდესაც მერიაში ხდება კონკრეტული შეფასებების წარმოდგენა, შესაძლებელია იყოს ფასთა შორის სხვაობა და კერძო მესაკუთრეს მოუწიოს თანხის გადახდა მუნიციპალიტეტისთვის ან მუნიციპალიტეტს მოუწიოს დამატებით მიწის ნაკვეთის გადაცემა კერძო მესაკუთრისთვის. რაც შეეხება საბა ბუაძის მიერ ხსენებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობას, ამ კონკრეტულ შემთხვევაზე დეტალურ განმარტებებს გააკეთებს ირაკლი ხმალაძე. საზოგადოებრივი ტრანსპორტის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა მისთვის და მისი გუნდისთვის და ეს არის მიმართულება, რომელიც უდიდესი პრობლემა იყო დედაქალაქში. დღევანდელმა ხელისუფლებამ დაიწო ამ მიმართულებით მუშაობა და პირველ რიგში, შეფასდა არსებული ვითარება, დავიქირავეთ მსოფლიოში საუკეთესო კომპანიები, რომლებსაც ამ მიმართულებით განუხორციელებიათ არაერთი პროექტი და აქვთ დიდი გამოცდილება, რის შემდეგაც მოხდა არსებული ვითარების შეფასება და დაიგეგმა კონკრეტული ღონისძიებები და გასადგმელი ნაბიჯები იმისთვის, რა უნდა გაკეთდეს, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი იყოს გამართული, მოწესრიგებული, ყველაზე სწრაფი და ყველასთვის ხელმისაწვდომი. ცხადია, ამას სჭირდება გარკვეული დრო და „ერთი ხელის მოსმით" ერთ და ორ წელიწადში შეუძლებელია ამხელა რეფორმის განხორციელება. ყველას ახსოვს, თუ რა ვითარება იყო დედაქალაქში ავტობუსების და მიკროავტობუსების თვალსაზრისით 2017-18 წლებში და იქიდან გამომდინარე, რომ ამ მიმართულებით იყო კატასტროფულად მძიმე მდგომარეობა და დავარდნილი იყო საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარება, იზრდებოდა კერძო ავტომობილების რაოდენობა და სამწუხაროდ, ეს ტენდენცია დღესაც ნარჩუნდება, თუმცა, ამაზე ვერაფერს ეტყვი მოსახლეობას. დღევანდელი ხელისუფლების მთავარი ამოცანა არის ის, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი გახდეს პოპულარული, რისთვისაც გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები: სრულად შეცვლილია ყვითელი ავტობუსების პარკი - დედაქალაქს ჰყავდა დაახლოებით 600 ერთეული ავტობუსი, საიდანაც ხაზზე მუშაობდა 400, ხოლო დანარჩენი იყო სათადარიგო, ხოლო დღეს დედაქალაქს ჰყავს ახალი, ევროპული ტიპის, 800 ერთეული ავტობუსი; განხორციელდა ასევე უმძიმეს მდგომარეობაში არსებული მიკროავტობუსების პარკის სრულად განახლება და ჩანაცვლება. თუმცა, თავადაც არ არის კმაყოფილი იმით, რაც დღეს ხდება ქალაქში, თუნდაც საზოგადოებრივი ტრანსპორტის კუთხით, რადგან შეუძლებელია იყო კმაყოფილი მაშინ, როდესაც ჯერ არ დასრულებულა რეფორმა და ვართ გარდამავალ ეტაპზე - დღეს ჩვენ გავდივართ ყველაზე მნიშვნელოვან და რთულ ეტაპს ყველანაირი თვალსაზრისით, მათ შორისაა: საზოგადოების დამოკიდებულება მუნიციპალური ტრანსპორტის მიმართ და შესაბამისი ზოლების გაჩენა ავტობუსებისა და მიკროავტობუსებისთვის. ეს ყველაფერი სიახლეა საზოგადოებისთვის და ბევრს ვერ წარმოუდგენია და შეიძლება არც იცოდეს, რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება. კახა კალაძემ აღნიშნა, რომ ცხადია, არავის მოუწოდებს, გააჩეროს კერძო მანქანა და აუცილებლად გადავიდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობაზე, რადგან თითოეული ადამიანის ნება და უფლებაა იმგზავრებს კერძო ავტომობილით, ავტობუსით, მიკროავტობუსით, მეტროთი, ეკომეგობრული ტრანსპორტით, ველოსიპედით

თუ გადაადგილდება ფეხით, თუმცა თბილისის მოსახლეობას ჰპირდება, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება იქნება კომფორტული. განაცხადა, რომ დღევანდელი ხელისუფლება ღირსეულად უპასუხებს არსებულ გამოწვევებს - დაგეგმილია 18 მეტრიანი ავტობუსების შესყიდვა და ავტობაზის მშენებლობა 2023-24 წლებში, კონკრეტულ მეტროსადგურებზე არის პრობლემები, რომლის გადასაჭრელადაც, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დახმარებით, გვაქვს მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმა, რომლის განხორციელებაც დაგეგმილია. თუმცა, თუ საკრებულოს წევრებს აქვთ დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკისგან განსხვავებული რაიმე მოსაზრება, სიამოვნებით მიიღებს მათ რჩევას და შეხედულებას იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა გაკეთდეს და რას არ აკეთებს დედაქალაქის მერია იმისთვის, რომ განავითაროს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, შესაბამისი ინფრასტრუქტურით. აღნიშნა, რომ ყველა დაეთანხმება იმაში, რომ შეუძლებელია ინფრასტრუქტურული პროექტების წარმოება ერთიანად, რადგან იწვევს უდიდეს დისკომფორტს და ყველამ ნახა, რომ დედაქალაქში ორი გამზირის რეაბილიტაციამ გამოიწვია ის, რომ გადაადგილებელი იყო შეუძლებელი. შესაბამისად, მერია ამ მიმართულებითაც აწყდება გარკვეულ პრობლემებს და ამიტომ ცდილობს, ეტაპობრივად განახორციელოს კონკრეტული პრობლემური კვანძების მოწესრიგება და ავტობუსის ზოლების დახაზვა დედაქალაქში. გამოეხმაურა მის განცხადებებთან დაკავშირებით გამოთქმულ კრიტიკას და განაცხადა, რომ „ევროპა და ევროპულ ღირებულებებზე უკეთესი მგონი დღეს არაფერი არსებობს. წლების განმავლობაში ვცხოვრობდი ევროპაში და ძალიან კარგად ვიცი, რა არის ევროპა, რა არის დემოკრატია, რა არის ევროპული ღირებულებები, რა არის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება. მაგრამ, როდესაც ჩვენ ე.წ. „ჩვენი მეგობრები" მოგვიწოდებენ აბსოლუტურად კანონსაწინააღმდეგო და კონსტიტუციის საწინააღმდეგო ქმედებებისკენ, რომ „გაათავისუფლეთ კონკრეტული პატიმარი,", რომელსაც აქვს კონკრეტული დანაშაულებები ჩადენილი ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის წინაშე, რა თქმა უნდა, ეს განცხადებები კატეგორიულად მიუღებელია. აქ შინაარსობრივად საუბარია იმაზე, რომ თუ თქვენ არ გაათავისუფლებთ მიხეილ სააკაშვილს, მაშინ ჩვენ მივიღებთ გადაწყვეტილებას და არ მოგცემთ თქვენ კანდიდატის სტატუსს". აქედან გამომდინარე, კითხვით მიმართა ნინო წულაძეს: „ეს ნორმალურია? ეს ლექსიკა, ეს მიდგომები, ეს დამოკიდებულება ნორმალურად მოგაჩნიათ? ეს არის ევროპული და დემოკრატიული ღირებულებები? ასე გვინდა ავაშენოთ ჩვენი ქვეყანა? ასე გვინდა განვავითაროთ ჩვენი ქვეყანა? ასე, რომ, მეგობრებო, პირველ რიგში, პატივი უნდა ვცეთ საკუთარ ქვეყანას, პირველ რიგში, პატივი უნდა ვცეთ საკუთარ ხალხს. ვისთვის გვინდა ევროპა? ვისთვის გვინდა ევროპული და დემოკრატიული ღირებულებები? ჩვენი ხალხისთვის და ჩვენი ქვეყნისთვის. მაგრამ იმ განცხადებებს, რომლებსაც ჩვენ ვისმენთ ბოლო დღეების განმავლობაში ე.წ. „მეგობრებისგან", მერწმუნეთ, საერთოდ არანაირი კავშირი არ აქვს არც ევროპასთან, არც ევროპულ ღირებულებებთან და არც დემოკრატიასთან". კახა კალაძემ ავტობაზის მშენებლობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ განმარტებას გააკეთებს ირაკლი ხმალაძე. რაც შეეხება იმას, რომ შეძლებენ თუ არა „A" კატეგორიის ტაქსის მძღოლები ავტობუსის ზოლით სარგებლობას მგზავრების ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით, აღნიშნა, რომ კითხვის ავტორს ამაზე დეტალურ ინფორმაციას მიაწვდის ცოტა მოგვიანებით, თუმცა დღეს შეუძლია თქვას, რომ დაანონსებულია ტაქსების რეფორმების მესამე ეტაპი, რომელიც საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანია მათთვის, ვინც ფლობს „A" კატეგორიის ტაქსის ლიცენზიას. ამასთანავე, „A" კატეგორიის ტაქსის მძღოლებისთვის შესაძლებელი იქნება საავტობუსე ზოლებში გადასვლა და გაჩერება მგზავრების ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით. დედაქალაქის სხვადასხვა გამზირების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე განმარტა, რომ მომავალ წელს დაგეგმილია წერეთლის გამზირის რეაბილიტაცია, ხოლო რაც შეეხება რუსთაველის და ვაჟა-ფშაველას გამზირებს, აღნიშნა, რომ, რა თქმა უნდა, განხორციელდება მათი რეაბილიტაციაც, თუმცა ეს ვერ მოხერხდება 2023 წელს. საუბარი იყო იმაზეც, რომ არ არსებობს ზებრა გადასასვლელები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის გადაადგილება უდიდეს პრობლემას წარმოადგენს და განაცხადა, რომ ამ ქალაქში არასდროს ექცეოდა ყურადღება ამ მიმართულებას, თუმცა დღევანდელი ხელისუფლების მიდგომა და დამოკიდებულება არის ის, რომ ახალი პროექტების

განხორციელებისას, მაქსიმალურად გათვალისწინებული იყოს ეს მიმართულება. აქედან გამომდინარე, აუცილებლად განხორციელდება ამ გამზირების განახლება-რეაბილიტაციაც. ლისის ტბის მიმდებარე მეწყრულ ზონასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სიტუაცია სტაბილურია და არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან უსაფრთხოების ზომები გათვალისწინებულია უმაღლეს დონეზე. იქ ჩატარებული სამუშაოები იყო ძალიან მნიშვნელოვანი და პარალელურად აყენია 24 საათიანი სამეთვალყურეო სისტემები და თუკი რაიმე მცირე ცვლილება ან გადაადგილება იქნება, თბილისის მერიას მაშინვე ექნება ინფორმაცია. კახა კალაძემ აღნიშნა, რომ მეტროს ვაგონების შესყიდვასთან დაკავშირებით განმარტებას გააკეთებს ირაკლი ხმალაძე. ლადო ასათიანის ლექსის შეცვლასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ფიქრობს, ამ ყველაფრის გაგება იყო ძალიან მარტივი, რადგან ეს იყო ჩვეულებრივი პერიფრაზი, ხოლო აზრი იყო ზუსტად ის, რომ ქართველი სულ იბრძვის, მაგრამ არასდროს ნებდება და სულ აქვს სიცოცხლის სურვილი. კახა კალაძემ აღნიშნა, რომ ვერ გაიგო ანა გოგოლაძის შეკითხვის შინაარსი და სთხოვა მას კითხვის დაზუსტება. ანა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ მისი კითხვა ეხებოდა ქალაქის მერის პოლიტიკურ პასუხისმგებლობას და იყო შემდეგი შინაარსის: „მაშინ, როდესაც თქვენი მერობის პერიოდში და ეს არ არის პირველი ვადა, თქვენი მეორე ვადა არის, სისტემამ დაუშვა, რომ პროცესის მონაწილე ყველა სუბიექტმა დაუშვა შეცდომა და მიზანმიმართული დანაშაული, სად ხედავთ თქვენ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას და რა გააკეთეთ იმისთვის, რომ მსგავსი ტრაგედიები და შეცდომები გამოირიცხოს". ამის შემდეგ, კახა კალაძემ მიმართა ანა გოგოლაძეს: „ვფიქრობ, ცოტა გადამეტებით მოგდით შეფასება „მიზანმიმართული დანაშაული" - ეს ძალიან მძიმე ბრალდებაა და ვფიქრობ, ძალიან მძიმეა ეს ყველაფერი. ამიტომ, ალბათ უკეთესი იქნება ცოტა შეარჩიოთ სიტყვები, შეარჩიოთ შინაარსი. რაც შეეხება სისტემურ დანაშაულს, მე გეტყვით რა იყო სისტემური დანაშაული. სისტემური დანაშაული იყო რასაც „ნაციონალური მოძრაობა" აკეთებდა 2012 წლამდე. ეს იყო უმძიმესი ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი ხალხისთვის. სისტემური დანაშაული იყო ის, რაც ხდებოდა ციხეებში - როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ პატიმრების მიმართ. სისტემური დანაშაული იყო ის, როდესაც ადეიშვილის კაბინეტში იბარებდით ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებს. სისტემური დანაშაული იყო ის, როდესაც ციხეებიდან გამოგყავდათ დაკავებული ადამიანები და ახდენდით მათი ქონების გადაფორმებას. სისტემური დანაშაული იყო როდესაც მშობლებს ახალგაზრდებს უხოცავდით ქუჩაში, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობთ. თქვენ, „ნაციონალურ მოძრაობას", არ გაქვთ არანაირი მორალური უფლება ისაუბროთ ამ ყველაფერზე. რაც შეეხება იმ უმძიმეს ტრაგედიას, რა თქმა უნდა, მე მზად ვარ, ეს არ არის უბრალოდ სიტყვები, ვინც მიცნობს, ძალიან კარგად ხვდება რასაც ვამბობ, თუკი ოდნავ მაინც რაიმე გადაცდომა იქნება, ჩემი მხრიდან, მე მზად ვარ ავიღო ეს პასუხისმგებლობა, დავტოვო თანამდებობა და პასუხი ვაგო კანონის წინაშე. დანარჩენს გამოძიება დაადგენს ყველაფერს". დიღმის საცურაო აუზთან, მულტიფუნქციურ ცენტრებთან და გამგეობებში სპორტულ-კულტურულ ღონისძიებებთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე განმარტა, რომ ყველა რაიონის გამგეობას აქვს ბიუჯეტი და თავად იღებენ გადაწყვეტილებას, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ ბიუჯეტის გადანაწილება. ამაში ქალაქის მერი არ ერევა და მისი ჩარევა არც არის სწორი, რადგან რაიონის გამგებელმა უკეთ იცის თავის რაიონში რა არის გასაკეთებელი და თანხები როგორ და რა მიმართულებით განკარგოს. თუმცა, თუ არსებობს რაიმე მოსაზრება, რომ გარკვეული თანხა მიმართული იყოს სხვა მიმართულებით, შესაძლებელია ამ თემაზე მსჯელობა. ხოლო რაც შეეხება დიღმის საცურაო აუზს და მულტიფუნქციურ ცენტრებს, ამასთან დაკავშირებით დეტალურ განმარტებას გააკეთებს ანდრია ბასილაია. ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ 2017 წლიდან მოყოლებული, შემოტანილია ძალიან ბევრი სიახლე, ფინანსდება ბევრი პროგრამა და თუ საკრებულოს შესაბამისი კომისია და მერიის შესაბამისი სამსახური თვლის, რომ საჭიროა დამატებით რაიმე პროგრამები იმისთვის, რომ ადამიანებს მივცეთ კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა, რისთვისაც საჭირო იქნება დამატებითი თანხების მოძიება, მზად არის ითანამშრომლოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან. ახმეტელის მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგებასა და მოსაცდელების მოწყობაზე განმარტა, რომ გამგეობა ახორციელებდა სამუშაოებს, რომელიც დასრულდა

რამდენიმე კვირის წინ, ხოლო რაც შეეხება მოსაცდელებს, ცხადია მოხდება მათი დამონტაჟება, ეს გათვალისწინებულია ბიუჯეტში. ოპოზიციასთან თანამშრომლობის კუთხით დასმულ შეკითვხაზე განაცხადა: „მეგობრებო, მგონი ჩვენ რაღაცები ძალიან მალე გვავიწყდება. მე არასდროს არ მითქვამს უარი საკრებულოში, თბილისის საკეთილდღეოდ, ოპოზიციასთან თანამშრომლობაზე. შეიძლება ჩვენ მეგობრები არ ვიყოთ, რაღაცები ერთმანეთის არ მოგვწონდეს, მაგრამ ის, რომ ვითანამშრომლოთ ამ მიმართულებით, ჩემი მხრიდან ყოველთვის იყო მზაობა. მაგრამ, მგონი დამეთანხმებით, რომ ცალმხრივი ვერაფერი ვერ იქნება - ვერც ურთიერთობა, ვერც მეგობრობა, ვერც სიყვარული. სიყვარულს არ ვითხოვ, უბრალოდ, თბილისისთვის საკეთილდღეო საქმეების კეთებაში მე ყოველთვის მზად ვარ და ყოველთვის ვამბობდი, რომ შეგვიძლია ვითანამშრომლოთ“. მიუსაფარი ცხოველების მიმართულებით არსებულ პრობლემაზე, აღნიშნა, რომ ის ვერ მოგვარდება თუ არ იქნა კომპლექსური მიდგომა და მხოლოდ დედაქალაქი ვერ მოახერხებს უპასუხოს არსებულ გამოწვევას. ალბათ საკრებულოს წევრებსაც აქვთ ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ხდება ლეკვების და ძაღლების მიზანმიმართული შემოყვანა და დატოვება დედაქალაქის ტერიტორიაზე და აქედან გამომდინარე, მთელი ქვეყნის მასშტაბით უნდა მოხდეს ამ ყველაფრის დარეგულირება, პირველ რიგში, საკანონმდებლო დონეზე. საქართველოს პარლამენტში უკვე დაწყებულია მუშაობა შესაბამის კანონზე და თუ საკრებულოს წევრებს აქვთ ჩართულობის სურვილი, რა თქმა უნდა, ეს შესაძლებელია. აღნიშნული საკმაოდ სერიოზული გამოწვევაა ქალაქისთვის და ეს პრობლემა უნდა იქნას მოგვარებული. მუნიციპალიტეტმა, თავის მხრივ გამოხატა მზაობა, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში გაეთვალისწინებინა თანხები იმისთვის, რომ საკანონმდებლო ცვლილებების მიღების შემდეგ, მზად ვიყოთ განვახორციელოთ ის, რაც იქნება გასაკეთებელი. გიორგი ონიანის მიერ გაჟღერებულ ინიციატივებზე აღნიშნა, რომ დეტალურ პასუხებს გასცემს ირაკლი ხმალაძე. კახა კალაძემ თბილისს შემოერთებულ ტერიტორიებზე მიწების დაკანონებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს არის სერიოზული პრობლემა და ამ მიმართულებით გასულ კვირას შედგა შეხვედრა, სადაც საუბარი იყო იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მოხდეს არსებული მიწების დაკანონება. პრობლემას წარმოადგენს ის, რომ აღნიშნულ მიწებზე, უმეტეს, თითქმის 95% შემთხვევაში, არ არსებობს არანაირი დოკუმენტაცია და ხშირ შემთხვევაში არის საშიშროება, რომ დოკუმენტი იყოს გაყალბებული, რადგან ეს ტერიტორიები ეკუთნოდა გარდაბნის რაიონს, არქივი არ არსებობს და შესაბამისად ამ პრობლემის მოგვარება უნდა მოხდეს სხვა ფორმით - უნდა მოხდეს გარკვეული წესების შემუშავება და უახლოეს მომავალში წარმოვადგენთ ჩვენს მიდგომებს. რაც შეეხება ლილოს ნაგავსაყრელთან დაკავშირებულ საკითხს განმარტა, რომ პროექტის განხორციელებაში გვეხმარება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები - ჩართულია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, რადგან საქართველოში არავის ჰქონდა იმის გამოცდილება, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ მიმართულების მოწესრიგება, რა უნდა გაკეთდეს და რა ნაბიჯები გადაიდგას. შესაბამისად, აღნიშნულ პროექტს ვახორციელებთ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ექსპერტების დახმარებით და მხარდაჭერით, ხოლო რაც შეეხება პროექტის დეტალებს, ამაზე ისაუბრებს ანდრია ბასილაია. ტურისტული გადასახადის შემოღებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამაზე იყო მსჯელობა, სადაც დავთვალეთ და გავაანალიზეთ, თუ რა შემოსავალი შეიძლებოდა მიეღო მუნიციპალიტეტს. იქიდან გამომდინარე, რომ თანხა არ იყო მნიშვნელოვანი და ამასთანავე, აღნიშნული შესაძლებელია იმიჯურად, გარკვეულწილად დამაზიანებელიც ყოფილიყო, არ მივიღეთ გადაწყვეტილება ტურისტებისთვის გარკვეული გადასახადის შემოღებასთან დაკავშირებით. მუხათგვერდის პანთეონთან მისასვლელი გზის მოწესრიგებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს არ არის რაიმე განსაკუთრებული პრობლემა და მიმართა საკრებულოს სხდომაზე მყოფ საბურთალოს რაიონის გამგებელს, რომ მოაგვაროს აღნიშნული საკითხი და ამ ტერიტორიის მოსაწესრიგებლად საჭირო თანხა გაითვალისწინოს მომდევნო წლის ბიუჯეტში. კახა კალაძემ აღნიშნა, რომ უფასო სასადილოებში კვებასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას დეტალურად უპასუხებს ირაკლი ხმალაძე. მუშთაიდის პარკის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ სამწუხაროდ, ეს არის გრძელვადიანი იჯარა, რომელიც

გაცემული იქნა წინა ხელისუფლების პირობებში და მუნიციპალიტეტს არ აქვს უფლება განახორციელოს სარეაბილიტაციო სამუშაოები, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული ტერიტორია არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეკრეაციული სივრცე დიდუბის რაიონისთვის და იქ მაცხოვრებელი ადამიანებისთვის, რა თქმა უნდა, გვექნება კომუნიკაცია და ვეცდებით ქალაქს დავუბრუნოთ აღნიშნული პარკი. მისი თქმით, ამ საკითხს რომ შევხედოთ ბიზნესის კუთხით, გასაგებია, რომ შესაძლებელია რაღაც სივრცე ან შენობა გააქირაო, ასევე, შეიძლება გასაგები იყოს პარკში არსებული ატრაქციონების გაიჯარება, მაგრამ რეკრეაციული სივრცის და პარკის გაიჯარება, წარმოუდგენილია და მისთვის გაუგებარია რატომ იქნა მიღებული ეს გადაწყვეტილება. ისაუბრა ავტოსადგურ „ოკრიბას“ ტერიტორიაზე და აღნიშნა, რომ მომავალ წელს დაგეგმილია წერეთლის გამზირის რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებში, მთლიანად შეიცვლება გამზირი, დაიგეგმება მოძრაობა და მოწესრიგდება ყველაფერი. ხოლო რაც შეეხება კონკრეტულად „ოკრიბას“ ტერიტორიას, ამასთან დაკავშირებით, ეკონომიკის სამინისტრომ გააკეთა განცხადება, რომ ზოგადად, ავტოსადგურების მოწესრიგების კუთხით გადაიდგმება კონკრეტული ნაბიჯები, რადგან ისინი არ შეესაბამება იმ სტანდარტს, რაც უნდა იყოს ყველა განვითარებულ ქალაქში და აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი ითანამშრომლებს ეკონომიკის სამინისტროსთან, რომ განხორციელდეს აღნიშნული სივრცის მოწესრიგება. ელიავას ბაზრობის ტერიტორიასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს ამ თემაზე ჰქონდა არაერთი შეხვედრა და აქტიური კომუნიკაცია მფლობელებთან, მოლაპარაკებებში ჩართული იყო ირაკლი ხმალაძე, რომელიც ისაუბრებს, თუ რა მიდგომები და დამოკიდებულება გვაქვს ამ სივრცესთან დაკავშირებით. ისაუბრა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებზე და აღნიშნა, რომ მისი აზრით, ამ ცვლილებების განხორციელება იყო სწორი, რადგან თუ ქალაქის მერი და საკრებულო ერთმანეთის ოპოზიციაშია და საკრებულო, მიზანმიმართულად, სამჯერ ჩააგდებს მერის მიერ წარდგენილი ბიუჯეტის პროექტს, გაუგებარია რატომ უნდა გადადგეს ქალაქის მერი, რომელიც აირჩია იმ ქალაქში მაცხოვრებლების უმრავლესობამ. კახა კალაძემ აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის ტარიფებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის დამოკიდებულებაზე ისაუბრებს ირაკლი ხმალაძე. მისი, როგორც მერის, კონკურენტულ უპირატესობასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე განაცხადა, რომ საკუთარ თავზე საუბარი „ეუხერხულება“ და აღნიშნა, რომ ჩვენი ქალაქის მოსახლეობა ძალიან კარგად ხედავს ყველაფერს, აფასებს, გამოხატავს კრიტიკას ამა თუ იმ საკითხზე და, რა თქმა უნდა, არჩევნებზე იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელ კონკრეტულ პარტიას და კანდიდატს დაუჭიროს მხარი. მისი თქმით, ძალიან ბევრი რამ არის ნათქვამი იმით, რომ თბილისის მოსახლეობის უმრავლესობამ მეორე ვადით დაუჭირა მას მხარი. ხოლო რაც შეეხება სკვერების მოწყობას და გზების დაგებას, ეს, რა თქმა უნდა, არის ქალაქის მერის მოვალეობა, რადგან ის არის არა მხოლოდ პოლიტიკური თანამდებობის პირი, ასევე, უნდა იყოს კარგი მეურნე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს იმ პროექტების განხორციელება, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ ქალაქში მცხოვრები ადამიანებისთვის და უნდა შეძლოს დაარწმუნოს თანაგუნდელები, რომ ბიუჯეტის გაზრდა საჭიროა, რათა მოხდეს სხვადასხვა პროექტების განხორციელება. კახა კალაძემ განაცხადა: „მე მეამაყება, რომ ჩემი თანაგუნდელები მაძლევენ იმის შესაძლებლობას, რომ ქალაქს ჰქონდეს ამხელა ბიუჯეტი. 2017 წელს, როდესაც ამირჩია თბილისის მოსახლეობის უმრავლესობამ, 800000000 ლარზე ცოტა მეტი იყო ქალაქის ბიუჯეტი, დღეს დედაქალაქის ბიუჯეტი 1632000000 ლარია და ეს, რა თქმა უნდა, იმ გუნდის დამსახურებაა, რომელსაც „ქართული ოცნება“ ჰქვია“. რაც შეეხება მმართველობას, კონკურენცია და კონკურენტუნარიანობა არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება მისთვის, მისი თანაგუნდელებისთვის და ეს დამოკიდებულება გაგრძელდება მომავალშიც. იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებამ კახა კალაძეს უარი უთხრა მახათას მთის გადაცემაზე, განმარტა, რომ საუბარია არსენალის პროექტზე, რომელიც მან, მეგობრებთან ერთად, წამოიწყო და არავისთვის არასდროს უთხოვია რამის ჩუქება და ვერავინ ვერ მოიტანს ვერც ერთ მაგალითს, რომ მას სახელმწიფოსგან ან ბიუჯეტისგან, თუნდაც ერთი თეთრის ღირებულების რაიმე მიეღოს საჩურად. რაც შეეხება არსენალის პროექტს, ეს იყო მისი

სურვილი, რომ მეგობრებთან ერთად, საქართველოში განეხორციელებინა ასეთი მასშტაბური პროექტი და ამიტომ, აღნიშნულ მიწის ნაკვეთში გადახდილი იყო ოცი მილიონი, მაგრამ, სამწუხაროდ, 2008 წელს, მოხდა აგვისტოს ომი, რომელმაც ჩვენს ქვეყანას ძალიან დიდი უბედურება მოუტანა. ისაუბრა მიხეილ სააკაშვილთან ურთიერთობაზე და განაცხადა „არ ვიცი ამას რა დავარქვა - დაძაბვა, გაფუჭება... იყო ძალიან მარტივი - მე ვცხოვრობდი იტალიაში და, რა თქმა უნდა, ძალიან ვგულშემატკივრობდი ჩემს ქვეყანას... ყოველთვის მიხაროდა კარგი რაც კეთდებოდა და არასდროს ვიხევდი უკან, მეთქვა ის სიმართლე, რაც პრობლემა იყო და მიმაჩნდა არასწორად. როგორი დამოკიდებულება ჰქონდა წინა ხელისუფლებას იმ ადამიანების მიმართ, ვისაც განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ, მგონი ამას ჩემი ახსნა-განმარტება არ სჭირდება. აი, ეს იყო მიზეზი ყველაფერი იმისა". შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეთანხმება ვახტანგ სურგულაძეს, რომ ამ მიმართულებით არსებობს პრობლემები და გამოწვევები, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს არის წლების წინ არსებული პრობლემები, რომლებზეც არავის არასდროს ისეთი ყურადღება არ მიუქცევია, როგორც დღეს. რაც შეეხება მელიქიშვილის გამზირზე მიმდინარე სამუშაოებს, ჯერ დასრულებული არ არის, პროცესი მიმდინარეობს და პროექტის დასრულების შემდეგ თუ იქნება რაიმე შენიშვნა და რამე იქნება დასამატებელი, მივიღოთ გადაწყვეტილება და გავაკეთოთ, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პროექტების განხორციელება მიმდინარეობს არსებული საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. ზებრა გადასასვლელებზე ხმოვან შუქნიშნებთან დაკავშირებით არის სერიოზული პრობლემა ჩვეულებრივი მოქალაქეების მხრიდან და ვერ წარმოიდგენთ თუ რა რაოდენობით ხდება იმ აპარატურის დაზიანება, რომელიც გამოსცემს შესაბამის ხმებს, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა შემლონ გადაადგილება ზებრა გადასასვლელებზე, რაც არის უდიდესი პრობლემა და ვანდალიზმი. ასევე, პრობლემაა იმ მოსახლეობის მხრიდან, ვინც ცხოვრობს იმ არეალში, რადგან აწუხებთ შუქნიშნების ხმა. აქედან გამომდინარე, ერთად უნდა ვიმუშაოთ და საზოგადოებას ავუხსნათ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არიან სრულუფლებიანი მოქალაქეები და, რა თქმა უნდა, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მათთვის, რომ თუნდაც ინფრასტრუქტურა იყოს მოწესრიგებული, რათა უპრობლემოდ შემლონ გადაადგილება. ასევე, პრობლემები გვაქვს საზოგადოებრივ ტრანსპორტში, თუმცა იანვრიდან ავტობუსებში შესაძლებელი იქნება ხმოვანი გამოცხადებები, რათა ხელი შეუწყოთ ამ ადამიანებს და მოუხსნათ არსებული დისკომფორტი. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი გასაკეთებელია, მაგრამ „ერთი ხელის მოსმით" ვერ ვაკეთებთ ყველაფერს და შესაბამისი სამუშაოები ხორციელდება ეტაპობრივად, რაზეც დეტალურად ისაუბრებს ირაკლი ხმალაძე. საახალწლო ილუმინაციებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ არც ერთ ევროპულ ქალაქში არ იკიდება იმდენი საახალწლო ილუმინაცია, რამდენიც თბილისში და არც ერთი ქალაქი არ არის ისე მორთული, როგორც ჩვენი დედაქალაქი და ცხადია, ეს დაკავშირებულია გარკვეულ თანხებთან, რაც ყოველვის ხდება მანიპულაციის საგანი, თუ რატომ იხარჯება ამ მიმართულებით ამდენი თანხები, თუმცა, თუ მიღებული იქნება გადაწყვეტილება, რომ ამ კუთხით დაიხაროს უფრო მეტი, პირადად მას ამასთან დაკავშირებით პრობლემა არ აქვს და ყველაფერი გაკეთებადია. ზღვის უბნის პარკთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტი, რომელიც დასრულდება მომავალ წელს და იქნება ერთ-ერთი საუკეთესო რეკრეაციული სივრცე. როდესაც დასრულდება სამუშაოები, საზოგადოებას აუცილებლად უნდა ვაჩვენოთ, რა ხდებოდა ამ სივრცეში და როგორი იქნება პროექტის განხორციელების შემდეგ. მისი თქმით, ამ ტერიტორიაზე იყო ჭაობი, გაუსაძლისი მდგომარეობა, ხოლო მომავალში იქნება ერთ-ერთი საუკეთესო რეკრეაციული სივრცე თემქელებისთვის. კახა კალაძემ აღნიშნა, რომ სამარშრუტო ხაზებთან დაკავშირებით განმარტებას გააკეთებს ირაკლი ხმალაძე. ცოტნე კობერიძის მიერ საზოგადოებრივ ტრანსპორტში არსებულ მდგომარეობაზე გაკეთებული განცხადებიდან გამომდინარე, მიმართა მას: „მერწმუნე, რომ იმაზე მეტ პრობლემას ნამდვილად ვერ ხედავ, რასაც ჩვენ ჩვენი გადმოსახედიდან ვხედავთ ყოველდღიურობაში და შეიძლება არც უნდა ხედავდე, ეს ნორმალურია. იმდენი პრობლემაა დედაქალაქში სხვადასხვა მიმართულებით, იგივე საზოგადოებრივი ტრანსპორტი, იგივე მეტრო ახსენეთ და მკითხეთ მეტროში თუ ვარ ჩასული

ზოგადად. მე რომ მეტროთი დავდიოდი, შეიძლება დაბადებულიც არ იყავი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვიღაც მეტროთი დადის, ვიღაც არ დადის, ეს რამეს ცვლიდეს. ჩვენ ვიცით, რა არის პრობლემა, ჩვენ ვიცით რა არის გამოწვევა და ყველაზე მთავარი - ვიცით რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ იმ ადამიანებს, ვინც სარგებლობს ავტობუსით, მეტროთი, მიკროავტობუსით, მოვუხსნათ არსებული დისკომფორტი და მეტიც, ყველაზე კომფორტული და ხელმისაწვდომი გავხადოთ საზოგადოებრივი ტრანსპორტი... ეს თქვენი არჩევანია - თქვენ გინდათ ავტომობილით გადაადგილდით, გინდათ მეტროთი, გინდათ ავტობუსით, გინდათ მიკროავტობუსით. არავინ გზღუდავთ, პირიქით, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ უფრო მეტი შესაძლებლობები მივცეთ ადამიანებს". აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი ძალიან აქტიურად თანამშრომლობდა „აჭარა ჯგუფთან", რომელმაც ძლიან კარგი პროექტები განახორციელა - ელექტროსკუტერების და ელექტროველოსიპედების შემოყვანა, რაც ძალიან კარგია და ამ მიმართულებას, მუნიციპალიტეტის მხრიდან, ყოველთვის ექნება ხელშეწყობა. რაც შეეხება მეტროში ნაკადის მარეგულირებლებს, ევროპის ყველა დიდ ქალაქში, თუნდაც ლონდონში, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და არაფერია ამაში გასაოცარი. მარშალ გელოვანის და მაჭავარიანის დამაკავშირებელი გზის პროექტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აქ იყო ძალიან დიდი პრობლემები, პროექტის განხორციელების პროცესში, იყო მეწყერსაშიში ადგილები, რომლებიც გამაგრებულია და უსაფრთხოა, მიმდინარეობს გზის საფარის დაგების სამუშაოები, აღნიშნულ გზაზე უნდა მოეწყოს ბეტონის გზა და სამშენებლო სამუშაოები დასრულდება მომავალ წელს, ხოლო კონკრეტულად როდის, ამაზე და ასევე, სოფელ დიღომში საკანალიზაციო ქსელის მოწყობაზე განმარტებებს გააკეთებს ირაკლი ბენდელიანი. კახა კალაძე გამოეხმაურა ირაკლი ნადირაძის მიერ ხელბორკილების მოტანას და ამასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და მის ქმედებას „იაფფასიანი პერმორმანსი" უწოდა. სამშენებლო კომპანიების პასუხისგებლობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამ თვალსაზრისით სერიოზული გამოწვევაა ქვეყანაში და მათ შორის დედაქალაქში. უნდა ითქვას, რომ სამწუხაროდ, არ არსებობს სამშენებლო კულტურა და ძალიან ცოტაა ისეთი კომპანია, რომელიც ცდილობს მოახერხოს განვითარება და იფიქროს, რომ თანხები დააბანდოს პროფესიონალ კადრებში, მოახდინოს მათი გადამზადება და იმას რომ მივიღოთ ბევრი ისეთი კომპანია, რომელიც შეძლებს აღნიშნული პროექტების განხორცირლრბას, დასჭირდება გარკვეული დრო და წლები. გვაქვს გამოწვევები და ასეთი სამუშაოების დროს, ხშირ შემთხვევაში, გვიწევს ხელით მართვა, რადგან ამა თუ იმ პროექტებს ახორციელებენ უპასუხისმგებლო კომპანიები, თუნდაც რომ ავიღოთ კომპანია „მამისონის" მაგალითი, რომელიც ახორციელებს მეტროსადგურ გოცირიძის რეაბილიტაციას, „არ ვიცი, რა დავარქვა და რა ვისაუბრო ამ კომპანიაზე". თუმცა, ასეთი კომპანიები არ და ვერ უნდა იღებდნენ ტენდერებში მონაწილეობას და ჩვენი მხრიდან ყველაფერი იქნება გაკეთებული, რომ მოხდეს ასეთი კომპანიების გაშავება, რათა შემდგომში ვეღარ შეძლონ მონაწილეობის მიღება მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ სხვადასხვა ელექტრონულ ტენდერში. კოოპერატიულ ბინათმშენებლობებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროექტები სხვადასხვა ეტაპზეა - არის კონკრეტული კომპანიები, რომლებსაც უკვე აღებული აქვთ სამშენებლო ნებართვები და მიმდინარეობს მშენებლობები, ასევე, არის დასრულებული შენობა-ნაგებობები, სადაც უკვე ბინების გადაცემის პროცესია და არის ისეთი შემთხვევები, როდესაც კომპანიები გადიან სამშენებლო ნებართვის მიღების პროცედურებს. კომპანიების მიხედვით, დეტალურ ინფორმაციაზე და მუნიციპალურ ინსპექციაზე განმარტებებს გააკეთებს ირაკლი ხმალაძე. კორუფციასთან ბრძოლასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ „ეს ჩემი, ჩემი თანაგუნდელების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ შესაბამის უწყებებთან და თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ ფაქტს, რომ ვინმეს რაიმე გადაცდომა ჰქონდეს, ჰქონდეს დანაშაული ჩადენილი და ჩვენი მხრიდან მოხდეს „ხელის დაფარება" ან რაიმე სხვა გზებით ვინმე რამეს ავარიდოთ... ყოველთვის ვსაუბრობ იმაზე, რომ არავის არ ეპატიება მცირე გადაცდომაც კი, არავის არ ეპატიება გადაუხვიოს კანონს და ჩაიდინოს რაიმე დანაშაული, ამას ყოველთვის მოჰყვება შესაბამისი რეაგირება". იმასთან დაკავშირებით დაინახა თუ არა რა გაკეთდა ქვეყანაში მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დროს, კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ყოველთვის უხაროდა, როდესაც ქვეყანაში კარგი კეთდებოდა,

მიუხედავად იმისა, ვინ იყო ხელისუფლებაში, რადგან კეთდებოდა ჩვენი ქვეყნისთვის და ხალხისთვის. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების მაღალჩინოსნები ბიუჯეტს ძარცვავდნენ და სხვა ქვეყანაში მიჰქონდათ, ხოლო თავად იტალიაში, ფეხბურთით და სპროტით გამოიმუშავებდა მილიონებს და ჩამოჰქონდა საქართველოში, რათა განეხორციელებინა ინვესტიცია, დაესაქმებინა ადამიანები და თავის ქვეყანაში შეექმნა დოვლათი. კითხვაზე თუ სად იყო მერიის უსაფრთხოების სამსახური ვაკის პარკში მომხადარი ტრაგედიის დღეს, აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ შადრევანი არ არის საცურაო აუზი, ბავშვები მაინც შეიძლება იქ ჩავიდნენ, რადგან არიან ბავშვები და პრობლემა არის ის, რომ ახალგაზრდები და ბავშვები შადრევანში ჩასვლით არ უნდა კვდებოდნენ და, რა თქმა უნდა, გამოძიებამ უნდა დაადგინოს და გასცეს პასუხი, თუ რა იყო პრობლემა და რამ არ იმუშავა. თუ რამდენად შესაძლებელია ავარიული სახლების ჩანაცვლების პროექტის ფარგლებში განხორციელი იქნას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარება, აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე, ამ მიმართულებით ერთადერთი შესაძლებლობა რაც გვაქვს, ეს არის მუნიციპალური განვითარების ფონდი, თუმცა შეიძლება მოვიფიქროთ, რამდენად შესაძლებელია, რომ კერძო სექტორმაც განახორციელოს აღნიშნული პროექტები. მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ კერძო სექტორი არ ახორციელებს ისეთ პროექტებს, რაც მისთვის საინტერესო არ არის ბიზნესის კუთხით და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი არის ისეთი შენობა-ნაგებობა, რომელსაც ვერ ვეხებით ვერც ვიზუალურ და ვერც მოცულობით ნაწილში, ეს საკმაოდ რთული პრობლემაა. ისიც გასაგებია, რომ თბილისის განვითარების ფონდს არ აქვს შესაძლ;ებლობა, ერთდროულად მოაწესრიგოს ყველა ავარიული შენობა-ნაგებობა, მაგრამ უბნების რეაბილიტაცია, რაც ორბელიანის და გუდიაშვილის მოედნების შემთხვევაში გაკეთდა, რა თქმა უნდა, მომავალშიც უნდა გაგრძელდეს. გასაგებია ისიც, რომ იმდენი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი გვაქვს ავარიული, რომ შეიძლება ეს საკმარისი არ იყოს, მაგრამ სხვა რამე სიახლეს ამ მიმართულებით ვერ ხედავს და არ აქვს არაფერი ისეთი, რაც შესაძლებელს გახდის, რომ დამატებითი ძეგლების რეაბილიტაცია განხორციელდეს კერძო სექტორის ჩართულობით, ხოლო თუ ვინმეს აქვს ამასთან დაკავშირებით მოსაზრებები, სიამოვნებით მოისმენდა და იმსჯელებდა მათთან ერთად. კახა კალაძემ აღნიშნა, რომ კრწანისის ქუჩასთან დაკავშირებით არსებულ მდგომარეობაზე, ისაუბრებს ირაკლი ბენდელიანი. გორგასლის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით, განმარტა, რომ მერიას ჰქონდა იდეა, არსებული საავტომობილე გზა ჩატანილი ყოფილიყო მიწის ქვემოთ, თუმცა, ექსპერტების და დარგის სპეციალისტების მოსაზრებით, თუ მოხდება მიწისქვეშა გვირაბების პროექტის განხორციელება, სავარაუდოდ, მოხდება გზაგამყოფზე არსებული უზარმაზარი ხეების ფესვების დაზიანება და შესაძლებელია ისინი გახდეს მოსაჭრელი. ეს არის ექსპერტების პირველადი შეფასება, თუმცა, ამას სჭირდება კვლევა, რომლის ჩატარებასაც აპირებს მუნიციპალიტეტი, რათა რეალურად გავიგოთ, რამდენად შეესაბამება სიმართლეს აღნიშნული და ამის შემდეგ იქნება მიღებული გადაწყვეტილება პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით, რადგან ეს ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ იქ არსებული სივრცე იყოს გამწვანებული და მოწესრიგებული, ხოლო თუ საჭირო გახდება ხეების მოჭრა, ეს იქნება უდიდესი პრობლემა, რასაც არავინ მიესალმება.

ირაკლი ხმალაძემ აღნიშნა, რომ „მშენ-ექსპერტის“ დაახლოებით 20 პროექტი უკვე გადაგზავნილია ექსპერტიზაზე, რომელიც სავარაუდოდ დასრულდება მომდევნო წლის მეორე კვარტალში და ამ პროექტებში მოხდება ყველა იმ ცვლილების გათვალისწინება, რომელსაც ალტერნატიული ექსპერტიზა შემოგვთავაზებს. გარდა ამისა, პარალელურად მიმდინარეობს თბილისში არსებული შადრევნების ელექტრული ქსელის შესწავლა-შემოწმება უსაფრთხოების ნაწილში და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება ამ შადრევნების ექსპლოატაციაში გაშვება. საბა ბუაძის მიერ ხსენებულ მიწის ნაკვეთის მონაცვლეობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამ საკითხზე დასმული იყო რამდენიმე შეკითხვა, შეეცდება ამომწურავად უპასუხოს ყველა მათგანს და განმარტა, რომ სამართალდამცავ უწყებაში საჩივრის შეტანა აპრიორი არ ნიშნავს იმას, რომ იქ ჩადენილია გარკვეული კორუფციული გადაცდომა. საჩივარი შეტანილია კორუფციული გადაცდომის კუთხით, მაგრამ დღეს გამოძიება

მიმდინარეობს სხვა მიმართულებით, რადგან კორუფციული სამართალდარღვევის კუთხით მოხდა ამ საკითხის შესწავლა, რის შემდეგაც ამ ნაწილში საქმე აღარ გაგრძელდა, ვინაიდან ამ საქმეში არ იყო კორუფციის ნიშნები. მისი თქმით, დღეს რომ გამოძიება მიმდინარეობს ამაში ცუდი არაფერია, ისიც ბუნებრივია, რომ ოპოზიციის წარმომადგენლებს არ მოსწონთ მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული რომელიმე მონაცვლეობა ან ნებისმიერი სხვა საკითხი და ამასთან დაკავშირებით მიმართონ სამართალდამცავ ორგანოებს, რათა მოხდეს საკითხის გამოძიება და იმ შემთხვევაში, თუ რაიმე გადაცდომას ჰქონდა ადგილი, გასცეს შესაბამისი პასუხი. ამ მომენტისთვის, მის ხელთ არსებული ინფორმაციით, დღეს მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, კითხვები მუნიციპალური უწყებების მიმართ არ გააჩნიათ, კითხვები არის უშუალოდ იმ კერძო ექსპერტების მიმართ, ვინც გააკეთა მიწის ნაკვეთის შეფასება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება, რომ ადგილი ჰქონდა რაიმე გადაცდომას - დოკუმენტის გაყალბებას ან რაიმე მსგავს მანიპულაციას, შესაბამის პირებს გაეცემათ პასუხი. აქედან გამომდინარე, მიუღებელია იმით სპეკულირება, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება და ამის გამოყენება მერიის თანამშრომლების დისკრედიტაციის მიზნით. ავტობაზების მშენებლობასთან დაკავშირებით მუშაობა მიმდინარეობს ორ ლოკაციაზე: სამგორის რაიონში „ისთ ფოინთის“ უკან და აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე. პირველი ლოკაცია იყო „ისთ ფოინთის“ უკან მდებარე ტერიტორია, რომლის ტევადობა, საუკეთესო შემთხვევაში, დააკმაყოფილებს 200 ერთეულ ავტობუსს, თუმცა ჩვენი სატრანსპორტო სისტემის განვითარება გრძელვადიან პერსპექტივაში მხოლოდ ამ 200 ავტობუსით არ შემოიფარგლება და შესაბამისად, ვიყურებით წინ და ვსწავლობთ აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიას, რომელსაც გაცილებით უფრო დიდი პოტენციალი აქვს და ამიტომ, ამ ეტაპზე, უფრო აქტიურად განვიხილავთ ამ ლოკაციას. ამ მიმართულებით გადაწყვეტილება მიღებული იქნება უახლოეს მომავალში და შესყიდვის პროცედურები დაიწყება იმ ტერიტორიაზე, რომელზეც იქნება გადაწყვეტილება შეჯერებული. მეტროს ვაგონების შესყიდვასთან დაკავშირებით, განმარტა, რომ გამოცხადებული იყო ტენდერი, გამოვლენილია გამარჯვებული კომპანია, ამ პროექტს აფინანსებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, თუმცა, უკანასკნელი წლის განმავლობაში მსოფლიოში განვითარებული მოვლენების გამო, კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებით შეიქმნა გარკვეული შეფერხებები, კერძოდ, გადარიცხვებთან დაკავშირებით და შესაბამისად, იბიარდთან და ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, ჯერ კიდევ მიმდინარეობს სამუშაოები, რომ მოხდეს გარკვეული ცვლილებები პროექტის განხორციელების კუთხით. კერძოდ, შეიცვალოს ჩაბარების ადგილი, ანგარიშსწორების წესი, უზრუნველყოფა, პასუხისმგებლობა და რისკების გადანაწილება, ვინაიდან საკმაოდ დიდი შესყიდვაა და მხოლოდ ამ შემთხვევაში დაიწყება უშუალოდ ამ ვაგონების წარმოება. თუ კითხვა დასმული იყო იმ კუთხით, რომ პროექტის განხორციელება განიხილება თუ არა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან ერთად, პასუხი არის, დიახ, განიხილება და ჩვენ ვცდილობთ, რომ ვაგონების შესყიდვა მოხდეს იმ ტენდერის ფარგლებში, რომელიც უკვე ჩატარებული და დაკონტრაქტებულია ორი მიზეზი გამო: ტენდერის ჩახსნა გაზრდის მოწოდების ვადებს და ასევე, გაზრდის ფასებს. შესაბამისად, მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ შენარჩუნებული იყოს ის სატენდერო პირობები. გიორგი ონიანის მიერ მიწის ნაკვეთების მონაცვლეობასთან დაკავშირებით გაჟღერებულ ინიციატივაზე აღნიშნა, რომ დღეს პირველად მოისმინა და აღნიშნა, რომ ამაში გამოსავალს ვერ ხედავს, თუმცა შესაძლებელია მსჯელობა. რაც შეეხება მუნიციპალური ლაბორატორიის, თუნდაც გაორმაგებული დაფინანსებით, ცალკე ლოტად გატანას, განმარტა, რომ მუნიციპალიტეტს რომ უნდოდეს კერძო ლაბორატორიის მომსახურება, ამის გაკეთება შესაძლებელია ცალკე შესყიდვის განხორციელებით. მუნიციპალური ლაბორატორია მუნიციპალიტეტისთვის არის საკმაოდ მოქნილი და მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელიც გადაუდებელი საჭიროების დროს ახდენს ჩარევას და იძლევა შესაბამის პასუხს და ამ შემთხვევაში შეიძლება მუნიციპალიტეტის მოქნილობა მკვეთრად გაუარესდეს. ამასთანავე, მუნიციპალური ლაბორატორიის არსებობა არ გამორიცხავს იმას, რომ მუნიციპალიტეტს ალტერნატიულად ჰყავდეს კერძო კონტრაქტორი, რომელიც გეგმიური სამუშაოების დროს განახორციელებს ზედამხედველობას. უფასო სასადილოების მიმართულებით გამოყოფილ

დაფინანსებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ 2018 წელს, უფასო სასადილოებში კვების ხარჯი ერთ ადამიანზე იყო 1.18 ლარი, ხოლო მთლიანი დაფინანსება - 16000000 ლარი, რომელიც ეტაპობრივად გაიზარდა და დღეს კვების ხარჯი ერთ ადამიანზე ასულია 1.70 ლარამდე, ხოლო მთლიანი დაფინანსება 26000000 ლარზე მეტია, რაც იმის დასტურია, რომ ჩვენი დამოკიდებულების საფუძველზე, ეს თანხა ეტაპობრივად იზრდება და დროთა განმავლობაში შეგვიძლია კიდევ გავზარდოთ. მისი თქმით, საინტერესოა მოსაზრების მოსმენა, თუ რა თანხა იქნება საკმარისი ამ მიმართულების დაფინანსებისთვის, თუმცა, ამავდროულად, გასათვალისწინებელია ის, რომ უფასო სასადილოები არის ისეთივე აუცილებელი სოციალური პროგრამა, როგორც სხვა საჭიროებები და აქედან გამომდინარე, თხოვნა იქნება, რომ ამ საკითხთან პოზიციონირებისას შევხედოთ საერთო სურათს და მის ფარგლებში განვიხილოთ ესა თუ ის რეკომენდაცია თითოეულ პროგრამასთან დაკავშირებით და ის, თუ რამდენად პრიორიტეტია კონკრეტული მიმართულებით გადაწყვეტილების მიღება. ელიავას ბაზრობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ის მთლიანად წარმოადგენს კერძო საკუთრებას, ხოლო კერძო საკუთრებასთან მიმართებით მუნიციპალიტეტის უფლებამოსილება შემოიფარგლება მხოლოდ გეგმარებთი გადაწყვეტილებების მიღებით. ეს არ არის ლიცენზირებული რეგულირებადი საქმიანობა, რომ მუნიციპალიტეტმა მოითხოვოს სავალდებულო წესით რაიმე ინვესტიციის განხორციელება და შესაბამისად, შეთანხმების მიღწევა რაიმე ღონისძიებების გატარებაზე, შესაძლებელია მხოლოდ კერძო მესაკუთრეებთან მოლაპარაკებების ფარგლებში, რასაც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში აქტიურად ახორციელებს თბილისის მთავრობა. დღეს ამ კუთხით, გვაქვს ის სურათი, რომ მუნიციპალიტეტი შეთანხმდა ყველა მესაკუთრესთან და ისინიც შეათანხმა ერთმანეთში, თუ როგორი ტიპის გზათა ქსელი და განვითარება უნდა მოხდეს ელიავას ბაზრობაზე. იმედი გამოთქვა, რომ თბილისის მერია უახლოეს მომავალში შეძლებს საკრებულოს წარუდგინოს გეგმარებითი დოკუმენტი, რომელსაც ექნება საკრებულოს მხარდაჭერა, რის შემდეგაც მოხდება ტერიტორიის დაყოფა რამდენიმე გრგ-ს არეალად და გრგ-ების განვითარება, რომელსაც განახორციელებენ კერძო მესაკუთრეები საკუთარი ინვესტიციით. საზოგადოებრივი ტრანსპორტის ტარიფებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ როდესაც იცვლება გადახდის სისტემა და შემოდის სააბონემენტო სისტემა, ტარიფის ერთი ერთში შედარება შეუძლებელია. მგზავრობის ტარიფი 0.50 ლარიდან რომ გამხდარიყო 0.70 ლარი, ვიტყოდით, რომ ტარიფმა მოიმატა 0.20 ლარით, მაგრამ შემოღებული იქნა ულიმიტო, ვადიანი ბარათები. იქიდან გამომდინარე, რომ პანდემიამდე, სრულფასოვანი წელი იყო 2019 წელი, სწორედ მასზე დაყრდნობით ისაუბრა სტატისტიკურ მონაცემებზე და აღნიშნა, რომ 2019 წელს სამივე სახის საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობით შემოსული იყო 160000000 ლარი, რომელიც მივიღეთ 404000000 მგზავრობის შედეგად, ხოლო 2022 წელს შემოსულია 140000000 ლარი და განხორციელებულია 345000000 მგზავრობა. ორივე რიცხვის შეფარდებით ვღებულობთ იმას, რომ საშუალო შეწონილი ტარიფის ღირებულება, 2019 წელსაც და მიმდინარე წელსაც, არის 0.40 ლარი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ეიდიბი-სთან ერთად, ხორციელდება მისაწვდომობის ამაღლების 25000000 დოლარიანი პროგრამა, რომელიც დაწყებულია, დაახლოებით მაისში დაიდება ხელშეკრულება და შემოდგომაზე გვექნება სრული კვლევა, თუ სად რა არის გასაკეთებელი. ამ პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მარჯანიშვილის და ახმეტელის მეტროს ალტერნატიული ამოსასვლელების მოწყობა, რაც ერთ-ერთი მსხვილი კომპონენტია, მაგრამ, ძირითადად, ამ პროგრამის მიზანია ის, რომ ავამაღლოთ მეტროსთან მისვლის და მეტროში ჩასვლის ხელმისაწვდომობა, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. რაც შეეხება რუსთაველს, ორ ადგილას არის მოწყობილი შშმ პირებისთვის მიწისქვეშა გადასასვლელი - ოპერის წინ და თავისუფლების მოედანზე. სამარშრუტო ხაზების დამატებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მაშინაც კი, როდესაც თბილისში მოქმედებდა 20-30 წლის წინ დამტკიცებული საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელი, მუდმივად ხდებოდა ქსელზე დაკვირვება, პრობლემური მარშრუტების გამოვლენა, ქსელის დამატება, მოდიფიცირება ან გაუქმება. ქსელი, რომელიც დღეს ფუნქციონირებს, გაეშვა 2022 წელს და ჯერ ერთი წელიც არ არის, რაც ის სრულფასოვნად ფუნქციონირებს.

ჩვენთვის ცნობილია, რომ გარკვეულ მარშრუტებთან დაკავშირებით არის პობლემები, ვაკვირდებით და მზად ვართ, რომ საკრებულოს წევრებთან ერთად მივიღოთ მოდიფიცირების გადაწყვეტილებები. გამოეხმაურა ცოტნე კობერიძის განცხადებას და მიმართა მას: „ის ვისაც თქვენ მწყემსი უწოდეთ და მწყემსები, ისინი არიან ჩვენი სატრანსპორტო კომპანიის პატივცემული თანამშრომლები, რომლებმაც ერთი ხაზიდან მეორე ხაზში მეტროში გადასასვლელში მოძრაობა დაარეგულირეს და პიკურ საათებში პრობლემა არ გვაქვს". მისი თქმით, ეს ადამინები ეწევიან საკმაოდ მნიშვნელოვან სამუშაოს, როდესაც არეგულირებენ მოძრაობას და დავინახეთ, რომ ნაკადების მართვამ შედეგი გამოიღო. რაც შეეხება ბარათების შემოწმებას, აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ არის უფასო, მგზავრობა უფასო და შეღავათიანი არის გარკვეული კატეგორიისთვის, სხვა შემთხვევაში, უნდა გადავიხადოთ და უნდა გადავუხადოთ სატრანსპორტო კომპანიას. კოოპერატიულ ბინათმშენებლობებთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული პროექტი უკვე რამდენიმე წელია ხორციელდება და ვცდილობთ რაც შეიძლება მალე დავაკმაყოფილოთ ყველა დაზარალებული. დღეისთვის დასრულებულია ორი პროექტი, რომლის ფარგლებშიც დაკმაყოფილებულია 37 ოჯახი, მშენებლობის ეტაპზეა 17 პროექტი, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს 100-მდე ოჯახის დაკმაყოფილება, ნებართვის აღების პროცესშია 5 ობიექტი, რომლის ფარგლებშიც დაკმაყოფილდება 650 ოჯახი, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულია და ხელშეკრულების დადების ეტაპზეა ორი პროექტი, რომლის ფარგლებშიც უნდა დაკმაყოფილდეს 200 ოჯახი, ხოლო მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივებით, პირდაპირ ბინების გადაცემის გზით, დაკმაყოფილებულია 99 ოჯახი და საერთო ჯამში გამოდის, რომ დაახლოებით 2000 დაზარალებული ოჯახია დაკმაყოფილებული. მუნიციპალური ინსპექციის გაძლიერებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს შესაძლებელია როგორც რესურსობრივად, ასევე, რეგულაციების კუთხით, რაზეც, საკრებულოსთან ერთად, მიმდინარეობს მუშაობა და იმ შემთხვევაში, თუ იქნება საჭიროება, გვაქვს ადამიანური რესურსის გაზრდის საშუალება, რადგან მუნიციპალურ ინსპექციაში ჯერ კიდევ არის შეუვსებელი რესურსი. თუმცა, ამ სამსახურის გაძლიერება მნიშვნელოვანია მისი უფლებამოსილების გაზრდის კუთხით, რათა მოხდეს უფრო მეტი პრევენცია მიწის ნაკვეთების მიტაცებებთან დაკავშირებით და ამ მიმართულებით, რა თქმა უნდა, შესაძლებელია მუშაობა, საკრებულოსთან ერთად.

ანდრია ბასილაიამ უპასუხა მულტიფუნქციური ცენტრების მშენებლობის ვადებთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას და განმარტა, რომ მულტიფუნქციური კომპლექსების მიმდინარე მშენებლობებზე დიდ დიღომსა და ვარკეთილში, სამშენებლო სამუშაოების დასრულება იგეგმება გაზაფხულზე, შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ზაფხულში დასრულდება აღჭურვა და შევძლებთ კომპლექსის გახსნას. რაც შეეხება მესამე მულტიფუნქციურ ცენტრს, რომელიც იყო გასხვისებული და დაიბრუნა მუნიციპალიტეტმა, მიმდინარეობს დეტალური პროექტირება, ხოლო სამუშაოებზე სატენდერო შესყიდვის გამოცხადება იგეგმება 2023 წლის მეორე ნახევარში. ამასთანავე, აქტიურად ვმუშაობთ, რომ სხვა რაიონებში მოვიძიოთ სათანადო ადგილი, რომელიც უნდა იყოს საკმაოდ დიდი და იოლად მისაწვდომი მოსახლეობისთვის და იმედი გვაქვს, რომ, როგორც კრწანისში, ასევე, სხვა უბნებშიც მოვიძიებთ ასეთ ადგილს და დავიწყებთ პროექტის განხორციელებას. მუნიციპალიტეტის მიერ დაბრუნებულ მიწებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ზოგიერთ მათგანზე უკვე მიღებულია გადაწყვეტილება, ხოლო ნაწილზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვადასხვა ფედერაციებთან და სამინისტროსთან და ამ ობიექტებთან დაკავშირებით, საკრებულოს ჩართულობით, მივიღებთ ერთობლივ გადაწყვეტილებას. ასევე, ისაუბრა ლილოს ნაგავსაყრელზე და აღნიშნა, რომ ის გაიხსნა 2011 წელს, ყველანაირი გარესმოდაცვითი კვლევის და შეფასების გარეშე და ამიტომ არის, რომ ეს პრობლემა 10 წელია აქვს დედაქალაქს. თუმცა, ამ ეტაპზე, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან ერთად, ჩაშვებულია ძალიან მნიშვნელოვანი პროექტები, პირველ რიგში, ეს არის ის დიდი ვალდებულება სეპარირებასთან დაკავშირებით, რომელსაც ჩვენ მზად უნდა შევხვდეთ და ამიტომ იგეგმება სორტირების ხაზის მშენებლობა, რომელიც ავტომატურად შეინარჩუნებს ნარჩენების 30%-ს და ეს ნარჩენები აღარ მივა ნაგავსაყრელზე; ასევე, გაზშემკრების მშენებლობა, რომელიც

დაკავშირებულია უსაფრთხოებასთან და ძალიან მნიშვნელოვანია; ლიჩეტის სისტემის მშენებლობა, რომელიც შეამცირებს ნაჟური წყლების ჩადინებას, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა ადგილობრივი მოსახლეობისთვის; ასევე, გაგრძელდება უჯრედების გაფართოება. საუბრის ბოლოს, აღნიშნა, რომ მომდევნო წლების განმავლობაში, დაგეგმილია ძალიან ბევრი სხვა ღონისძიება ამ მიმართულებით და შედეგი იქნება ის, რომ 3-4 წლის შემდეგ, ლილოს ნაგავსაყრელზე გვექნება სრულიად სხვა სურათი.

ირაკლი ბენდელიანმა სოფელ დიღომში საკანალიზაციო ქსელის მოწყობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ 2018 წლიდან დაიწყო წყალარინების ქსელის მოწყობა, სამუშაოები განხორციელდა რამდენიმე ქუჩაზე და დაახლოებით 300-მდე ოჯახის დაერთება მოხდა ამ ქსელზე. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სოფელ დიღომში გაკეთდა ცენტრალური მაგისტრალის მოწყობა, რომელიც შემდგომში დაქსელილ ქუჩებს ამ მაგისტრალზე მიერთების საშუალებას მისცემს და, რა თქმა უნდა, ეს პროექტი მომავალი წლიდან ისევ გაგრძელდება. მარშალ გელოვანის და მაჭავარიანის დამაკავშირებელი ახალი გზის მშენებლობაზე აღნიშნა, რომ პროექტის განხორციელება აქტიურად მიმდინარეობს, მეწყერსაშიშ ზონასთან დაკავშირებით აღარ არსებობს არანაირი პრობლემა, მიმდინარეობს 24 საათიანი მონიტორინგი. ასევე, 24 საათიან რეჟიმში მიმდინარეობს ბეტონის საფარიანი გზის მოწყობის სამუშაოები და დაახლოებით 1.5 – 2 თვის განმავლობაში იქნება დასრულებული, თავისი გარე განათებებით, სანიაღვრე კიუვეტებით და გვერდულებით. ასევე, ისაუბრა კრწანისის ქუჩაზე და აღნიშნა, რომ მიმდინარეობს სამუშაოები, საფუძვლიანად იცვლება, როგორც მიწისქვეშა, ასევე, მიწისზედა კომუნიკაციები. პირველ მონაკვეთზე, სადაც კომუნიკაციები შეიცვალა, მოხდა ქვედა ფენის ასფალტის საფარის დაგება. იქიდან გამომდინარე, რომ ამ უბანში არის მჭიდრო განაშენიანება და ალტერნატიული გზები არ გვაძლევს ქუჩის სრულად ჩაკეტვის და კიდევ უფრო აქტიურად სამუშაოების გაგრძელების საშუალებას, საგზაო სამუშაოების განხორციელება გვიწევს გრაფიკით, ძირითადად, ღამის საათებში, თუმცა, მიუხედავად ამისა, პროექტი დასრულებული იქნება განსაზღრულ ვადებში.

მიხელ კაკაურიძემ კითხვის დაზუსტების მიზნით აღნიშნა, რომ მან და საზოგადოებამ იცის კახა კალაძის შეხედულება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, იგივე ევროპარლამენტის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით და მიმართა მას: „მიუხედავად იმისა, რომ თქვენს შეხედულებებთან წინააღმდეგობაშია ევროპარლამენტის გადაწყვეტილება, ხართ თუ არა მზად, საქართველოს ევროპული მომავლისთვის მიიღოთ ის გადაწყვეტილება, როგორც უპირობოდ შესასრულებელი ანუ თუნდაც იგივე ბატონი მიხეილ სააკაშვილის სამკურნალოდ გადაყვანის გადაწყვეტილება თუ შეგიძლიათ რომ მიიღოთ თქვენმა პოლიტიკურმა გუნდმა იმის საფასურად, რომ საქართველო გახდეს ევროპული ოჯახის წევრი“.

კახა კალაძემ უპასუხა მიხეილ კაკაურიძის შეკითხვას და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ეს არის საქართველოს წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებები იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს კონსტიტუცია და კანონები, რომლებსაც, პირველ რიგში, ამ ქვეყნის მოქალაქეებმა უნდა ვცეთ პატივი. როდესაც ტოლობის ნიშანი ისმება მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლება-არგათავისუფლებას შორის და საუბარია იმაზე, რომ თუ ის არ იქნება გათავისუფლებული, ქვეყანა სტატუსს ვერ მიიღებს, მისი პირადი დამოკიდებულება არის ის, რომ „საერთოდ არ გვინდა ასეთი სტატუსი, დაიტოვონ თავისთვის. თუ ეს არის წინაპირობა, დაიტოვონ თავისთვის.“ რაც შეეხება ქვეყანას და მთავრობას, ჩვენ ავიღეთ პასუხისმგებლობა იმ თორმეტი პუნქტის შესრულებაზე, რომელიც წარმოდგენილი იყო მათი მხრიდან. ჩვენ, რა თქმა უნდა, აუცილებლად გავაკეთებთ ჩვენს გასაკეთებელს და ყველა ნაბიჯი გადადგმული იქნება იმისთვის, რომ საქართველო გახდეს იმ დიდი ოჯახის წევრი, რასაც ევროპა და ევროპული ინტეგრაცია ჰქვია. კახა კალაძემ განაცხადა, რომ 2012 წლის შემდეგ, ძალიან ბევრი რამ გაკეთდა და კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა თუნდაც ევროინტეგრაციის მიმართულებით: უვიზო მიმოსვლა, ასოცირების ხელშეკრულება, თავისუფალი ვაჭრობა და ა.შ. მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ყველაფერი თავიდანვე იყო დაგეგმილი და მის მიერ ხსენებული კონტრაქტები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შეუძლიათ ნახონ ამერიკის იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე და ის, რასაც დღეს

ვხედავთ, არის მიზანმიმართული პიარკამპანია იმასთან დაკავშირებით, რომ მიხეილ სააკაშვილი არის ავად, საქართველოში ვერ ხდება მისი განკურნება და უნდა მოხდეს სააკაშვილის ქვეყნის გარეთ გაყვანა. წლების განმავლობაში ის იყო ქვეყნის პირველი პირი, რომელმაც რეალურად შექმნა ის რეჟიმი, რაც ხდებოდა ქვეყანაში - როგორი დამოკიდებულება იყო ჩვეულებრივი მოქალაქეების მიმართ, როგორი დამოკიდებულება იყო განსხვავებული შეხედულებების და განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების მიმართ. მისი თქმით, არ არსებობს ადამიანი, ვისაც იმაზე მეტი გაეფუჭებინოს ქართველი ხალხისთვის, რამდენიც „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" თავისი პოლიტიკით და შემოქმედებით. განაცხადა, რომ „ჩვენ არავის დაჭერა არ გვიხარია, არავის ციხეში გამოკეტვა არ გვიხარია, მაგრამ კანონი უნდა იყოს აღსრულებული და დანაშაულზე ყველამ აუცილებლად უნდა აგოს პასუხი" და მიმართა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებს: „ამდენი ხანი გავიდა, ცხრა წელი იყავით ხელისუფლებაში, ათი წელი გავიდა რაც „ქართული ოცნებაა" ხელისუფლებაში და დღესაც ვერ გაგიაზრებიათ რა შეცდომები და რა ჩაიდინეთ. დღესაც ვერ გაგიაზრებიათ, რომ გამოხვიდეთ და საზოგადოებას ბოდიში მოუხადოთ, სინანული გამოხატოთ და მოითხოვოთ შენდობა. სწორედ ამიტომ ხართ იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც ხართ და იმიტომ არის, რომ თქვენი პარტიის ხელმძღვანელი იქნება ლევან ხაბეიშვილი, რომელიც აბსოლუტურად შესაფერისია დღევანდელი რეალობისთვის და დღევანდელი ნაციონალური მოძრაობისთვის."

საბა ბუაძემ, წყნეთში მიწის ნაკვეთების მონაცვლეობასთან დაკავშირებით დააზუსტა, რომ მათი მხრიდან წარმოდგენილი იყო რეესტრში დარეგისტრირებული ხელშეკრულებები, რომლის თანახმადაც მიწის ნაკვეთი შეძენილი იყო 150000 ლარად და მიმართა კახა კალაძეს: „ეს არ იცოდით? თუ ამაზე თვალი დახუჭეთ? თუ როგორ ხდება, რომ ექსპერტს გადააბრალეთ ყველაფერი და თქვენ მშრალი გამოხვედით ამ სიტუაციიდან? იმიტომ რომ, თუ ეს არ იყო კორუფცია, ეს იყო დანაშაულებრივი დაუდევრობა."

ირაკლი ხმალაძემ უპასუხა საბა ბუაძის შეკითხვას და აღნიშნა, რომ მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის დროს, თბილისის მერია ხელმძღანელობს არა გადაყიდული ღირებულებებით და იმით თუ ვინ რა ფასი დააფიქსირა შესყიდვის დროს ფორმალურად ან რეალურად, არამედ ექსპერტის შეფასებით.

ნინო წულაძემ აღნიშნა, რომ მის მიერ პიროტექნიკასთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე პასუხი ვერ მიიღო და კიდევ ერთხელ დაინტერესდა, რატომ არ გახდა საგანგაშო ბოლო სამი წლის სტატისტიკა და რა ხედვა აქვს მერიას თბილისში პიროტექნიკური ნაკეთობების მკაცრად გაკონტროლებაზე, ზოგადად, როგორი პოლიტიკა აქვს უსაფრთხოების მიმართულებით, რადგან აღნიშნულიც ეხება უსაფრთხოებას და ქალაქის მერის აზრით, არის თუ არა დღეს თბილისში ცხოვრება უსაფრთხო.

კახა კალაძემ უპასუხა ნინო წულაძის შეკითხვას და აღნიშნა, რომ პიროტექნიკასთან დაკავშირებით უნდა მოხდეს მისი შეზღუდვა არა მხოლოდ თბილისის, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით. იქიდან გამომდინარე, რომ ამ მიმართულებით საჭირო იქნება გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებები, მუნიციპალიტეტი გეგმავს, მომავალ წელს, ინიციატივით მიმართოს საქართველოს პარლამენტს და დარწმუნებულია, რომ გადაწყვეტილება მიღებული იქნება დადებითი მიმართულებით.

საკრებულოს წევრებმა, თბილისის მერის მოხსენებასთან დაკავშირებით, გააკეთეს შეფასებები.

ზურაბ აბაშიძემ აღნიშნა, რომ თბილისის მერის ანგარიში იყო საკმაოდ საფუძვლიანი და დეტალური. მადლობა გადაუხადა კახა კალაძეს მოხსენებისთვის და აღნიშნა, რომ მეორე ვადით დედაქალაქის მერად არჩევა არის დიდი პასუხისმგებლობა ჩვენი მოსახლეობის წინაშე, რაც კარგად გვესმის და გაცნობიერებული გვაქვს საკრებულოს უმრავლესობას. მისი თქმით, კახა კალაძის მეორე ვადით არჩევის შემდეგ გასული ერთი წელი იყო უმძიმესი ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედიიდან გამომდინარე და ის ტრაგედიები, რომელბიც თან ახლავს ჩვენს სამსახურს, არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ არ დავდგეთ ამაზე მაღლა და ღირსეულად არ

ვატაროთ დაკისრებული პასუხისმგებლობა. აქვე, აღნიშნა, რომ მოხსენებაში ყურადღება გამახვილებული იყო დედაქალაქში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან საკითხზე, იმ მასშტაბურ პროექტებზე, რომლებიც უკვე განხორციელდა და მომავალში განხორციელდება. საუბარი იყო ისეთ პრობლემურ საკითხებზე, როგორიცაა სატრანსპორტო მიმართულება და ითქვა, რომ ეს არის პროცესი, მიმდინარეობს რეფორმა და დასახულია ამ პრობლემის გადაწყვეტის გზები, რომლის ერთ-ერთი მთავარი ქვაკუთხედი იქნება ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემის შემუშავება და აღნიშნა, რომ საკრებულოს შესაბამისი კომისია მზად არის, თბილისის მერიას მხარდაჭერა გამოუცხადოს ამ მიმართულებით შემდგომში განსახორციელებელ რეფორმებზე. რა თქმა უნდა, მუშაობა გაგრძელდება ასევე, ჯანდაცვის პროექტების, სპორტის, კულტურის და სტუდენტური მიმართულებებით და დამაიდებელია ის, რომ ქვეყანაში არსებული ორნიშნა ეკონომიკური ზრდა არის იმის მასტიმულირებელი, რომ გაიზრდება თბილისის ბიუჯეტი. ზურაბ აბაშიძემ ასევე, ისაუბრა პოლიტიკურ ნაწილზე, ირაკლი ნადირაძის მიერ საკრებულოში ბორკილების მოტანას „ეპატაჟი" უწოდა და განაცხადა, რომ აქ ალბათ პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში" არის კონკურენცია, თუ ვინ უფრო მეტად მოიხდის სასჯელს და რადგან ხაბეიშვილი კონკურენციაშია მის ოპონენტ მელიასთან, რომელსაც ედო ბორკილები და მას არა, აქვს ამის დანაკლისი. გამოეხმაურა ანა გოგოლაძის სიტყვებს, რომ კახა კალაძის მიერ ჩამოთვლილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლების მიერ სისტემური დანაშაულებების ჩადენის დროს ის სკოლაში სწავლობდა და მიმართა მას: „ეს არ ამართლებს იმას, რომ თქვენ შეუერთდით ამ პარტიას. გადახედეთ ისტორიას, რას აკეთებდა ეს პარტია და რითი ხელმძღვანელობთ დღეს და ესეთები ხდებით ნებით თუ უნებლიეთ." საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ საქართველომ მიიღო ევროპული პერსპექტივა და ეხლა ველოდებით, რომ მივიღებთ კანდიდატის სტატუსს და საქართველო რომ ამ სტატუსს მიიღებს, ოპოზიციონერი კოლეგები გამოვლენ და იტყვიან, რომ „ქართული ოცნების" გუნდს არ გვინდოდა ამ სტატუსის მიღება, მაგრამ მაინც მოგვცეს.

ნინო ვარდოსანიძემ მადლობა გადაუხადა თბილისის მერს ანგარიშისთვის და დედაქალაქის მოსახლეობისთვის საინტერესო საკითხებზე და კითხვებზე დეტალური პასუხებისთვის. აღნიშნა, რომ კახა კალაძის მერობის დროს, ქალაქში ძალიან ბევრი რამ კეთდება და დღეს თბილისი ნამდვილად არის ბევრად უფრო ლამაზი, მოწესრიგებული და გამწვანებული, ვიდრე ის იყო, თუნდაც 5 წლის წინ. უნდა ითქვას, რომ გაუმჯობესდა დედაქალაქის ინფრასტრუქტურა, რაც არ ეხება მხოლოდ ცენტრალურ ქუჩებს და მნიშვნელოვანია, რომ მომავალშიც თანაბრად მიექცეს ყურადღება ყველა რაიონს. მნიშვნელოვანი საკითხია, რომ თითქმის მთლიანად განახლდა თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტის ავტოპარკი და მუნიციპალური ტრანსპორტით გადაადგილება გახდა ბევრად უფრო კომფორტული, რაშიც იგულისხმება, როგორც ტრანსპორტის მდგომარეობა, ასევე, გადახდის მოქნილი სისტემა და სწრაფი მარშრუტები. მისი თქმით, ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ გვაქვს გამოწვევები, რაზეც ქალაქის მერმაც ისაუბრა, თუმცა, ფიქრობს, რომ სატრანსპორტი მიმართულებით დაგეგმილი ყველა რეფორმა მოიტანს დიდ სიკეთეს. მისთვის და ბევრი ადამიანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია „მწვანე ქალაქის" კონცეფცია და სასიხარულოა, რომ ამ მიმართულებით მთელ ქალაქში კეთდება ბევრი რამ, მათ შორის, ცოტა ხნის წინ განხორციელდა „მზიურის" პარკის ნაწილი ტერიტორიის გამოსყიდვა, სადაც უახლოეს მომავალში თბილისს ექნება გამწვანებული სივრცე. ნინო ვარდოსანიძემ ასევე, ისაუბრა სოციალურ პროგრამებზე, რომლებსაც „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი" უწოდა და აღნიშნა, რომ ისეთი საკითხები, რომლებიც ეხება ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს, ყოველთვის უნდა იყოს პრიორიტეტული და იმედი აქვს, რომ ამ მიმართულებით მომავალშიც ბევრი მნიშვნელოვანი სიახლე იქნება. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება, ჯერ კიდევ არის გამოწვევები, რაზეც თბილისის მერმა და საკრებულოს წევრებმა გაამახვილეს ყურადღება, მათ შორის, კომპანია „GWP"-სთან დაკავშირებული პრობლემები და ფიქრობს, რომ უახლოეს მომავალში ეს პრობლემებიც მაქსიმალურად გადაიჭრება. ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა ოპოზიციაზე, აღნიშნა, რომ ბევრი მათგანისგან ხშირად ვისმენთ შეურაცხყოფებს და სიცრუეს, ხშირ შემთხვევაში, ქალაქის მერის

მისამართით და გამოთქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული ხდება იმიტომ, რომ ყველა ხედავს აქტიურ მცდელობას ამ ქალაქის განვითარების კუთხით და რომ კახა კალაძე არის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე პოლიტიკოსი. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მსგავსი თავდასხმები ვერ ფარავს იმ კარგ საქმეებს, რითაც ყველა თბილისელი სარგებლობს. საუბრის ბოლოს, გამოეხმაურა გიორგი შარაშიძის შეკითხვას, რომ კახა კალაძის კონკურენტუნარიანობა გამოიხატებოდა თუ არა მხოლოდ იმაში, რომ ის ბიუჯეტის ფულით ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს და განაცხადა, რომ თბილისს ჰყავდა მერი, რომელსაც ასევე, ჰქონდა ხალხის ბიუჯეტი, თუმცა, სამწუხაროდ, ამ ბიუჯეტს, არა ქალაქს, არამედ პირად მიზნებს ახმარდა.

სოფიო ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ არასდროს გამოუვლენია „ჩასაფრებულის პოზიცია“ და მოვალეობის შესრულებისას არასდროს დაუყვია ადამიანები პოლიტიკური ნიშნით და მიმართა კახა კალაძეს: „მინდა, რომ ჩემმა და თქვენმა შვილებმა იცხოვრონ სიცოცხლის, სინათლის და მშვიდობით სავსე ქალაქში, ქალაქში რომელიც იყო, არის და აუცილებლად უნდა დარჩეს ურთიერთობად. ვიქნები გულწრფელი და გეტყვით, ძალიან მომწონს ქალაქის ცენტრში ნამვის ხე, მომწონს საახალწლოდ განათებული ქუჩები, რითიც ბავშვები ხარობენ და არიან ბედნიერები, მათ შორის, ჩემი შვილებიც. მაგრამ, იმისათვის, რომ ეს ქალაქი იყოს სიცოცხლით, სინათლით და მშვიდობით სავსე, რაზეც არ ვდაობ, ამისათვის აუცილებელია, რომ არ გავაუქმოთ ქვეყანაში სიცოცხლის და ჯანმრთელობის უფლება და ამისათვის აუცილებელია, რომ გადარჩეს ქვეყნის მესამე პრეზიდენტი და მან იცოცხლოს. როგორც ამ ქვეყნის ერთ-ერთი მოქალაქე და როგორც ექიმი, გთხოვთ, შემოუერთდეთ ჩემს ინიციატივას და თქვათ, რომ „დიახ, ამ ქვეყანაში ყველას აქვს სიცოცხლის უფლება“, მოაწეროთ ხელი და იყოთ ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის მონაწილე“.

გიორგი ონიანმა მიმართა კახა კალაძეს: „დაინახავდით თქვენ თვითონ, მე რომც არ მეთქვა, რომ მთელი ეს სხდომა და არა მარტო ეს სხდომა, მთლიანად საქართველოში, დიდი ხანია ეს ხდება - პოლარიზაციამ მოიტანა ის, თუ ვინ უფრო მეტ „მწარეს“ იტყვის, ვინ დაგიცავთ და ვინ ვის მეტ შეურაცხყოფას მიაყენებს. ამით უფერულდება და ძალიან ფუჭდება როგორც საკრებულოს საქმიანობა, ასევე, ზოგადად, ქვეყანაში რეალობა. მე მოგისმინეთ თქვენ და აცხადებდით, რომ რაღაც არ მოგწონთ ვთქვათ ევროპარლამენტში, რაღაც არ მოგწონთ ევროსაბჭოში, შეიძლება ვიღაც ნამდვილად არ მოგწონდეთ და ამას ვერავინ ვერავის დააძალებს. თქვენ მილანში თამაშობდით და რაღაც პერიოდი მოგიწიათ ხომ „სკამზე ყოფნა“ და შეიძლება არ ეთანხმებოდით მწვრთნელს, მაგრამ ამის გამო არ წასულხართ მოსკოვის „სპარტაკში“ და არ გაგიცვლიათ მილანში თამაში იმაზე, რომ მოსკოვის „სპარტაკში“ გეთამაშათ. ჩვენც, იმის გამო, რომ თქვენ ვიღაც და რაღაც არ მოგწონთ, ძალიან გთხოვთ, ნუ შეგვაცვლევინებთ იმ არჩევანს, რომელიც გოგა ონიანს არ აურჩევია და არც კახი კალაძეს, ეს აირჩიეს ჩვენმა წინაპრებმა... მესმის აბსოლუტურად თქვენი წყენაც, მესმის გაღიზიანებაც, მესმის, რომ შეიძლება არ გიყვარდეთ, გეზიზღებოდეთ, თუნდაც ის ადამიანი, რომელიც დღეს საკანშია, აბსოლუტურად მესმის. გნებავთ თხოვნად მიიღეთ, თავის დამცირებაც თუ არის, არც ეს მაინტერესებს ამ შემთხვევაში და თუკი დარწმუნდებით, რომ ის დასკვნები, რომელიც საქმეში არსებობს, რეალურად მართალია და თუკი ეს დიაგნოზები ნამდვილად იმსახურებს, ნებისმიერი მოქალაქის, არ აქვს მნიშვნელობა ვინ იქნება ის, მკურნალობას, სასამართლო ვალდებულია, ამ დიაგნოზების შემთხვევაში, ნებისმიერი პატიმარი გაიყვანოს სამკურნალოდ, გთხოვთ, ამას ნუ შეეწინააღმდეგებით... თქვენ ხშირად აპელირებთ საქართველოს კონსტიტუციაზე და კარგია, რომ თუნდაც უცხოელებთან ურთიერთობაში საქართველოს კონსტიტუციას ხშირად ახსენებთ, მაგრამ, ამავე კონსტიტუციაში წერია, რომ პრეზიდენტი, როდესაც მის უფლებამოსილებას ახორციელებს, თუნდაც ეს შეეხებოდეს შეწყალებას, მასზე რაიმე სახის ზემოქმედება დაუშვებელია. მე რომ ვილაპარაკო, ეს არ იქნება ზემოქმედება დამერწმუნებით, მაგრამ როდესაც თქვენ, მაღალი თანამდებობის პირი ბრძანდებით და პარტიაშიც გენერალური მდივნის პოზიცია გიკავიათ, თხოვნა მექნება, რომ თავი შეიკაოთ მასზე, გნებავთ დავარქვათ ზეწოლისგან... მივცეთ საშუალება, ჩემს შვილებს, თქვენს შვილებს და ყველა სხვა ადამიანის შვილებს, დარწმუნდნენ იმაში, რომ თქვენ შეგიძლიათ რაღაცაზე უკან დახევა. ეს ვაჟკაცობაა, მე თუ მკითხავთ. თუკი თქვენ შეძლებთ დაივიწყოთ ღვარძლი და

უთანხმოება და იტყვით, რომ თუკი პრეზიდენტი გადაწყვეტს - შეიწყალოს, თუკი სასამართლო დაწყვეტს, რომ კანონიერია ამ ადამიანის გარეთ გამოშვება - გამოუშვას, მიუხედავად იმისა, რომ მე ეს არ მომწონს... ხოლო რაც შეეხება მერობას, აიტანს, ბევრად უარესი აუტანია ქალაქს და ბევრს მოეწონებით, ბევრს არ მოეწონებით, თქვენ მერობაზე არ გადის აქ ჩემთვის ხაზი და იმისთვის არ მოვსულვარ დღეს, რომ მინიმალურ ცდომილებებზე მელაპარაკა. მინდოდა მეთხოვა თქვენთვის - შეძელით და დაივიწყეთ კონკრეტული ადამიანისგან, თუნდაც ამ შემთხვევაში, მიხეილ სააკაშვილისგან წყენა".

ვლადიმერ ბოჟაძემ აღნიშნა, რომ დღეს ჩვენ შევიკრიბეთ იმიტომ, რომ მოგვესმინა დედაქალაქის მერის 2022 წლის ანგარიში, გვემსჯელა 2023 წლის ისტორიულ ბიუჯეტზე და ამის ნაცვლად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებმა „ქურქუმელ ვაითის" საარჩევნო კამპანიად და ქუჩის გარჩევის პოლიგონად გადააქციეს აქაურობა". განაცხადა, რომ ეს ის „ქურქუმელ ვაითია", რომლიც კორუმპირებული კეზერაშვილის ფულით, ვითომ კორუფციას ებრძვის და სასამართლო პროცესიც წააგო და ჯარიმების გადახდაც მოუწევს... განაცხადა, რომ უაპელაციოდ აგრძელებენ ადამიანებისთვის კორუმპირებულების ძახილს და „ატკატებზე" ლაპარაკს და და მიმართა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებს: „ისწავლეთ პოლიტიკური კულტურა და როცა თანამშრომლობაზე ლაპარაკობთ, აქ ითქვა უკვე და ახსენა კახა კალაძემ, რომ ეს ცალმხრივი ვერ იქნება". ვლადიმერ ბოჟაძემ ირაკლი ნადირაძის გამოსვლას „პერფორმანსის მოწყობა" უწოდა და განაცხადა: „სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, დღეს ბორკილები ადევს იმას, ვისაც უნდა ედოს და ზის იქ, სადაც უნდა იჯდეს". მისი თქმით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები კიდევ ბედავენ და მთელ საქართველოს ასმენინებენ, რომ საქართველომ ევროკავშირის კანდიდადის სტატუსი იმიტომ ვერ მიიღო, რომ სააკაშვილი „ოროთახიან ლუქსში", დედასთან ერთად, იხდის სასჯელს და ვერც მივიღებთ თურმე, ვიდრე სააკაშვილი არ გათავისუფლდება. განაცხადა, რომ სააკაშვილი იქნება ჯანმრთელად, იცხოვრებს დიდხანს და ის ჯერ კიდევ პატიმრობის ვადის მოხდის პერიოდში იქნება, როდესაც საქართველო კანდიდატის სტატუსს მიიღებს. რაც შეეხება ანა გოგოლაძეს და სოფიო ჯაფარიძეს, რომლების „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში" ყოფნა ბევრს უკვირს და ლილე ლიპარტელიანს, რომელმაც განაცხადა, რომ წინა ხელისუფლების ქმედებებზე პასუხისმგებლობას არ იღებს, მოუწევთ პასუხისმგებლობის აღება, რადგან ისინი იმ გუნდს წარმოადგენენ, რომელმაც ამდენი უბედურება მოუტანა ჩვენ ქვეყანას და არ უნდა სწყინდეთ, როდესაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარსულზე ვსაუბრობთ. ვლადიმერ ბოჟაძემ განაცხადა, რომ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" მომავალი არ აქვს და დაინტერესდა, აპირებენ თუ არა ამ და სხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები, რომელთა პარტიას, უკანასკნელი კვლევის შედეგით, რომლის ცდომილება 2.5%-ია, მიღებული აქვს ამომრჩეველთა ხმების 1%, მხარი დაუჭირონ დღეს წარმოდგენილ ისტორიულ ბიუჯეტს? თავადვე გასცა ამ კითხვას პასუხი და განაცხადა, რომ არ აპირებენ, რადგან მათ არ აინტერესებთ არც სოციალური პროექტები, არც ინფრასტრუქტურა, არც განათლება და არც სპორტი. ამიტომ, 2024 და 2025 წლებშიც მიიღებენ იმას და იმაზე უარესს, ვიდრე იღებენ 2012 წლის შემდეგ. საუბრის ბოლოს, ვლადიმერ ბოჟაძემ თბილისის მერს და მთავრობას მადლობა გადაუხადა 2022 წელს გაწეული სამუშაობისთვის და განაცხადა, რომ დარწმუნებულია 2023 წელი, გაზრდილი ბიუჯეტით, კიდევ უფრო უკეთესი იქნება ჩვენი დედაქალაქისთვის.

ზურაბ ჩიკვილაძემ ისაუბრა 2023 წლის ბიუჯეტზე და აღნიშნა, არც წარმოდგენილი ბიუჯეტია გამონაკლისი იმ მზარდ ბიუჯეტებთან შედარებით, რაც ყოველ წელს გვაქვს და ეს, რა თქმა უნდა, გვაძლევს საშუალებას, მოვაგვაროთ ძალიან ბევრი თემა. მისი თქმით, ჯანდაცვის და სოციალური მიმართულებით ხორციელდება და ფინანსდება ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამები, რაც ემსახურება გამორჩეულად შეჭირვებულ ადამიანებს - სოციალურად დაუცველებს, მრავალშვილიან ოჯახებს, ვეტერანებს. ძალიან ბევრი ისეთი სეგმენტია მოცული, რომ ჩვენ ყოველთვის, ყველა ფორმატში, ვცდილობთ, რომ თითოეული ადამიანი, რომელიც საჭიროებს დახმარებას, ჩართული იყოს ამ პროგრამებში. მნიშვნელოვანია, რომ გრძელდება განსაკუთრებულად გამორჩეული პროგრამა, როგორიცაა

ტრანსპლანტაციის თემები, რომლის განხორციელებაც დაიწყო 2017 წლიდან და ყველაზე დიდი თანხები ხმარდება სწორედ ასეთ პროგრამებს და ძალიან კარგი ეფექტი გვაქვს ამ კუთხით. ასევე, აღნიშნა, რომ აუტიზმის სპექტრის აშლილობა არის ერთ-ერთი ურთულესი მიმართულება და უშუალოდ კახა კალაძის გადაწყვეტილებით, 2023 წელს, მომლოდინეთა რეჟიმში მყოფი 254 ბავშვი და მოზარდი მიიღებს თერაპიის გაკვეთილების სერვისს. განაცხადა, რომ თითქმის ნულამდეა დასული ძუძუს კიბოს დაავადებით გარდაცვალების შეთხვევები, რადგან თუკი სკრინინგის საწყის ეტაპზე არის ჩართული ბენეფიციარი ქალბატონი, შედეგი არის ძალიან კარგი. საუბრის ბოლოს აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს მიუსაფარი ადამიანებისთვის აქვს სახლები და 6 სექტემბრიდან იწყება აბსოლუტურად ახალი ქვეპროგრამა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება იმ ადამიანების დაფინანსება, რომლებიც რჩებიან ქუჩაში და რომელთა ცხოვრების წესია ალკოჰოლური თრობის ქვეშ ყოფნა, რის გამოც აღმოჩნდენ ქუჩაში და მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც აქტიურად მონაწილეობდა ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით წინსვლაში.

ნინო წულაძემ განაცხადა, რომ მის მიერ დასმულ კითხვებზე პასუხი არ მიუღია, თუმცა, მიუხედავად ამისა, ეცდება შეაფასოს მერის გამოსვლა და მიმართა კახა კალაძეს: „უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესშიც არ აგიღიათ პასუხისმგებლობა. ჩვენმა პარტიამ, „ანა დოლიძე ხალხისთვის“, წარმოგიდგინათ უსაფრთხოების აუდიტის ჩატარების მთელი პროცედურა, უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის რეფორმა, რომლითაც უნდა მომხდარიყო საჯარო სივრცეების უსაფრთხოების კონტროლი და მონიტორინგი, თუმცა, მერამდენე თვეა თქვენგან არ მიგვიღია ამაზე პასუხი“. აქედან გამომდინარე, მისთვის გაუგებარია რაში გამოიხატება კახა კალაძის ღიაობა, როდესაც ამბობს, რომ ის ღიაა მსგავსი თანამშრომლობისთვის და ხალხისთვის ერთობლივი საქმის კეთებისთვის. მისი თქმით, სამწუხაროდ, ყოველ მეორე ადამიანს რომ ვკითხოთ, დღეს, ვაკის პარკის ტრაგედიის შემდეგ, აქვს განცდა, რომ ქალაქში არსებული ინფრასტრუქტურა არ არის უსაფრთხო, დედები შვილებს ვერ ასეირნებენ სკვერებში და როდესაც 2023 წლის ბიუჯეტით ათობით პარკის რეაბილიტაცია-განახლებაა დაგეგმილი, გაუგებარია რატომ უნდა გვქონდეს განცდა, რომ ეს პროცესი და ეს სარეაბილიტაციო სამუშაოები იქნება უსაფრთხო? თბილისის მერი ასევე, ამბობს, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მუნიციპალიტეტის მხრიდან უსაფრთხოებას მაშინ, როდესაც ვაკის პარკი საზეიმოდ, თავის კოლეგებთან ერთად, ისე გახსნა, რომ არც სატენდერო და არც საექსპერტო დოკუმენტებში უსაფრთხოების დასკვნა არ იდო. ნინო წულაძემ განაცხადა, რომ ამ პროცესში ყველაზე საინტერესო ფაქტია მერიაში არსებული სავარაუდო კორუფციული ხვრელი, რომელსაც ნათელი ეფინება ლაშა ფურცხვანიძის და მისი კომპანიის შერჩევის პროცესით. აღნიშნა, რომ „გრინსერვის პლიუსს“, მხოლოდ თბილისის მერიისგან, ხუთ მილიონზე მეტი აქვს მიღებული ტენდერის სახით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მერია კონტრაქტორებად არაკომპეტენტურ ხალხს ირჩევს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი პარტიასთან არიან დაახლოებული. ტრანსპორტის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე განაცხადა, რომ რამდენიმე წელია, კახა კალაძე და ვიქტორ წილოსანი სატრანსპორტო პოლიტიკასა და საცობების გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით იმეორებენ ერთი და იგივეს. ქალაქის მერმა წილოსანთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას პასუხი ვერ გასცა იმიტომ, რომ რებუსია, ნამდვილად თავსატეხია და ალბათ ვერ ამოხსნა და ვერ დააკავშირა ერთმანეთთან რადიო, ღვინო და ტრანსპორტი. აღნიშნა, რომ ბატონმა წილოსანმა, რამდენიმე თვის წინ, ბრძანა, რომ 18 მეტრიანი ავტობუსები იმიტომ არ შემოვიყვანეთ, რომ ქალაქში გზების გამტარიანუნარიანობა არ გვაქვს უზრუნველყოფილიო და შესაბამისად, არ იქნებოდა სწორიო და მიმართა კალაძეს: „სამოცი მილიონი რომ არის გამოყოფილი ამ ბიუჯეტში, შესყიდვები მომავალი ორი წლის განმავლობაში რომ იგეგემება, რომელი გამზირის რეაბილიტაციას ელოდებით ან რომელი ინფრასტრუქტურული სამუშაოს დასრულება გახდა წინაპირობა, რომ ახლა ახორციელებთ ამას? მეეჭვება, რომ ან ამ, ან მომავალ წელში შეძლოთ 18 მეტრიანი ავტობუსების შემოყვანა, მაგრამ მაინც“. მეტრო გოცირიძესთან დაკავშირებით განაცხადა, რომ „მამისონი“ „ქართული ოცნების“ მსხვილი შემომწირველის კომპანიაა და ისე შეარჩიეს, რომ ტენდერიც არ გამოცხადებულა, რის

მიზეზადაც დასახელდა ის, რომ ამდენი ხნით მოსახლეობას დისკომფორტს ვერ შეუქმნიდნენ. ისაუბრა ასევე, ვარკეთილის მეტროზე და აღნიშნა, რომ 2018 წლის შემდეგ, მას შემდეგ რაც ჭერი ჩამოიშალა და თოთხმეტი ადამიანი დაშავდა, უნდა დაწყებულიყო რეაბილიტაცია-განახლების პროცესი, რაც აქამდე ვერ განხორციელდა და ეხლაც, კიდევ დამატებით ოთხი მილიონია გამოყოფილი ამ წლის ბიუჯეტიდან. განაცხადა, რომ ძალიან სერიოზული პრობლემაა, როდესაც ქალაქის მერი ამბობს, რომ საცობის გამომწვევი არის კერძო მანქანების სიჭარბე და ამ პროცესში, საცობების გამომწვევ მიზეზად მეტროსადგურების გაუმართაობას ვერ აღიქვამს და მიმართა მას: „გეთანხმებით, მომრავლდა კერძო მანქანები, მაგრამ იცით რატომ მომრავლდა? იმიტომ რომ დიდი დიღმიდან ადამიანი ცენტრამდე რომ ჩამოვიდეს, ორი და სამი მუნიციპალური ტრანსპორტი უნდა გამოიცვალოს, ეს იმ მოცემულობაში, როდესაც შარშან გაძვირდა მუნიციპალური ტრანსპორტით გადაადგილების ტარიფი და ასევე, როდესაც ადამიანს საათნახევარი უწევს გაყინულ მდგომარეობაში უძრაობაში დგომა". ნინო წილოსანმა გაიხსენა თბილისის მერის წინასაარჩევნო დაპირება მიწისქვეშა პარკინგის მოწყობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მოუწესრიგებელი პარკირება და ბორდიურებზე გაჩერებული მანქანები, რომლებიც ხერგავს მოძრაობას, არის საცობების გამოწვევი ერთ-ერთი მიზეზი. ისაუბრა მუნიციპალური ბიუჯეტით დაფინანსებულ დაწესებულებებში არსებულ ხელფასებზე და აღნიშნა, რომ, მათ შორის ბაღებში, ადამიანებს ანაზღაურება აქვთ 200, 300, 400 ლარი, რაც არ არის ღირსეული. ასევე, ისაუბრა „1.70 ლარიან ულუფაზე", რომელიც, თბილისის მთავრობის წარმომადგენლების სიტყვებით არის გაუმჯობესება, იმ მოცემულობაში, როდესაც ინფლაცია არის 10.4% და როდესაც სამომხმარებლო პროდუქტებზე ფასები „გეომეტრიული პროგრესიით" არის გაზრდილი, წელსაც ულუფის ღირებულების იგივე მოცულობით დატოვება, არ არის გონივრული და სამწუხაროდ, ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ორ პარალელურ მოცემულობაში, სადაც ერთ მხარეს არიან „ქართული ოცნების" ჩინოვნიკები და მათი ოჯახის წევრები, რომლებიც ვერ გრძნობენ ამას. ნინო წულაძემ აღნიშნა, რომ ოპოზიციამ, ბიუჯეტთან დაკავშირებით თბილისის მერიას წარუდგინა რეკომენდაციები, რომელთაგან ერთი პროცენტიც არ არის გათვალისწინებული, მათ შორის იყო მარტოხელა დედების ტრანსპორტით გადაადგილების ნაწილში მომხდარიყო სუბსიდირება, რადგან, მისი ზრით, მარტოხელა მშობლებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, იმგზავრონ შეღავათიანი ტარიფით და აქედან გამომდინარე, მოუწოდა ქალაქის მერს, 2023 წლის ბიუჯეტშიც და მთელ ამ პროცესშიც, აღნიშნული მივიღოთ ცნობად და დავამატოთ ჩამონათვალს მარტოხელა მშობლები, რადგან ეს მათი კრიტიკული საჭიროებაა.

გურამ ოქროპირიძემ დედაქალაქის მერს და შესაბამის სამსახურებს მადლობა გადაუხადა 2022 წელს გაწეული სამუშაოებისთვის და ისაუბრა 2023 წლის ბიუჯეტზე, რომელსაც „რეკორდულად მაღალი" უწოდა. მისი თქმით, გაგრძელდება ყველა ის სოციალური თუ ინფრასტრუქტურული პროექტი და პროგრამა, რომელიც იყო მიმდინარე წელს და მომავალ წელსაც გვექნება განახლებული პარკები, სკვერები, ბაღები, ჩანაცვლებული ავარიული კორპუსები და ა.შ. ამასთანავე, ბიუჯეტში ასახულია საკრებულოს რეკომენდაციები, რომ გათვალისწინებული ყოფილიყო მსხვილი, მასშტაბური პროექტების განხორციელება. მისი თქმით, მიმდინარე სხდომაზე აღინიშნა, რომ „მზიურს" და ვაკის პარკს დაუბრუნდათ საკმაოდ მოცულობითი, წარსულში გასხვისებული, ტერიტორიები, რომლების განვითარებაც მოხდება მხოლოდ რეკრეაციული დანიშნულებით, რაც არის მწვანე სივრცეებთან მიმართებით დედაქალაქის პოლიტიკის ლოგიკური გაგრძელება და აღსანიშნავია, რომ კერძო ინვესტორთან შეთანხმება შედგა მოლაპარაკების და შესაბამისი ღირებულების ქონების გადაცემის გზით და არა „ხელის გადაგრხევის პრინციპით", რასაც მიჩვეულები იყვნენ ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები წლების წინ. ასევე, ისაუბრა სატრანსპორტო პოლიტიკაზე და განაცხადა, რომ ამასთან დაკავშირებით ოპოზიცია საუბრობს ძალიან ზედაპირულად და ჩვენ არ გვინახავს არცერთი შინაარსობრივი პროექტი დამუშავებული, შესაბამისი ციფრებით გაწერილი და წარმოდგენილი. ამბობენ, რომ დედაქალაქის მერიას არ აქვს ხედვები ტრანსპორტის განვითარებასთან დაკავშირებით და ამის პარალელურად აქცენტს აკეთებენ ათი სატრანსპორტო დერეფნის დროულად

დასრულებაზე, ახალი ავტობუსების დროულად შემოყვანაზე, მეტროსადგურების სწრაფად რეაბილიტაციაზე და ამას მხარს უჭერენ. მისი თქმით, სწორედ ამას აკეთებს დედაქალაქის მერია და გამოდის, რომ კონცეპტუალურ ნაწილში იზიარებენ რაღაცებს, თუმცა, მაინც ლანძღავენ დღევანდელ ხელისუფლებას, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს მათი პოლიტიკური დღის წესრიგია. გურამ ოქროპირიძემ ისაუბრა პოლიტიკურ ნაწილზეც და განაცხადა, რომ ადამიანის უფლებებზე მენტორული ტონით საუბრობს ის პოლიტიკური პარტია, რომელიც თავად იყო ტოტალური ტერორის შემოქმედი ამ ქვეყნაში და დღეს, თავად გადაიქცა ყველაზე პოლარიზებულ, ეკლექტურ და ღირებულებითი ვერტიკალის არმქონე პოლიტიკურ ძალად და ვისაც ლანძღავდნენ და კრიმინალად თვლიდნენ, რამდენიმე ტრანშის დარიცხვის შემდეგ, უცებ გადაღებეს დემოკრატიის შუქურად, რაც იმის დასტურია, რომ ფულზე და ფინანსებზე გაცვალეს თავისი ღირებულებები და პრინციპები. შესაბამისად, არავინ იცის, ვის დაემოჩილებიან ხვალ, ფინანსური ინტერესის მიღების სანაცვლოდ. ზოგიერთმა პოლიტიკოსმა, ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ აღმოაჩინა ოლიგარქები, ნეპოტიზმი და კორუფცია და საინტერესოა, რას აკეთებდნენ და სად იყვნენ მანამდე? გურამ ოქროპირიძის თქმით, ქართული ოპოზიციის ერთ ნაწილში გვაქვს თვითწინააღმდეგობრივი მოვლენა - ზოგიერთი პოლიტიკური პარტია, დღემდე არ აღიარებს არჩევნების ლეგიტიმაციას და ამის პარალელურად, იკავებენ ადგილებს პარლამენტსა თუ საკრებულოებში, რაც მისი თქმით, გაუგებარი მოვლენაა და ალბათ ეს დარჩება ქართული პოლიტიკური მატიანის ისტორიაში. საუბრის ბოლოს, ქალაქის მერს და მერიის სამსახურებს წარმატებები უსურვა უკეთესი თბილისის მშენებლობაში.

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ თბილისში ისტორიულად არასდროს ყოფილა ისეთი აღმშენებლობის პროცესი, როგორიც ბოლო წლების განმავლობაში და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, არის ის, რომ საზოგადოება შევთანხმით, თუ როგორ ქალაქში გვინდა ცხოვრება - გვინდა ინფრასტრუქტურულად კეთილმოწყობილ, გამწვანებულ და ეკოლოგიურად სუფთა ქალაქში ცხოვრება, გვინდა სწორად დაგეგმილი ახალი უბნები და კვალიფიციურად აღდგენილი ძველი თბილისი. მისი თქმით, დღევანდელმა ხელისუფლებამ გაზარდა ქალაქის განვითარების სტანდარტი, რამაც გამოიწვია ის, რომ გაიზარდა მოსახლეობის მოთხოვნებიც, რისი მაგალითია მიმდინარე სხდომაზე გაჟღერებული ერთ-ერთი უბნის მოსახლეობის თხოვნა საახალწლო განათებების განახლებასთან დაკავშირებით და ის, რომ ადამიანები, ნებისმიერ პატარა უბანსა თუ გარეუბანში ითხოვენ მაღალი სტანდარტების ინფრასტრუქტურულ ჩარევას, ერთი მხრივ დიდი გამოწვევაა მუნიციპალიტეტისთვის, თუმცა ასევე, არის იმ გაწეული საქმიანობის შედეგი, რასაც ბოლო წლების განმავლობაში ქალაქი ახორციელებს. განაცხადა, რომ მართალია დღეს ვაფასებთ 2022 წელს, მაგრამ აუცილებლად უნდა დასახელდეს რამდენიმე შთამბეჭდავი ციფრი: ბოლო წლების განმავლობაში თბილისში 7000000 კვ.მ.-მდე გზა კაპიტალურად შეკეთდა; დაახლოებით 300000000 ლარი დაიხარჯა ძველი თბილისის აღდგენაზე, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა 80 ისტორიული ძეგლის რეაბილიტაცია, რაც საერთო მასშტაბთან შედარებით, შეიძლება ცოტაა, მაგრამ ასეთი ჩარევა ძველ ქალაქში არასდროს მომხდარა; ქალაქში შეიქმნა უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობის რეკრეაციული სივრცეები და ყველამ უნდა აღიაროს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში, ამდენი რეკრეაციული სივრცე არ გაჩენილა; უმნიშვნელოვანესი პროექტებია მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსების მშენებლობა, რომლის მსგავსი პროექტი ამ ქალაქში აქამდე არასდროს განხორციელებულა; ოთხი დიდი საფეხბურთო სტადიონი, რომელიც ააშენა ფეხბურთის ფედერაციამ და სადაც დღეს ათასობით ბავშვი ვარჯიშობს, განხორციელდა მუნიციპალიტეტის აქტიური ჩართულობით და სწორედ მუნიციპალიტეტმა გადასცა ფედერაციას ტერიტორიები აბსოლუტურად უსასყიდლოდ. ისაუბრა მუნიციპალურ და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობებზე და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს მონაცვლეობები არფერში სჭირდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ქალაქში, უამრავი საჯარო სიკეთის მომტანი ობიექტი სხვისდებოდა ათწლეულების განმავლობაში და მუნიციპალიტეტმა, დღევანდელი მერის პირობებში, დაიწყო ამ ტერიტორიების მონაცვლეობა. მიმდინარე სხდომაზე

გაჟღერებული იყო წყნეთში არსებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა, თუმცა არავინ საუბრობს იმაზე, რომ წყნეთში ყველა ტყე გასხვისებული იყო და დღეს დაწყებულია იმ ტყეების დაბრუნება, რათა მათაც იგივე ბედი არ ეწიოს, როგორც მანამდე, ყველაფერი რომ გაიჩეხა. რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ გულწრფელად ფიქრობს, რომ გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, ოპოზიციონერი კოლეგები იამაყებენ იმით, რომ იყვენენ თბილისის საკრებულოს წევრები იმ პერიოდში, როდესაც ქალაქში ასეთი მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდებოდა, რადგან სწამს, რომ ისტორია პარტიულ საზღვრებს შლის და იმახსოვრებს მხოლოდ გაკეთებულ საქმეებს. რევაზ სოხაძემ ასევე, ისაუბრა სატრანსპორტო პოლიტიკაზე და განაცხადა, რომ ის რაც დღეს კეთდება ამ მიმართულებით, არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტი და რეფორმა. მისი თქმით, როდესაც გესმის საცობებით გამოწვეული დისკომფორტის გამო გაღიზინებული ხალხის გულისწყრომა, ალბათ ყველაზე მარტივი გამოსავალი არის რაღაც დათმო და წახვიდე კომპრომისზე, მაგრამ საბოლოო ჯამში, სწორედ ეს ხალხი მოსთხოვს მუნიციპალიტეტს იმაზე პასუხს, თუ რატომ არ გატარდა შესაბამისი რეფორმები თავის დროზე. განაცხადა, რომ „ის რაც დღეს კეთდება, ამას სჭირდებოდა ვაჟკაცობა, ეს ვაჟკაცობა აღმოაჩნდა დღევანდელ მერს და მერიას და დაიწყო ამ რეფორმის გატარება“ და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტმა არცერთი ნაბიჯი უკან არ უნდა გადადგას, რადგან ეს ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ თბილისში ამ მიმართულებით არსებული პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდეს. რევაზ სოხაძემ „ისტორიული გადაწყვეტილება“ უწოდა ავარიული სახლების ჩანაცვლების პროექტს, რადგან 30 წლის განმავლობაში ვერავინ გაბედა შეექმნა პროგრამა, რომელიც შეეხებოდა თბილისში ავარიული კორპუსების ჩანაცვლებას, ხოლო დღეს, უკვე გვაქვს პირველი მაგალითი, როდესაც აღარ არსებობს ე.წ. „ხრუშჩოვკა“, რაც არის უმნიშვნელოვანესი. აქვე აღნიშნა, რომ დღევანდელი ადმინისტრაციის პირობებში, თბილისის მასშტაბით არსებული ავარიული საცხოვრებელი სახლები სრულად ვერ ჩანაცვლდება, თუმცა, მნიშვნელოვანია ის, რომ დღეს არსებობს კონკრეტული გეგმა, რომლითაც ისარგებლებს ყველა შემდგომი ადმინისტრაცია და ამ პრობლემას ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტს.

საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ 2022 წელი ნამდვილად მძიმე წელი იყო, რადგან დაიწყო უმძიმესი მოვლენებით - უკრაინაში მიმდინარე ომი თითოეულ ჩვენგანს, შეეხო, სხვადასხვა ფორმით, მაგრამ ყველა ვთანხმდებით იმაზე რომ უმძიმეს ეპოქაში ვცხოვრობთ და ვდგავართ უმძიმესი გამოწვევების წინაშე. განაცხადა, რომ კახა კალაძის დამსახურებით, 2022 წელი, თბილისელებისთვის განაკუთრებულად მძიმე იყო, რადგან მან, ამ წელს დაიწყო თავისი მემკვიდრეობის გამოჭედვა და ეს პოლიტიკური მემკვიდრეობა, სამწუხაროდ, არის: კორუფცია, კომპეტენციის ნაკლებობა და გადამწყვეტ მომენტში ისტორიის არასწორ მხარეს ყოფნა და ისაუბრა თუ რა პრობლემებია თითოეული ამ მიმართულებით. მისი თქმით, კორუფციული მონაცვლეობები, კორუფციული პრეფერენციები, კორუფციული გარიგებები, ალბათ ეს საკითხები იყო ის, რამაც თბილისის მერი აიძულა, საკრებულოსთვის გამოეცხადებინა ბოიკოტი, რაც გამოიხატება, მათ შორის, იმაში, რომ გაგზავნილი 161 წერილიდან, მან და მისი სისტემის წარმომადგენლებმა 70 წერილი დატოვეს უპასუხოდ. აღნიშნა, რომ მხარს უჭერს სატრანსპორტო რეფორმას, რომელიც, თუნდაც ცუდად, მაგრამ ხორციელდება, რადგან ეს არის სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი. ასევე, მხარს უჭერს მონაცვლეობებს და კენჭისყრაზეც ღიად დაუჭირა მხარი მონაცვლეობას, რომელიც განხორციელდა, რადგან ესეც არის სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი. მაგრამ, როდესაც მერია ახორციელებს მონაცვლეობას და შემდეგ, აბსოლუტურად დაუსაბუთებელი მიზეზებით, უარს აცხადებს, ოპოზიციის მიერ შეთავაზებულ ინიციატივაზე, რომელიც ეხება პირველი არხის ტერიტორიის გამოსყიდვას, საქმე გვაქვს შერჩევითობასთან და კონკრეტულ ინტერესებთან, რომელიც კახა კალაძისთვის დედაქალაქის ინტერესებზე უფრო მაღლა დგას. საბა ბუაძემ განაცხადა, რომ ვიქტორ წილოსანი არის ლიდერი საკრებულოს წევრების წერილების უპასუხოდ დატოვების კუთხით, ისევე, როგორც, თბილისის მერის გუნდი არის ლიდერი საკრებულოს იგნორირებაში და ამით კანონის დარღვევაში, რითიც კონკრეტულად მას არაფერი აკლდებდა, თუმცა მათ ქმედებაში ჩანს თბილისის მერის და მისი გუნდის

დამოკიდებულება თბილისელების მიმართ. საბა ბუაძემ მიმართა კახა კალაძეს: „როდესაც გავხდი ამ მოწვევის საკრებულოს წევრი, გულწრფელად უნდა ვთქვა, რომ თქვენ ნამდვილად მეგონეთ, ღარიბაშვილზე, კობახიძეზე უკეთესი, როგორც პოლიტიკოსი, მაგრამ ეხლა შემიძლია გითხრათ, რომ არაფრით უკეთესი ირაკლი ღარიბაშვილზე და ირაკლი კობახიძეზე არ ხართ. თქვენთვის შეიძლება ეს კომპლიმენტი იყოს, კი ბატონო, მაგრამ ჩემი აზრით, გამგები გაიგებს რაზეც მაქვს საუბარი". საბა ბუაძემ ისაუბრა შეუსრულებელ დაპირებებზე და ქალაქის მერს შეახსენა: მეტროსადგურების რეაბილიტაციის დასრულება, რომელზეც თავადაც აღნიშნავს, რომ არსაით არ წავიდა ეს ყველაფერი და 200 ერთეული 18 მეტრიანი ავტობუსის შემოყვანა. მისი თქმით, ქალაქის მერმა, მიმდინარე წელს, უარი თქვა საერთაშორისო პარტნიორების მიერ საქართველოსთვის და თბილისისთვის შემოთავაზებულ ძალიან შეღავათიან სასესხო ხელშეკრულებაზე, რითიც თბილისელებს დააკარგინა ძალიან ბევრი ფული, რომელიც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო უამრავი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებისთვის, თუნდაც პირველი არხის 3 ჰექტარი ტერიტორიის მონაცვლეობისთვის, რომელიც დედაქალაქისთვის იქნებოდა ახალი სარეკრეაციო სივრცე. საუბრის ბოლოს, კიდევ ერთხელ მიმართა კახა კალაძეს: „ყველა მიმართულებით თქვენ გაქვთ შეუსრულებელი დაპირებები და პრობლემები და ეს არის წარუმატებელი მმართველობა და ამ წარუმატებლობას, როგორც გითხარით და გავიმეორებ ამას ბევრჯერ, აქვს თავისი ახსნა - ეს არის კორუფცია, ეს არის უცოდინრობა და გადამწყვეტ მომენტში ისტორიის არასწორ მხარეს ყოფნა".

ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ სურს ყველა იმ ადამიანს უთხრას „თვალები გაახილონ", ვინც ვერ ხედავს წინსვლას და წარმატებას, რომელიც ჩვენს ქალაქში ძალიან კარგად ჩანს და თვალსაჩინოა. მისი თქმით, ჩვენ ვხედავთ რეაბილიტირებულ ქუჩებს, ახალ ავობუსებს, ახალ პარკებს და სკვერებს, ვხედავთ უამრავ რეფორმას, რომელიც ხორციელდება და, რა თქმა უნდა, „ადამიანი ბრმა უნდა იყოს ნამდვილად, რომ ვერ დაინახოს ეს ყველაფერი". ეს არ კეთდება თავისით და ამ ყველაფრის უკან დგას ძალიან დიდი შრომა, ნერვიულობა, ძალიან ბევრი ადამიანის სტრესი და საბოლოო ჯამში ჩვენ ვიღებთ იმ ქალაქს, რომელსაც იმსახურებს ჩვენი ისტორიული დედაქალაქი და მოსახლეობა. დღეს თბილისს ჰყავს ძალიან ძლიერი მერი, რომელსაც აქვს უნარი, მოახდინოს ქალაქის ტრანსფორმაცია და შეცვალოს ის უკეთესობისკენ იმ დროში, რომელშიც ამ ცვლილებების განხორციელება ძალიან ბევრ ადამიანს არ შეუძლია. 2017 წელს, ბევრისთვის შეუძლებელი და წარმოუდგენელი იყო, თბილისის მერიას, თავისი ბიუჯეტით, ეყიდა 800 ან 500 ავტობუსი, თუმცა ეს მოხდა და ეს არის სწორედ იმის დამსახურება, რომ კახა კალაძეს აქვს უნარი, შესაძლებლობა და სურვილი, რომ ემსახუროს თბილისს. სამწუხაროდ, ჩვენ ასევე, ვხედავთ ოპოზიციის მხრიდან სრულ დესტრუქციას და დღევანდელი დღე თბილისის მუნიციპალიტეტის ისტორიაში ვერ შევა, როგორც კონსტრუქციული და ამ ინსტიტუტისთვის დამახასიათებელი ღირსეული საქციელებით გამორჩეულ დღედ. ოთარ გრიგოლიამ ისაუბრა რეფორმებზე და განაცხადა, რომ თბილისის სატრანსპორტო რეფორმა არ არის ჩვეულებრივი რეფორმა, რადგან ის კრიტიკულად მნიშვნელოვანი და აუცილებელია ამ ქალაქისთვის, რათა მას ჰქონდეს ხვალინდელი დღე და რომ ერთ დღესაც მოსახლეობა არ დადგეს საცობში. მისი თქმით, ოპოზიციონერი კოლეგების ნაწილი ხვდება ამ რეფორმის მნიშვნელობას, თუმცა, შეგნებულად ცდილობს ამ პროცესის კარიკატურიზებას, შეფერხებას და მოსახლეობისთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდებას, რათა დააკნინოს ეს პროცესი. თუმცა, რეალურად, ეს არის მათი პასუხისმგებლობაც, რადგან ამ პროცესებში ჩართული არიან ერთობლივად და მათი მხადაჭერა იქნებოდა ამის წინაპირობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ასე არ იქცევიან და დგანან მავნებლობის, რეგრესის და ჩვენი მოქალაქეების ინტერესების საწინააღმდეგო მხარეს. განაცხადა, რომ დღევანდელი ხელისუფლება აცნობიერებს, თუ რა პასუხისმგებლობა აქვს აღებული, მომავალშიც განაგრძობს რეფორმების განხორციელებას და პირადი პოლიტიკური პასუხისმგებლობის ფარგლებში, მიმართა თბილისის მოსახლეობას: „ვპირდები ჩვენს მოსახლეობას, რომ ყველა ეს რეფორმა, მათ შორის, სატრანსპორტო რეფორმა, მივა ბოლომდე და თქვენ, ხვალ, იცხოვრებთ ბევრად უკეთეს თბილისში".

ანა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ შეფასებით ნაწილში არ აპირებდა ფრაქციის დროით სარგებლობას და მიმართა კახა კალაძეს: „როდესაც მომიწოდეთ სიტყვები შემერჩია და ისე მელაპარაკა, ვეცადე, რომ მანამ, სანამ კითხვებს პასუხს სცემდით, ეს სიტყვები მომენახა და ისე გამეცა თქვენთვის პასუხი და მიიღებთ შესაბამის პასუხს, შესაფერისს, თქვენი პასუხის მსგავსს. თავდასხმა, რომ თავდაცვის საშუალება არის, ყველაზე კარგი დემონსტრირება თქვენი პასუხი იყო ამ შემთხვევაში. მე ძალიან უბრალო შეკითხვით მოგმართეთ - პოლიტიკური პასუხისმგებლობის დეფინიცია მოგეხდინათ თქვენეული, მაგრამ თქვენ გადმოხვედით თავდასხმაზე და უხერხულობაც არ იგრძენით მაშინ, როდესაც მესაუბრებოდით „ნაცმოძრაობაზე". იმიტომ, რომ, თქვენ, იმ წლებში, როდესაც მე სკოლაში ვსწავლოდბი და „ნაცმოძრაობას" ყველაზე დიდი სისტემური გადაცდომები ჰქონდა, იქნებოდა ეს გირგვლიანის საქმე, იქნებოდა ეს 2007 წლის 7 ნოემბერი თუ ა.შ., იყავით „ნაცმოძრაობის" მთავარი აპოლოგეტი და 2008 წლის რიგგარეშე არჩევნებზე ერთ-ერთი მთავარი სპიკერი და მე, თქვენს ადგილას, როდესაც მე მომმართავდით, ცოტა მორალურ უხერხულობას მაინც ვიგრძნობდი." ანა გოგოლაძემ, ასევე, მიმართა ზურაბ აბაშიძეს: „როდესაც ჩემს „ნაცმოძრაობაში" შესვლაზე საუბრობთ, მინდა შეგახსენოთ თქვენ ვის ოპოზიციაში იყავით იმ წლების განმავლობაში და თქვენი „ფრთიანი ფრაზა" იყო, მგონი, როდესაც „ქართულ ოცნებაზე" საუბრობდით, რომ „აღარ ღირს მაგათთან ყოფნაო" და დღეს, ერთ-ერთი „ხმალამოღებული" დამცველი ხართ. როდესაც კოლეგებს რაღაცაზე მიუთითებთ, სუფთა პოლიტიკური წარსულის მქონე პოლიტიკოსებს, ძალიან გთხოვთ, თქვენს პოლიტიკურ ღირებულებებში გამოერკვიეთ." ანა გოგოლაძემ ისაუბრა პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე და კიდევ ერთხელ მიმართა კახა კალაძეს: „პრობლემა და ტრაგედია არის ის, რომ დღეს, არა მარტო თქვენ, არამედ, მოქმედი პოლიტიკოსები ვერ იაზრებენ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას და გვაქვს ის მოცემულობა, რაც გვაქვს. ძალიან უწყინარი შეკითხვა იყო სისტემურ გადაცდომებთან დაკავშირებით და როდესაც სისტემურ გადაცდომაზე და დანაშაულზე ვსაუბრობდი, განვმარტე, რომ თქვენ არავინ გაკისრებთ პასუხისმგებლობას იმაზე, რომ იქ გაყვანილობა იყო არასწორად დამონტაჟებული და ხარვეზებით იყო შესრულებული სამუშაო, მე დავსვი შეკითხვა იმაზე, რომ მაგალითად, ექსპერტიზას მიეცა დოკუმენტაციის გაყალბების შესაძლებლობები და თქვენ მერე ქსპერტიზის ეს დასკვნები ჩაიბარეთ. ზუსტად ამაზე მქონდა აქცენტი გაკეთებული." საუბრის ბოლოს, გამოეხმაურა ურთიერთთანამშრომლობაზე გაკეთებულ განცხადებას და აღნიშნა, რომ 2023 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, ოპოზიციის შენიშვნები იყო საქმიანი და კონსტრუქციული, მათ შორის, საკრებულოში, აპრილში დარეგისტრირებული მისი ინიციატივა, შშმ პირებისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის შეღავათიან ტარიფთან დაკავშირებით, რომლის განხილვაზეც საკრებულოს თავმჯდომარისგან პირობაც ჰქონდა მიღებული, თუმცა ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტში ოპოზიციის რეკომენდაციებიდან არცერთი არ არის გათვალისწინებული. მისი თქმით, როდესაც საუბარია თანამშრომლობაზე, უმრავლესობის წარმომადგენლები ყოველთვის „თითს იშვერენ" ოპოზიციისკენ, რომ თითქოს ოპოზიცია არ თანამშრომლობს ხელისუფლებასთან, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არის მაგალითები, როდესაც უმრავლესობის მხრიდან, მთელი წლის განმავლობაში, ვისმენთ დაპირებებს და „მერე, ისევ, თითი გამოშვერილი რჩება ჩვენსკენ."

თინათინ ნიბლოშვილმა მიმართა ანა გოგოლაძეს: „არაკორექტული იყავით მაშინ, როდესაც ვაკის პარკის ტრაგედია განმარტეთ, როგორც „მიზანმიმართული დანაშაული" და ზოგადად, ბავშვის სიკვდილზე მეტი ტრაგედია და ამაზე მძიმე, არ ვიცი რა შეიძლება იყოს, არ მესმის, რად გიღირთ პარტიული კუთვნილება, რომ ასე უაპელაციოდ დაადანაშაულოთ ადამიანი და ადამიანები ასეთ მძიმე ტრაგედიაში, თან, მით უფრო, რომ არ იზიარებთ იმ პარტიის შეცდომებს, რომლის სიითაც ხართ „ზარ-ზეიმით" შემოსული თბილისის საკრებულოში, ერთ-ერთ გამოცდილ დამრბევთან ერთად, რომელიც თქვენთან ერთად იყო სიაში. გარდა ამისა, თქვენი ძირითადი მოტივაცია თბილისის საკრებულოში ყოფნის არის ის, რომ არაფერი ამ ქალაქში არ მოხდეს კარგი, არ აშენდეს ახალი სკვერები, არ იმოძრაოს ახალმა საზოგადოებრივმა ტრანსპორტმა, არ ავაშენოთ ახალი ბაღები. თქვენი მოტივაცია არის, რომ არ

დავეხმაროთ გაჭირვებულებს, არ აინთოს ნაძვის ხე ახალ წელს და ზოგადად, არ იყოს მშვიდობა და ალბათ, ჩემი კოლეგები დამეთანხმებიან, რომ მშვიდობას ალტერნატივა არ აქვს. თქვენ იკითხეთ რა გააკეთა თბილისის მერიამ ვაკის პარკის ტრაგედიის შემდეგ და ძალიან კარგად იცით, რაც მოხდა მას შემდეგ, მაგრამ მე მახსოვხართ თქვენ ტრაგედიის დღეს სხვადასხვა ეთერებში, მე მახსოვხართ თქვენ დაკრძალვის დღეს ბრიფინგებზე „გაპრანჭულები" და მე მახსოვს თქვენი რიტორიკა - როგორ უმტკიცებდით ხალხს და მთელ საქართველოს, როდესაც მთელი საქართველო მარიტას გლოვობდა, რომ თქვენი პარტია ჯობია სხვას. ეს იყო სამარცხვინო, ეს იყო ძალიან შეურაცხმყოფელი თითოეული ქართველისთვის, იმ ფონზე, რომ მთელი საქართველო გლოვობდა ბავშვს. მაგრამ, ეს არის თქვენი რიტორიკა, ასე გააგრძელეთ და არ ვიცი, რა შედეგამდე მიხვალთ, ეს უკვე თქვენ გადაწყვიტეთ."

მამუკა გუგეშაშვილმა მიმართა კახა კალაძეს: „მეგობრული რჩევა მინდა მოგცეთ, როგორც პარტიის გენერალურ მდივანს - ორი რამე გაითვალისწინეთ: ერთი, რომ ეცადეთ საპარლამენტო არჩევნებზე, როდესაც სიას შეადგენთ, ლევან ჟორჟოლიანის და ნინო რუხაძისნაირი ხალხით შეავსოთ, ვიდრე ისეთებით, ვინც დღეს გეფერებათ და ჩვენ გვლანძღავს. ბევრად მოგებული დარჩებით „ნაციონალურ მოძრაობასთან". მეორე, ეს საკრებულო რომ დაწყნარდეს და ბატონ გიორგი ტყემალაძეს საშუალება ჰქონდეს, კარგად იყოს, გლდანის რაიონის გამგებელი კარგად შეარჩიეთ, რადგან აქ თუ რამე ხდება, სულ გლდანის თემებზეა „აყალ-მაყალი"... დღეს, საქართველოში უნდა დამთავრდეს სამოქალაქო დაპირისპირება, ეს შეგიძლიათ თქვენ იმიტომ, რომ თქვენ ხართ დღეს ხელისუფლებაში და ათი წლის განმავლობაში მიდის ერთმანეთზე წამოძახილი „შენ ის იყავი, შენ ეს იყავი". ერთხელ და სამუდამოდ, ეს თემა უნდა დამთავრდეს." მამუკა გუგეშაშვილმა განაცხადა, რომ არასდროს ისურვებს, არათუ კახა კალაძეს, არამედ საკრებულოს მსხდომ რომელიმე ადამიანს როდესმე ვინმემ დაადოს ხელბორკილები და ამ დარბაზში მსდომთაგან, ალბათ პირველი, ვინც კახა კალაძეს იცნობდა, არის თავად და დიდ პატივს სცემს და აფასებს, როგორც სპორტსმენს და დიდ ფეხბურთელს. ფიქრობს, რომ როგორც ფეხბურთელი, ისტორიაში შევა ოქროს ასოებით, ხოლო რაც შეეხება კახა კალაძის, როგორც მერის, შეფასებას, მისი თქმით, რაც არ უნდა ცუდი ილაპარაკოს მასზე ოპოზიციამ და რამდენიც არ უნდა აქონ საკრებულოს უმრავლესობის წევრებმა, მისი შემფასებლები, იქნებიან თბილისელები და თუ ოპოზიცია ვერ დაინახავს მის გაკეთებულ საქმეებს, ამას დაინახავს მოსახლეობა. მამუკა გუგეშაშვილმა განაცხადა, რომ მისი აზრით, ქვეყანა არასწორად მიდის, „ჩვენი ქვეყანა გზაგასაყარზეა - ან ავიხდენთ თაობების ბრძოლით მოპოვებულ ოცნებას, ან შეურაცხვყოფთ ჩვენი წინაპრების ბრძოლას", საქართველოს ერთადერთი გზა წინსვლისთვის არის ევროპის დიდ ოჯახში სრულუფლებიანი წევრობა და „არ შეიძლება ევროპული მომავალი გაიცვალოს ჩვენ კინკლაობაზე". აქედან გამომდინარე, ფიქრობს, რომ „ქართული ოცნების" ლიდერები არ უნდა ჩაერიონ სასამართლოს სისტემაში და მიუხედავად იმისა, რომ, მისი აზრით, „სასამართლო არის კლანი", მაინც სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ციხეში მჯდომი ერთ-ერთი მედიამენეჯერის, ნიკა გვარამიას გათავისუფლებაზე და ასევე, მიუხედავად იმისა, რომ სალომე ზურაბიშვილს არ აღიარებს საქართველოს პრეზიდენტად, მიხეილ სააკაშვილის შეწყალებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სალომე ზურაბიშვილმა.

ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ დღეს რაღაცების შეფასება და ყველაფრისთვის თავის სახელის დარქმევა მარტივად შესაძლებელია ანუ რა გავიგეთ დღევანდელი სხდომიდან და რა დასკვნები უნდა გამოვიტანოთ. ზოგი კოლეგის საქციელი ნამდვილად არ არის შესაფერისი იმ შენობასთან და ინსტიტუციასთან, რომელშიც ვიმყოფებით და კარგი იქნება, ყველამ დააცხროს ემოციები და ისე განვაგრძოთ მუშაობა, რადგან გვიყურებენ თბილისელები, რომლებიც იმის ნაცვლად გაიგონ, თუ რას ელოდონ 2023 წელს, დაინახავენ საკრებულოსთვის სრულიად მიუღებელ სცენას. ისაუბრა ოპოზიციასა თბილისის მერს ან საკრებულოს უმრავლესობას შორის თანამშრომლობაზე და აღნიშნა, ცალმხრივი არაფერი არსებობს და შესაბამისად, თუ ოპოზიციონერი კოლეგების ნაწილს გადაწყვეტილი აქვს, რომ უმრავლესობის გუნდის წევრები კორუმპირებულები ვართ, მერიის სამსახურებში ყველა დასაჭერია, ყველას საქმე პროკურატურაში უნდა იყოს აღძრული ან რაღაც სქემებში ვართ შესული ჩვენ და ჩვენი

კოლეგები, მერე თანამშრომლობა, არ აქვს მნიშვნელობა ეს იქნება მიუსაფარ ცხოველებზე, ტრანსპორტზე თუ სხვა, არ გამოვა. ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა თბილისის ბიუჯეტზე და აღნიშნა, რომ 2023 წლის ბიუჯეტი არის ზუსტად ორჯერ მეტი, ვიდრე ის იყო 2017 წელს, დღევანდელი გუნდის ხელისუფლებაში მოსვლის დროს. მისი თქმით, ბიუჯეტის პირველადი ვერსიის წარმოდგენისას იყო სპეკულაციები იმასთან დაკავშირებით, რომ ბიუჯეტი მცირდებოდა და სხვადასხვა მიმართულებით იკლებდა დაფინანსება, თუმცა, დღეს, როდესაც ყველა ხედავს, რომ ბიუჯეტი არის უპრეცედენტოდ მაღალ მაჩვენებელზე, არავინ აღარფერს ამბობს. მისი თქმით, როდესაც, ევროპაში არსებული კრიზისის ფონზე, ვახერხებთ, რომ მომდევნო წლის ბიუჯეტი იყოს წინა წლის ბიუჯეტზე 300000000 ლარით მეტი, ამაზე არ შეიძლება არსებობდეს ორი აზრი და დღეს, როდესაც თბილისელები ელოდებიან იმის მოსმენას, თუ რა გაკეთდება ამ თანხით - როდის დასრულდება სატრანსპორტო რეფორმა და როდის აღარ გაუჭირდება თუნდაც დიდი დიღმიდან ქალაქის ცენტრში გამოსვლა, როდის აღარ იდგება საცობში, როდის ჩამოვა 200 ერთეული 18 მეტრიანი ავტობუსი და რა იქნება დაგეგმილი მის უბანში, არ უნდა ვსაუბრობდეთ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ არსებულ ვითარებაზე და თუნდაც მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. საუბრის ბოლოს, ლევან ჟორჟოლიანმა მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ დღეს ისინი უნდა საუბრობდნენ თბილისის და თბილისელებისთვის საჭირო პროექტების განხორციელებაზე და არა ისეთ საკითხებზე, რომლებიც არა თუ საკრებულოს, არამედ, ზოგადად, პოლიტიკოსების გადასაწყვეტი არ არის, რადგან ამას წყვეტს სასამართლო და ექიმები.

ლილე ლიპარტელიანმა მიმართა საკრებულოს წევრებს: „მგონი სხადასხვაგან ვართ, მე საერთოდ სხვაგან ვარ, ასე ვფიქრობ გეტყვით ახლა რატომ. ხუთწლიანი გეგმები, ხუთწლედები, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ზოგადად, სოციალური მდგომარეობა, საბჭოთა კავშირის დროს რომ იყო, ისეთი არ ყოფილა არცერთ ეტაპზე საქართველოში, დამეთანხმებით, ალბათ. გგონიათ არჩევნებს არ ატარებდნენ? რა თქმა უნდა, ატარებდნენ, სუბსიდირებული და დოტაციაზე იყო ყველაფერი და ყველა კარგად ცხოვრობდა, მაგრამ ადამიანის ფუნდამენტური უფლებები იყო დაუცველი. კარგია, წლიური ანგარიში წარმოადგინეთ, შესრულებაც კარგია, მომავალი ბიუჯეტიც რომ წარმოადგინეთ, კარგია, ადამიანის ფუნდამენტური უფლებები სად არის ამ დროს? მართლა სხვადასხვაგან ვართ, ესე ვფიქრობ“. ლილე ლიპარტელიანმა მიმართა რევაზ სოხაძეს: „მართალი ხარ, ისტორია ზღვარს წაშლის და მიხეილ სააკაშვილი ისტორიაში შევა, როგორც პუტინის ტყვე და ტანჯული თქვენი ხელისუფლებისგან, წამებული თქვენი ხელისუფლებისგან - აი, ასე შევა ისტორიაში და შევა ისე, რა გააკეთა მიხეილ სააკაშვილმა“. განაცხადა,რომ გასაგებია, რომ ციხეებში ცუდი მდგომარეობა იყო და რაღაც ისე არ კეთდებოდა, როგორც უნდა გაკეთებულიყო და მიმართა უმრავლესობის წევრებს: „ეს დაინახეთ მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის დროს, რომ ციხეებში ცუდი სიტუაცია იყო? სხვა ვერაფერი ვერ დაინახეთ? ცუდია მეგობრებო, ძალიან ცუდი“. ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ კახა კალაძის თქმით, დღევანდელმა ხელისუფლებამ გამოისყიდა წინა ხელისუფლების პერიოდში გასხვისებული ობიექტები და მიმართა მას: „იმის წინა ხელისუფლების დროს რა ხდებოდა იმაზე რატომ არ საუბრობთ? ბარათაშვილის ქუჩიდან პურის მოედნამდე ერთადერთი სკვერი იყო და 2020 წელს გაყიდეთ, საზოგადოებრივი ფუნქციის შენარჩუნების პირობით, მაგრამ დღეს შემოღობილია და მშენებლობა მიდის იქ, იცით? და იმ სკვერის ხარჯზე, კოეფიციენტი მოუმატეთ იქვე, დევი კანდელაკს და მშენებლობას აწარმოებს ახლა. ესე დავიწყოთ? „თქვენ დროს ის გაკეთდა და ჩვენ დროს ის?“ ამას გვეუბნება ევროპა და არა იმას, რასაც თქვენ გვეუბნებით, რომ „გაათავისუფლეთ მიხეილ სააკაშვილი, თორემ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს არ მოგცემთო.“ გვეუბნება, რომ პოლიტპატიმრები არ გყავდეთო, მედიაგარემო გააუმჯობესეთო, სასამართლო გაათავისუფლეთო, დეოლიგარქიზაცია მოახდინეთო - ამას გვეუბნება და ა.შ. 12 პუნქტია, მათ შორის, ნიკა გვარამია, პოლიტპატიმარი, გაათავისუფლეთო და მათ შორის, მიხეილ სააკაშვილი სამკურნალოდ გადაიყვანეთო - ამას გვეუბნება ევროკავშირი. არავინ გვეუბნება, რომ ამის სანაცვლოდ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს მოგცემთო, 12 პუნქტი შეასრულეთ და

ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს მოგცემთო. ძალიან ვწუხვარ, ბატონო კახი, მართლა სხვანაირი წარმოდგენა მქონდა თქვენზე და ყველაშვილის და სოზარ სუბარის დონის შეფასებებზე რომ გადავედით, მართლა ძალიან ვწუხვარ, გულწრფელად ვწუხვარ. მაგრამ დაფიქრდით კარგად, ბატონო კახი, თქვენ დღეს მილანში ხვდებით შობას და თქვენი შვილები „მოსკოვებში" არ შეხვდნენ შობას ისე არ გააკეთოთ, ამაზე დაფიქრდით კარგად".

გიორგი ჩაკვეტაძემ აღნიშნა, რომ დღეს საკრებულოს ისტორიულ დარბაზში შევიკრიბეთ იმისთვის, რომ განგვეხილა თბილისის ბიუჯეტი, რომელიც ზუსტად ორჯერ მეტია, თუ შევადარებთ ხუთი წლის წინანდელ მდგომარეობას და ისაუბრა 2022 წელზე. განაცხადა, რომ ჩვენი ქალაქი და ქვეყანა, ამ წლის განმავლობაში, ძალიან ბევრი გამოწვევის წინაშე დადგა ისევე, როგორც ჩვენი რეგიონი - 24 თებერვალს, გაუმართლებელი და ბარბაროსული ომი დაიწყო რუსეთმა უკრაინაში და უკრაინელ ხალხს უსურვა მშვიდობა, ამ ომის დროული შეკავება და დასრულება. გიორგი ჩაკვეტაძემ ისაუბრა იმაზე, თუ რა გააკეთა საქართველოს ხელისუფლებამ ამ ყველაფრის პარალელურად: ჩვენ, ომის დაწყებისთანავე, გამოვუცხადეთ მხარდაჭერა უკრაინელ ხალხს; ათასობით უკრაინელი ოჯახი, რომელიც შესაბამისი პირობების გამო ჩამოვიდა თბილისში და საქართველოში, უზრუნველვყავით საცხოვრებლით და სხვადასხვა სერვისებით; საქართველო შეუერთდა 400-ზე მეტ საერთაშორისო რეზოლუციას, მათ შორის, ქმედით ბერკეტებს, უკრაინის მხარდასაჭერად; ყველაზე მეტი ჰუმანიტარული დახმარება გაგზავნა საქართველომ და მათ შორის, ქართველმა ახალგაზრდებმა, რაზეც თავად უკრაინული ფოსტა წერს. მისი თქმით, კოვიდის პანდემიის და რუსეთის ამ ომის შემდეგ, უნდა აღვნიშნოთ, თუ სად არის საქართველო: საქართველო არის იქ, რომ ზედიზედ მეორე წელია ჩვენ ქვეყანას აქვს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა; საქართველო არის იქ, რომ აქვს უმნიშვნელოვანესი როლი ევროკავშირის ენერგეტიკული უსაფრთხოების კუთხით და მათ შორის, რამდენიმე დღის წინ გაფორმდა ეს ხელშეკრულება, საქართველოს პრემიერმინისტრის მონაწილეობით; 24 ივნისს მივიღეთ ისტორიული შანსი ევროკავშირისგან, რაც არის კანდიდატის სტატუსამდე ის ისტორიული პერსპექტივა, რომელიც მოგვანიჭა ევროკავშირმა. გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ არავინ დაობს იმაზე, რომ საქართველოს მომავალი არის ევროკავშირში და მისი კურსი არის ევროატლანტიკური კურსი და ვდაობთ იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ხვალინდელი თბილისი და საქართველო. მისი თქმით, საქართველოს პარლამენტის მიერ, 2022 წელს მიღებული გადაწყვეტილებებიდან 30% ანუ 22 აქტი ემსახურება იმას, რომ შესრულებულიყო 12 პუნქტი, თუმცა ამ მიმართულებით მუშაობა ვერ იქნება და არ შეიძლება იყოს ცალმხრივი და ჩვენ ამ ფონზე დავინახეთ, რომ დესტრუქციული ძალები აგრძელებდნენ ქვეყანაში დესტაბილიზაციის და როგორმე ამ ქვეყნის კიდევ ერთხელ ომში ჩათრევის მცდელობებს. განაცხადა, რომ ამ პოლიტიკური ძალისგან კიდევ რაიმე თუ გააკვირვებდა, არ ელოდა, თუმცა მოახერხეს და გააკვირვეს - „ესეთი მტრობა საკუთარი სამშობლოსი, რაც ამ პროცესის განმავლობაში კიდევ ერთხელ გამოჩნდა, უბრალოდ არის წარმოუდგენელი". გიორგი ჩაკვეტაძემ აღნიშნა, რომ ყველამ ერთად დავინახეთ და განვიცადეთ ის, რაც ვაკის პარკის ტრაგედიის დროს მოხდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამის შემდეგ მოხდა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა - ის მომეტებული რისკის მქონე ობიექტები, რომლებიც უკავშირდება კონკრეტულ საექსპერტო კომპანიას მოწმდება და ეს პროცესი გაგრძელდება. მისი თქმით, ჩვენი ქალაქი და ქვეყანა აუცილებლად გააგრძელებს განვითარებას, რისი დასტურია დღეს წარმოდგენილი ისტორიული ბიუჯეტი, რომელიც არის 1632000000 ლარი და ხმარდება, მათ შორის, ტრანსპორტის მოწესრიგებას, სოციალურ საკითხებს, სადაც უამრავი სიახლეა და სპორტის და ახალგაზრდობის მიმართულებით ბევრ იმ ინფრასტრუქტურულ პროექტს, რომლის განხორციელება წარმოუდგენელი იყო წინა წლებში და განაცხადა, რომ მაშინ, როდესაც ასე ახლოს ვართ ისტორიულ ოჯახში დაბრუნებასთან, აღარ რჩება დრო, რომ ქვეყანაში მოხდეს არეულობა და დესტაბილიზაცია.

გიორგი შარაშიძემ აღნიშნა, რომ სხდომაზე საუბარი იყო იმაზე, რომ თითქოს თბილისის მერს და საკრებულოს უმრავლესობას არ აქვს ოპოზიციასთან თანამშრომლობის პრობლემა და მიმართა მათ: „ბატონო კახი, პირადად თქვენ მინდა გაგახსენოთ ის ძალიან მნიშველოვანი

შემოთავაზება და მე არ ვიცი, რა შეიძლება იყოს ამაზე უფრო საქმიანი და საჭირო შემოთავაზება, რაც პირადად მე, ერთი წლის წინ, ფრაქცია „თბილისი საქართველოსთვის“ სახელით, შემოგთავაზეთ, რომ ერთობლივად, თბილისის საკრებულოში შექმნილიყო ანტიკორუფციული კომისია. მას შემდეგ, საჯაროდაც არაერთხელ მოგიწოდეთ, დათანხმებოდით ამ ინიციატივას და გადაგედგათ ქმედითი ნაბიჯები კორუფციასთან საბრძოლველად და თბილისის ბიუჯეტის კორუფციული რისკებისგან დასაზღვევად. მგონი, ვთანხმდებით, რომ ერთი მხრივ, ძალიან კარგია, როდესაც იზრდება თბილისის ბიუჯეტი, მაგრამ, რაც უფრო იზრდება ბიუჯეტი, ბუნებრივია, მით უფრო იზრდება კორუფციული რისკებიც, მაგრამ, სამწუხაროდ, არც პირადად თქვენგან და არც თქვენი გუნდისგან, არანაირი რეაგირება ჩვენს ამ შემოთავაზებაზე არ მიგვიღია. მე კი მინდა შეგახსენოთ და ეს თქვენც კარგად იცით, რომ კორუფციასთან ბრძოლა არის სწორედ ევროკავშირის ამ 12 პუნქტიანი რეკომენდაციების ერთ-ერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგრამ, ალბათ იმიტომ, რომ თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ევროპას შეუძლია თავისთვის დაიტოვოს ეს არაფრისმომცემი სტატუსი“, აქ სიტყვა „არაფრისმომცემი“ ძალიან მნიშვნელოვანია, თქვენ დღესაც იგივე გაიმერეთ, მაგრამ კარგია, რომ ეს „არაფრისმომცემი“ ამოიღეთ უკვე, არ აპირებთ თბილისის მმართველობა დაუახლოვოთ ევროპული ტიპის მმართველობას, რადგან როგორც ჩანს, მზად ხართ, ამ ძალაუფლების შენარჩუნების სურვილს შესწიროთ კიდეც საქართველოს ევროპული მომავალი, და მე არ მინდა ბოლომდე მჯეროდეს ამის, რადგან, როდესაც ამბობთ, რომ ეს სტატუსი არის „არაფრისმომცემი“, როგორც ჩანს, ვერ აფასებთ იმ ისტორიულ მომენტს, სადაც უკრაინელი ხალხის თავგანწირვის შედეგად აღმოვჩნდით და ვერ აღიქვამთ იმ შესაძლებლობის ახალ ფანჯარას, რომლის გახსნას თაობები ელოდებოდნენ და სისხლს ღვრიდნენ ამისთვის, რადგან, თქვენივე სიტყვებით, „არაფრისმომცემად“ მიგაჩნიათ ეს სტატუსი, სტატუსის მიღების გარეშე კი საქართველო ვერ გახდება ევროკავშირის და ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი. გიორგი შარაშიძის ამ განცხადების პასუხად, კახა კალაძემ მიმართა მას: „ჩემი განცხადება იყო იმასთან დაკავშირებით, რომ კონკრეტულმა, ე.წ. „ჩვენი ქვეყნის მეგობრებმა“ და სააკაშვილის ადვოკატმა გააკეთეს განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ „სააკაშვილი თუ არ იქნება გათავისუფლებული, ქვეყანა ვერ მიიღებს სტატუსს“. მე გეკითხებით თქვენ - ხართ კონკრეტული პარტიის წარმომადგენელი, თქვენი პარტიის წარმომადგენლები არიან პარლამენტში. მაშინ რა აზრი აქვს იმ 12 პუნქტიანი გეგმის შესრულებას, თუ ტოლობის ნიშანი და კითხვის ნიშნავი ისმება იმასთან დაკავშირებით, რომ სააკაშვილი გათავისუფლდება თუ არა ამაზეა დამოკიდებული სტატუსი. ეს მისაღებია თქვენთვის?“ რაზეც გიორგი შარაშიძემ უპასუხა, რომ მისაღები არ არის და ამას არავინ ამბობს, მან გამოხატა გულწრფელი გულისტკივილი იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისს ჰყავს მერი, რომელსაც შეუძლია, რაღაც მომენტში, რაღაც მიზნებით და ინტერესებით, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსზე თქვას ფრაზა, რომ ეს სტატუსი შეიძლება იყოს „არაფრისმომცემი“. იმედი გამოთქვა, რომ კახა კალაძე თავადაც ხვდება, რომ ეს ფრაზა არ იყო სწორი და განაცხადა: „მხოლოდ და მხოლოდ გულისტიკივილია ჩემი, რომ ბატონ კახა კალაძეს, რომელსაც შეეძლო ისტორიაში შესულიყო, როგორც თბილისის ერთ-ერთი ყველაზე პროევროპული მერი, სწორედ ამ ანტიევროპული განცხადებების გამო, რომლის გამართლებაც ხდება სააკაშვილის ფაქტორით, ის ამას ვერ მოახერხებს“.

კახა კალაძემ კიდევ ერთხელ მიმართა გიორგი შარაშიძეს: „მე არ ვიცი, თქვენ რა დამოკიდებულება გაქვთ ჩვენს ქვეყანაზე, ჩვენს სამშობლოზე, არ ვიცი რა დამოკიდებულება გაქვთ ჩვენს ხალხზე, თუნდაც კონსტიტუციაზე, თუნდაც კანონზე. უკვე მესმის და ვხვდები, რა დამოკიდებულება გაქვთ იმაზე, როდესაც ე.წ. „ჩვენი მეგობრები“ გამოდიან, აკეთებენ განცხადებებს, საერთოდ ფეხქვეშ თელავენ კონსტიტუციას, საერთოდ ფეხქვეშ გვითელავენ კანონმდებლობას და გვეუბნებიან: „გამოუშვით ადამიანი, მერე რა, რომ დანაშავეა. გამოუშვით, თორემ არ მოგცემთ კანდიდატის სტატუსს. ეს დამოკიდებულება, ეს განცხადებები, თქვენთვის, როგორც ქართველისთვის, ამ ქვეყანაში დაბადებული ადამიანისთვის, ეს მისაღებია? ნორმალურია?.. საუბრის დასაწყისში აღვნიშნე და მგონი, გამგები გაიგებს - ჩვენ მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა, მაგრამ ბრძოლა

დამოუკიდებლობისთვის გრძელდება დღესაც და გავდივართ ძალიან რთულ გზას და დარწმუნებული ვარ, ამ რთულ გზაზეც გამარჯვებით გავალთ ყველა ის ადამიანი, ვისაც თავისი სამშობლო უყვარს, თავისი ქვეყანა და თავისი ხალხი".

მიხეილ კაკაურიძემ აღნიშნა, რომ თბილისის მერის დღევანდელი განმარტებები ევროინსტიტუტების გადაწყვეტილებების შეფასებაზე და ის რიტორიკა, რომლითაც ის საუბრობს ამ ინსტიტუტებზე, პირდაპირი მნიშვნელობით, გვაშორებს ევროპას და არ გვაახლოებს იმიტომ, რომ თუ საუბარი გვაქვს ერთი კონკრეტული ევროპარლამენტარის გამონათქვამზე, ეს, შესაძლებელია მისაღები ყოფილიყო, მაგრამ, როდესაც საქმე გვაქვს ევროპარლამენტის, როგორც ინსტიტუტის, გადაწყვეტილებასთან და იმასთან, რომ 12 პუნქტიან რეკომენდაციაში პრაქტიკულად შეუსრულებელია ყველა საკითხი და დღემდე ამ მიმართულებით არცერთი ნაბიჯი არ გადადგმულა, ეს გვაშორებს ევროპას. რასაც დღეს მიმდინარე სხდომაზე ვხედავთ, ეს არ არის პოლარიზაციის გაღრმავება? განაცხადა რომ, როდესაც ოპოზიციის მიერ დასმულ საკითხებზე უმრავლესობის წარმომადგენლებს ეძნელებათ პასუხის გაცემა, ათწლიანი ინტერვალის შემდეგ, გადავდივართ იმ ათწლიან პერიოდზე, როდესაც კონკრეტული არაფერი ჩაუდენიათ დღეს საკრებულოს დარბაზში მსხდომებს და გაუგებარია, „რატომ გვაბრალებენ ან სისხლისმსმელობას, ან რაღაც რადიკალიზმს" და მიმართა მათ: „თქვენ თუ რაღაც თანამშრომლობას აპირებთ ჩვენთან და რეალურად გამოხატეთ დღესაც - „დიახ, ჩვენ ვთანამშრომლობთ", მე რატომ მთხოვთ პასუხს 20 წლის წინანდელ ჩადენილზე, რომელზეც პასუხი აგო იმ კონკრეტულმა დანაშაულის ჩამდენმა. კონკრეტულ საკითხზე კონკრეტული პირი აგებს პასუხს და პოლიტიკური პასუხისმგებლობა „ნაციონალურმა მოძრაობამ" აიღო, როცა ხელისუფლებიდან გავიდა... თუნდაც გაიყვანეთ, თქვენი რიტორიკა იყოს თქვენთან. მაგრამ ეს ხომ პოლარიზაციას კიდევ და კიდევ აღრმავებს? ამ შემთხვევაში, ვსაუბრობ და თქვენ კიდევ იმაზე აპელირებთ „ათი წლის წინ"... ხომ შეიძლება, თუკი დავამთავრეთ ამ საკითხზე და თანამშრომლობის ხელი გავუწოდეთ ერთმანეთს, კონსტრუქციულობა შეინარჩუნოთ? როგორ შეიძლება, არც ერთი რეკომენდაცია არ იქნეს გათვალისწინებული სამასმილიონიან ზრდაში ბიუჯეტში?" მიხეილ კაკაურიძის განცხადებიდან გამომდინარე, კახა კალაძემ მიმართა მას: „ნაციონალური მოძრაობა" ცხრა წელი მართავდა ქვეყანას. თქვენ წარმოიდგინეთ, ისე მართა ქვეყანა ცხრა წლის განმავლობაში, ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში აღარ ხართ და საზოგადოებას „თქვენი ატანა არ აქვს", პირდაპირი ამ სიტყვის მნიშვნელობით, პირადად არ მიიღოთ, მე „ნაციონალურ მოძრაობაზე" ვსაუბრობ. ვერ გააანალიზეთ, რა შეცდომები დაუშვით, რა დანაშაულები ჩაიდინეთ და იმის მაგივრად, რომ გააანალიზოთ ეს ყველაფერი, ხალხს ბოდიში მოუხადოთ, იმ ჩადენილი დანაშაულებებისთვის, რაც ისევ თქვენ გამოგადგებათ, ვერ გაგიანალიზებიათ ეს ყველაფერი." რაზეც მიხელ კაკაურიძემ უპასუხა, რომ პირადად მიიღებს, რადგან ამ შემთხვევაში სწორედ პირადზეა აქცენტი გადმოსული და მიმართა მას: „გირჩევდით რიტორიკა შეგეცვალათ ევროპასთან მიმართებაში, ევროპულ ღირებულებებთან მიმართებაში, იმიტომ, რომ იმ ღირებულებებზე, რომლებზეც თქვენ საუბრობთ, ამ ღირებულებებს დაუჭირა მხარი საზოგადოების 84%-მა და კონსტიტუციაშია ეს გამყარებული, რომ ევროპული კურსის შეცვლის უფლება თქვენ არ გაქვთ, რაც არ უნდა დაინახოთ, თუნდაც ევროპარლამენტის და ევროკავშირის გადაწყვეტილებებში გადაცდომები." მიხელ კაკაურიძემ ისაუბრა 2023 წლის ბიუჯეტზე, აღნიშნა, რომ ოპოზიციის მიერ გაჟღერებული არცერთი ინიციატივა არ იქნა გათვალისწინებული ამ ბიუჯეტში და შესაბამისად, მისი მხარდაჭერა არ და ვერ იქნება. ხოლო როდესაც საუბარია ბიუჯეტის განხილვაზე, მისი არსებითი განხილვისთვის, აუცილებელია, რომ ოპოზიცია ჩართული იყოს ბიუჯეტის განხილვის პროცესის ყველა ეტაპზე და ინფორმირებული იყოს ყველა იმ ნაბიჯზე, როდესაც ის შემუშავებული იქნა, მაგრამ, რეალური ქმედითი ჩართულობის საშუალება არ ეძლევა ოპოზიციას და ითხოვა აღნიშნულის გათვალისწინება მომავალი ბიუჯეტის დაგეგმვისას და განაცხადა, რომ ასეთ შემთხვევაში იქნება მხარდაჭერაც, წინადადებებიც და კონსტრუქციულობაც.

კახა კალაძემ კომენტარი გააკეთა მიხეილ კაკაურიძის სიტყვებზე, რომელიც ეხებოდა ევროპული ღირებულებების კონსტიტუციით გამყარებას და მიმართა მას: „კონსტიტუციაში ეს „ქართულმა ოცნებამ“ ჩაწერა და „ქართული ოცნების“ მხადაჭერით მოხდა ეს ყველაფერი“.

გივი ჩხარტიშვილმა მადლობა გადაუხადა თბილისის მერს და მის გუნდს გაწეული სამუშაოებისთვის, რაც, მისი თქმით, დედაქალაქს ნამდვილად ეტყობა და განაცხადა, რომ ჩვენ გვაქვს ხშირი კომუნიკაცია მოსახლეობასთან და აღსანიშნავია ის, რომ ყოველდღიურად იგრძნობა, თუ რაოდენ დადებითი მუხტია ამ ადამიანებში ქალაქში გაკეთებული მნიშვნელოვანი საქმეების მიმართ. აღნიშნა, რომ სურს ისაუბროს პოლიტიკურ ნაწილზე და განაცხადა: „კოლეგებს ვუსმენდით და ყველანაირად ცდილობენ, რომ „გააპრავონ“ პრეზიდენტი, რომელმაც გორში, კარგად გვახსოვს ყველას, მთავარსარდლობის მომენტში, თუ რა მაგალითი მისცა ქართულ ჯარს“. გივი ჩხარტიშვილმა აღნიშნა, რომ თან აქვს ამნისტირებული პოლიტიკური პატიმრების სია, იმ ადამიანების სია, რომლებსაც წინა ხელისუფლების დროს ჩამოართვეს ქონება და ა.შ. ბევრი სია აქვს და მიხეილ სააკაშვილის მისამართით განაცხადა, რომ „დიახ, ყველა უნდა დაისაჯოს და სამწუხაროა, რომ დღეს დედასთან ერთად, მართლა კლინიკაში იხდის სასჯელს.“

ვახტანგ სურგულაძემ ისაუბრა იმაზე, თუ რა პრობლემას ხედავს მაშინ, როდესაც საუბარია შეფასებაზე და აღნიშნა, რომ „ერთმანეთს არ ვუსმენთ... ეხლაც რას ვუსმენდით? რომ თურმე ჩვენ, საბავშვო ბაღების მშენებლობა არ გვინდა, ჩვენ, ოპოზიციას არ გვინდა ლამაზი სკვერები. მოდით რა, ერთმანეთს თბილისის სიყვარულში ნუ შევეჯიბრებით.“ განაცხადა, რომ პრობლემა არის მუდმივად ერთმანეთზე გადაბრალება და ერთმანეთის არმოსმენა, მუდმივად იმის საუბარი და იმის არაღიარება, რომ რაღაც შეცდომა ადამიანს მოსდის და მიმართა კახა კალაძეს: „ძალიან მესიამოვნა, როდესაც თქვით, რომ „გვაქვს შშმ პირების მიმართულებით პრობლემა... ბატონო კახა, თქვენ გაბრალებენ, რატომ არ მოდიან თქვენი სამსახურის უფროსები ოპოზიციის ფრაქციებთან შესახვედრად. თურმე ჩვენ აქ „კლოუნადას“ მოვაწყობთ. თქვენ რომ მართლა სამ თვეში ერთხელ მოხვიდეთ, მერწმუნეთ, ეს არ იქნება აქ, რადგან ხსნა არის ახსნაში. თქვენ რომ ამიხსნით, გავიგებ, მეც რომ აგიხსნით, თქვენც უნდა გაიგოთ. დავანებოთ თავი „ცხრა წელზე“ საუბარს და იმას, რომ „მე ყოველთვის მართალი ვარ და თქვენ ყოველთვის მტყუანები“... არ შეიძლება ყოველთვის მართალი იყოთ, შეიძლება ხანდახან რაღაც შეგეშალოთ, დავსხდეთ და ერთად ვიმსჯელოთ. თქვენთან მოსვლა და ურთიერთობა პრობლემაა. შვიდი დეპუტატი მოვედით და პოლიციის კორდონი დაგვახვედრეთ, არ იყო სასიამოვნო. რეალურად არც საჩხუბრად მოვსულვართ, ინფორმაციის მოსასმენად მოვედით“. ვახტანგ სურგულაძის თქმით, წინა ხელისუფლების დროს, იყო ბევრი შეცდომა, თუმცა, რომ შევადაროთ, შევარდნაძის დროს და იმას, რაც დახვდა წინა ხელისუფლებას, როდესაც არც ტროლეუბუსი იყო, არც ავტობუსი იყო, არც სასწრაფო არსებობდა, რაღაცები გაკეთდა და კარგი იყო. განაცხადა, რომ უნდა ვისაუბროთ დღევანდელ დღეზე და იმაზე, როგორ გადავწყვიტოთ არსებული პრობლემები, ოღონდ ერთობლივად უნდა გავაკეთოთ ეს ყველაფერი, რადგან ერთმანეთს თუ არ მოვუსმინეთ და თუ ერთმანეთის ელემენტარული პატივისცემა არ გვექნება, არაფერი გამოვა, ვერაფერს გავაკეთებთ. საუბრის ბოლოს, მიმართა თბილისის მერს: „ბატონო კახი, ძალიან მაგარი სპორტსმენი იყავით და როგორც სპორტსმენს დიდ პატივს გცემდით, ბევრი ადამიანისგან ველოდი, მაგრამ, არ მეგონა, რომ თქვენ უკრაინაში არ წახვიდოდით“.

კახა კალაძემ მიმართა ვახტანგ სურგულაძეს: „რასაც ამბობთ, აბსოლუტურად გეთანხმებით ყველაფერში, აბსოლუტურად გეთანხმებით იმაში, რომ მნიშვნელოვანია თანამშრომლობა და მე საუბრის დასაწყისში შემთხვევით არ მითქვამს ის, რომ თანამშრომლობა ცალმხრივი ვერ იქნება. ამას აქვს თავისი საფუძველი, რატომ ვამბობ ამ ყველაფერს - მე როდესაც, შარშან მერად არჩევის შემდეგ, მოვედი საკრებულოში, გამოვთქვი მზადყოფნა, რომ მზად ვარ, მიუხედავად იმისა, როგორი საარჩევნო კამპანია იყო - ლანძღვა, გინება, შეურაცხყოფა ჩემი პირადი, ჩემი შვილების, ჩემი ოჯახის, ყველაფერს ვდებ გვერდზე და მზად ვარ ვითანამშრომლო, მზად ვარ გადავდგა ეს ნაბიჯი და თბილისის საკეთილდღეოდ გვქონდეს თანამშრომლობა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არ არის აუცილებელი ან ვიმეგოროთ, ან სიყვარული გვქონდეს

ერთმანეთის, მთავარია საქმის მიმართ და ამ ქალაქის მიმართ გვქონდეს სიყვარული ყველა პოლიტიკურ პარტიას და აქ წარმოდგენილ ადამიანებს. გამოვხატე ამის მზაობა. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რამხელა შეურაცხყოფები, რამხელა ზიზღი, პერფორმანსების მოწყობა და თუკი რაიმე სიბინძურე შეიძლება ადამიანმა მოიფიქროს, ყველაფერი იკადრეს... იმას ხომ არ ვამბობთ, რომ შეუცდომელები ვართ, ყველაფერს იდეალურად ვაკეთებთ და პრობლემები არ გვაქვს. პრობლემებიც გვაქვს, შეცდომებიც გვაქვს, ადამიანები ვართ, ყველას მოგვდის შეცდომები. მზად ვართ თანამშრომლობისთვის, მაგრამ ამას ხომ აქვს თავისი ფორმა? თანამშრომლობა როგორ წარმოგიდგენიათ, როდესაც გეუბნებიან, რომ „შენ კორუმპირებული ხარ", „შენ მიზამნიმართულად კლავ ახალგაზრდებს" როგორ უნდა ვითანმშროლოთ? მე ხომ არ გეუბნებით, არ გამოხატოთ კრიტიკა? არ იყოთ კრიტიკულები? ეხლა გამოხვედით კრიტიკულად ხომ, რა პრობლემაა? რატომ არის ამაში პრობლემა? მაგრამ ერთმანეთის შეურაცხყოფისგან თავი შევიკავოთ, პატივი ვცეთ ერთმანეთს და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენი მხრიდან, არანაირი პრობლემა არ იქნება, მაგრამ ეს ცალმხრივი ვერ იქნება, უნდა იყოს ორმხრივი."

კახაბერ ლაბუჩიძემ განაცხადა, რომ ეთანხმება ვახტანგ სურგულაძეს და აღნიშნა, რომ აქ არ იქნებოდა დაპირისპირება, ლანძღვა და პათოსი, ჩვენ რომ ცალსახად გვემსჯელა ბიუჯეტზე. ისაუბრა უსინათლოებთან დაკავშირებულ საკითხზე და აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე, განათლების სამინისტრო ახორციელებს უსინათლოების სკოლის რემონტს და მომავალ წელს, როდესაც დასრულდება სამუშაოები, ქეთევან წამებულის გამზირი იქნება სრულად ადაპტირებული უსინათლოებზე. ისაუბრა განათლებისა და კულტურის მიმართულებაზე, აღნიშნა, რომ ის ისეთივე უპრეცედენტოა, როგორც თბილისის 2023 წლის ბიუჯეტი და განაცხადა, რომ ამ მიმართულებით ინფრასტრუქტურის ასეთი აღმშენებლობა დედაქალაქს არ ჰქონია და მაგალითისთვის ისაუბრა რამდენიმე პროექტზე: ორ მუსიკალური სკოლაზე - ნაძალადევის რაიონში, რევაზ ლაღიძის სახელობის მე-4 სკოლა და ორხევში, ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის მე-19 სკოლა; ორი მედიათეკა, რომლებიც შენდება ზღვის უბანში და დიდ დიღომში; ორი ბიბლიოთეკის, გრიგოლ რობაქიძის და გლდანის IV მიკრორაიონში, სრული რეაბილიტაცია. აღნიშნა, რომ ჩვენს დედაქალაქში იყო 73 ბიბლიოთეკა, რომელთაგან 40 „ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებამ „გააქრო" და დარჩა 33 ბიბლიოთეკა და როდესაც გინდა, რომ თბილისი იყოს არა მხოლოდ „მსოფლიო წიგნის დედაქალაქი", არამედ, ასევე განვითარდეს ამ მიმართულებით, საჭიროა ქალაქში იყოს ბიბლიოთეკები და აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, „არნახულად პოპულარულია ჩვენი ბიბლიოთეკები". მისი თქმით, თბილისში დღეს, რვა მშენებარე საბავშვო ბაღია, იანვარში დაიწყება კიდევ ორი ახალი ბაღის მშენებლობა და მალე დედაქალაქს კიდევ ათი ახალი ბაღი ექნება. ისაუბრა თეატრებზე და აღნიშნა, რომ პანტომიმის თეატრისთვის, რომელიც ფაქტობრივად „უსახლკაროდ, უბინაოდ" არის, კახა კალაძის მერობის პერიოდში, ლისის ტბის მიმდებარედ, მოძიებული იქნა 3000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, ხოლო ბიუჯეტში გათვალისწინებულია 400000 ლარზე მეტი, პროექტის შესყიდვისთვის, თუ როგორი უნდა იყოს ეს თეატრი. საუბრის ბოლოს, კახაბერ ლაბუჩიძემ, როგორც ისნის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა, აღნიშნა, რომ ვაზისუბანში მოეწყობა ორი სკვერი, ორი სპორტული მოედანი და პირველად ისნის რაიონში იქნება სკეიტ პარკი, რისთვისაც მადლობა გადაუხა ქალაქის მერს და მის მოადგილეებს.

ირაკლი ხელაძემ ისაუბრა თბილისის 2023 წლის ბიუჯეტზე და აღნიშნა, რომ დღეს საკრებულო განიხილავს ისტორიულ ბიუჯეტს, რომლის მოცულობა შეადგენს 1632000000 ლარს. აღნიშნა, რომ იყო მოლოდინი, რომ შენარჩუნებული იქნებოდა პრიორიტეტები და ასევე, გათვალისწინებული იქნებოდა ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" რეკომენდაციები, რომლებიც გამოითქვა 2023 წლის ბიუჯეტის პირვანდელ პროექტთან დაკავშირებით და მადლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ამ რეკომენდაციების ასახვაში. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტი ისტორიულ ნიშნულზეა, გვაქვს ბევრი პრობლემა და გვაქვს მოლაპარაკება, რომ იანვარში მოხდეს გამგეობების ნაწილის გაძლირება, რადგან ვთვლით, რომ ბევრი პრობლემაა

ადგილზე და მოქნილობისთვის, მობილობისთვის და დინამიურობისთვის აუცილებელია რაიონული გამგეობების გაძლიერება. მისი თქმით, ოპოზიციის წარმომადგენლების დღევანდელ გამოსვლებში განსხვავებული არაფერი მომხდარა, წლებია უკვე მეორდება ერთი და იგივე - გრძელდება თბილისის განვითარება, თუმცა, მათი მხრიდან არ ხდება ამისთვის თვალის გასწორება და აღიარება, რომ მართლაც წინ მიდის ეს ქალაქი და ეტყობა, რომ მომავალში უფრო მეტი პერსპექტივა ექნება. მისი თქმით, ყველაზე კარგი პასუხი თბილისის მერიის და საკრებულოს მხრიდან არის ის ფინანსური დოკუმენტი, რომელიც, ბოლო წლებში, არის ერთ-ერთი საუკეთესო. საუბრის ბოლოს, ირაკლი ხელაძემ წარმატებები უსურვა თბილისის მერიის ყველა სამსახურს, რაიონულ გამგეობებს და მთლიანად სახელისუფლებო გუნდს და აღნიშნა, რომ დარწმუნებულია, მომავალი წელი იქნება ერთ-ერთი გამორჩეული შედეგების თვალსაზრისით.

გიორგი ტყემალაძემ მადლობა გადაუხადა თბილისის მერს და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში და ზოგადად, ის საქმიანობა, რაზეც ჩვენ ძალიან ბევრი ვისაუბრეთ დღეს, არის რეალობა ჩვენი ქალაქისთვის. მისი აზრით, უკეთესი იქნებოდა, რომ მიმდინარე სხდომაზე უფრო მეტი საუბარი ყოფილიყო ქალაქის პრობლემატიკაზე და აღნიშნა, რომ თავის მხრივ, თბილისის მთავრობა და ჩვენ, ჩვენის მხრივ, მაქსიმალურად ვეცადეთ, გვეთქვა ყველაფერი ის, რაც გაკეთდა ამ პერიოდის განმავლობაში. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბიუჯეტი, რომელიც დღეს უნდა მივიღოთ, არის იმგვარი დოკუმენტი, სადაც ასახულია პრიორიტეტული მიმართულებები და არის იმ მოცულობის, რომელიც მომავალ წელს მოგვცემს კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობებს, განვახორციელოთ უფრო მეტი ინფრასტურტურული, სოციალური თუ ჯანდაცვის პროექტები. განაცხადა, რომ ეს არის რეალობა და მოუწოდა საკრებულოს წევრებს, მხარი დაუჭირონ თბილისის 2023 წლის ბიუჯეტს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 1 დადგენილება.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე — გიორგი ახვლედიანი